არსებობას მოითხოვს. ეფექტური სახელმწიფო აპარატის შექმნა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ბევრ სირთულეებთან არის დაკავშირებული. აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ იმ ფაქტს, რომ ათეული წლების განმავლობაში სახელმწიფო ორგანოები მოქმედებდნენ საბჭოური სისტემის ფარგლებში, სისტემის რომლის კულტურა და ფასეულობები სრულიად განსხვავებულია იმ პრინციპებისაგან, რომელთა დანერგვაც უნდა მოხდეს დღეს იმისათვის, რომ სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირება წარმატებული იყოს (გია ჟორჟოლიანი, თამარ ბერეკაშვილი & მარინა მუსხელიშვილი, 2001)

სახელმწიფო აპარატის სისუსტე გამოწვეულია სოციოეკონომიკური კრიზისის გამო. მის სისუსტეს შეიძლება აგრეთვე ხელს უწყობდეს ნეოლიბერალური პოლიტიკა, რომელიც ცდილობს ნებისმიერი გზით შეამციროს სახელმწიფო აპარატი და მისი ხარჯები. ნეოლიბერალური პოლიტიკა პრიორიტეტს ანიჭებს სოციოეკონომიკური პრობლემების დაძლევას და ჯეროვნად არ აფასებს სახელმწიფო ინსტიტუტების როლს დემოკრატიული რეფორმების გატარებაში.

სრული დემოკრატიული გარდაქმნისათვის, და განსაკუთრებით დემოკრატიის კონსოლიდირებისათვის, საჭიროა პოლიტიკური საზოგადოების ჩართვა, რომელიც უპირველესად პარტიების სისტემას ნიშნავს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა განახორციელეს დემოკრატიული რეფორმები და დაიწყეს მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი პოსტსაბჭოთა სივრცეში. პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთპარტიული სისტემა უკვე წარსულს ჩაბარდა და დღესათვის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტაციის მქონე უამრავი პარტია არსებობს. მაგრამ ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებს არ აქვთ მრავალპარტიული სისტემის ხანგრძლივი და მყარი ტრადიცია. ეს ქვეყნები ათწლეულების განმავლობაში ტოტალიტარული რეჟიმის ნაწილს წარმოადგენდნენ, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული ერთპარტიული სისტემა და მკაცრად იკრძალებოდა ოპოზიციური პარტიების არსებობა. საბჭოთა კავშირში ერთპარტიული სისტემა მოქმედებდა და კომპარტიისაგან განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ოპოზიციური პარტიების არსებობა სრულიად დაუშვებელი იყო. კომუნისტური პარტია იყო ერთადერთი მმართველი პარტია და მონაწილეობდა ხელისუფლების ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღებასა და რეალიზაციაში. საბჭოთა კავშირის დროს კადრების შერჩევისა და გადანაწილების ნომენკლატურული პრინციპი ნაკლებად უწყობდა ხელს ხელმძღვანელ პოსტებზე კომპეტენტური ადამიანების დაწინაურებას. ყურადღება ნაკლებად ექცეოდა კანდიდატის პროფესიონალიზმს და მართვის უნარს, რაც საბოლოო ჯამში აისახებოდა არა მარტო პოლიტიკური გადაწყვეტილებების ხარისხზე, არამედ ასევე საერთოდ ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე. დღესაც კადრების შერჩევის პრინციპი პოსტსაბჭოურ სივრცეში საბჭოთა მეთოდის იდენტურია. სწორედ ამიტომ, არაკომპეტენტური ადამიანები ძალიან ხშირად ინიშნებიან წამყვან სახელმწიფო თანამდებობებზე.

პოლიტიკური საზოგადოება განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდში უნდა იყოს დაკომპლექტებული კომპეტენტური და პროფესიონალი ადამიანებისაგან, რომლებიც შეძლებენ სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანას.

კანონის უზენაესობა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში არის დემოკრატიული სისტემის დამკვიდრების ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა. ის აუცილებელია სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოებების ავტონომიურობისა და დამოუკიდებლობის

უზრუნველსაყოფად. კანონის უზენაესობა განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ის გულისხმობს, რომ სახელმწიფო და ინდივიდი თანაბრად აგებენ პასუხს კანონის წინაშე და პატივს სცემენ კანონის მმართველობას. კანონი თანაბრად უნდა ვრცელდებოდეს როგორც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ასევე ყველა სოციალურ ფენაზე. კანონი უნდა იყოს საყოველთაო და სრულდებოდეს მოსახლეობის უმრავლესობის მიერ. ყველა ადამიანი თანასწორი უნდა იყოს კანონის წინაშე და ადამიანთა თანასწორობა კანონებში უნდა იყოს ასახული.

მართალია ადამიანები თანასწორუფლებიანები არიან იურიდიულად, მაგრამ რეალურ ცხოვრებაში ეს სრულიად ვერ ხორციელდება ყველაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი. მიუხედავად ამისა სახელმწიფო ორგანოების მოვალეობაა, რომ ისინი თანაბრად და კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ ყველას დადგენელი წესების შესაბამისად და არ შექმნან პრივილეგიები გარკვეული ინდივიდებისათვის.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა განახორციელეს კანონის უზენაესობის სფეროში რეფორმები. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ტოტალიტარული წარსულის გავლენისა და დემოკრატიული ტრადიციების არარსებობის გამო, ამ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს უჭირთ სასამართლო და კანონის უზენაესობის რეფორმების სწორად განხორციელება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები. ისინი მთელი ცხოვრების განმავლობაში ემსახურებოდნენ კომუნისტურ პარტიას და განაგრძობდნენ პოსტსაბჭოთა საზოგადოებების მართვას ბოლშევიკური მეთოდებით. ამ ლიდერებს არ ჰქონდათ არანაირი გამოცდილება, თუ როგორ უნდა გენეხორციელებინათ რეფორმები კანონის უზენაესობის სფეროში და როგორ უნდა გაეტარებინათ დემოკრატიული რეფორმები. შესაბამისად, რეფორმები, რომლებიც მათ განახორციელეს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში, არასწორი აღმოჩნდა და ამ ცრუ რეფორმებმა შედეგი ვერ მოიტანა, ვერ გამოიწვია დემოკრატიის დამკვიდრება და კონსოლიდირება.

პოსტსაბჭოთა სივრცეში დასავლეთის მიერ გატარებული ხანგრძლივი რეფორმების მიუხედავად, სასამართლო მაინც ვერ ჩამოყალიბდა ხელისუფლების დამოუკიდებელ შტოდ და არც კანონის უზენაესობა დამკვიდრდა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. ბევრ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში სასამართლო კვლავ ემორჩილება გავლენიან პოლიტიკოსებს და ხშირად ასრულებს მთავრობის, აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანებებს. მოსამართლეები მთავრობისგან დიდ ეკონომიკურ და ფინანსურ დახმარებას იღებენ, თუ ისინი ხელისუფლების ერთგულები დარჩებიან და შეასრულებენ აღმასრულებელი ხელისუფლების ბრძანებებს. სასამართლო ხელისუფლებაში გავრცელებულია ნეპოტიზმი და მოსამართლეები ხშირად თავიანთ ახლობლებს ნიშნავენ გავლენიან თანამდებობებზე. არ არსებობს პოლიტიკური ნება რომ გატარდეს სასამართლო რეფორმები, რადგან ხშირად აღმასრულებელი ხელისუფლების ინტერესებში არ შედის დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის ფორმირება.

დასკვნა

კომუნისტური წარსულისა და დემოკრატიული ტრადიციების არარსებობის გამო ძალზე მწელია დემოკრატიული რეფორმების გატარება პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში ხელისუფლების სათავეში კვლავ მოვიდნენ კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრები, რომელთაც არ ჰქონდათ საკმარისი გამოცდილება და ცოდნა, რომ ეფექტურად გაეტარებინათ

დემოკრატიული რეფორმები. პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩამოყალიბებული პოლიტიკური სისტემა შორს არის იმისგან, რასაც ჩვენ ლიბერალურ დემოკრატია ვუწოდებთ. სინამდვილეში ის შეიძლება შეფასდეს, როგორც საარჩევნო დემოკრატია. გარკვეული პირობებია საჭირო იმისთვის, რომ საარჩევნო დემოკრატია გარდაიქმნას კონსოლიდირებულ დემოკრატიად. ზემოთ ხსენებული და გაანალიზებული ხუთი სფერო (სამოქალაქო საზოგადოება, ეკონომიკური საზოგადოება, პოლიტიკური საზოგადოება, ბიუროკრატიული სტრუქტურა და კანონის უზენაესობა) მნიშვნელოვან როლს ასრულებს დემოკრატის კონსოლიდაციაში. ამიტომ, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ ზემოთ ხსენებული ხუთი სფეროს განვითარებას.

ბიბლიოგრაფია

1. Michał Słowiński (2019). *Democratization and security in the post-Soviet space*, https://www.researchgate.net/publication/336798885_Democratization_and_security_in_the_post-Soviet_space
2. Linz J.J. & Stepan, A (1996) *Problems of democratic transition and consolidation. Southern Europe, South America, and Post-Communist Europe*. The John Hopkins University Press.
3. გია ჟორჟოლიანი, თამარ ბერეკაშვილი & მარინა მუსხელიშვილი (2001) დემოკრატიზაცია, ფონდი „ღია საზოგადოება -საქართველო“, თბილისი, 2001.
4. JUSTRAC (2019) *Promoting the Rule of Law in the Post-Soviet Region through State and Non-State Collaboration*, <https://justrac.org/wp-content/uploads/2019/08/White-Paper-final.pdf>
5. თომას მ. მაგმტადტი (2011) *გავიგოთ პოლიტიკა: იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები*, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011.

რატომ ვერ ხერხდება დემოკრატის კონსოლიდაცია პოსტსაბჭოურ სივრცეში: დემოკრატის კონსოლიდაციის შემაფერხებელი ფაქტორები

ვალერი მოდებაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული
უნივერსიტეტის პროფესორი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია და გაანალიზებულია თუ რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი დემოკრატის განვითარებას და კონსოლიდაციას პოსტსაბჭოურ სივრცეში. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილმა სახელმწიფოებმა დაიწყეს დემოკრატიული, ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების გატარება, რომლის მიზანი იყო ლიბერალური დემოკრატის დამკვიდრება და კონსოლიდაცია. თუმცა კომუნისტური წარსულისა და დემოკრატიული ტრადიციების არარსებობის გამო ვერ მოხერხდა არ რეფორმების სწორად გატარება. არასწორად გატარებული რეფორმების გამო პოსტსაბჭოურ სივრცეში ჩამოყალიბდა ჰიბრიდული რეჟიმები და გავრცელდა ავტორიტარიზმი. პოსტსაბჭოთა სივრცეში დამკვიდრებული პოლიტიკური წყობა შორსაა იმისგან, რასაც ლიბერალური დემოკრატია ეწოდება. ამ სივრცეში გავრცელებული პოლიტიკური რეჟიმები შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც საარჩევნო ანუ მინიმალური დემოკრატია. სტატიაში აღწერილია ხუთი სფერო (სამოქალაქო საზოგადოება, ეკონომიკური საზოგადოება, პოლიტიკური საზოგადოება, ეფექტური სახელმწიფო აპარატი და კანონის

უზენაესობა), რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს დემოკრატიის კონსოლიდაციის საქმეში და რომლის განვითარებას დიდი ყურადღება უნდა დაუთმონ პოსსაბჭოთა რესპუბლიკებმა თუ მათ სურთ ლიბერალურ დემოკრატიებად გარდაქმნა.

Why Consolidation of Democracy Failed in the Post-Soviet Space: Factors hindering the consolidation of democracy

Valeri Modebadze

Docctor of Social Sciences, Professor at St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Summary

The article discusses and analyzes factors that hindered the development and consolidation of democracy in the post-Soviet space. After the collapse of the Soviet Union, the emerging states in the post-Soviet space began to pursue democratic, economic, and legal reforms aimed at establishing and consolidating liberal democracy. However, due to the communist past and the lack of democratic traditions, it was not possible to carry out these reforms properly. Due to the incorrectly implemented reforms, hybrid regimes and authoritarianism was established in the post-Soviet space. The political system that was established in most of the post-Soviet republics is far from what we call the liberal democracy. Political regimes prevalent in this space can be classified as electoral or minimal democracy. The article describes five areas (civil society, economic society, political society, an effective state apparatus and the rule of law) that play very important role in the consolidation of democracy. Post-Soviet republics should pay particular attention to the development of these five spheres if they want to transform into liberal democracies.

Pourquoi la consolidation de la démocratie a échoué dans l'espace post-soviétique : facteurs entravant la consolidation de la démocratie.

Valeri Modebadze

Docteur en sciences sociales, Saint Andre le Premier Appele du Patriarcat de Georgie Universite Georgian

Résumé

L'article discute et analyse les facteurs qui ont entravé le développement et la consolidation de la démocratie dans l'espace post-soviétique. Après l'effondrement de l'Union soviétique, les États émergents de l'espace post-soviétique ont commencé à poursuivre des réformes démocratiques, économiques et juridiques visant à établir et à consolider la démocratie libérale. Cependant, en raison du passé communiste et du manque de traditions démocratiques, il n'a pas été possible de mener à bien ces réformes. En raison des réformes mal mises en œuvre, des régimes hybrides et l'autoritarisme se sont établis dans l'espace post-soviétique. Le système politique qui a été mis en place dans la plupart des républiques post-soviétiques est loin de ce que nous appelons la démocratie libérale. Les régimes politiques qui prévalent dans cet espace peuvent être classés comme démocratie électorale ou minimale. L'article décrit cinq domaines (société civile, société économique, société politique, un appareil d'État efficace et l'État de droit) qui jouent un rôle très important dans la consolidation de la démocratie. Les républiques post-soviétiques devraient accorder une attention particulière au développement de ces cinq sphères si elles veulent se transformer en démocraties libérales.

ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება

ნოდარ გრძელიშვილი

ეკონომიკის დოქტორი,

ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი აფელირებული პროფესორი;
სტუ.ი. ჟორდანას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ლაურა კვარაცხელია

ქიმიის დოქტორი,

სტუ.ი. ჟორდანას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

თამუნა ექვთიმიშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

მიუხედავად თავისი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობისა, ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა იწვევს გარემოს გარკვეულ სახეცვლილებას. ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება. რეგულირების ყველაზე მოთხოვნად ეკონომიკურ ინსტრუმენტს დღესდღეობით წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (ტრრ) ეკონომიკური შეფასების მეთოდების სისტემატიზაცია და უნივერსალური მეთოდიკის შემუშავება საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს ყველა ეკონომიკური ინსტრუმენტი ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისგან დაცვის საკითხებში და ამით გაიზარდოს გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის დაცვა - შენარჩუნება.

არსებული მიდგომებისა და ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდების კრიტიკული ანალიზის შედეგების მიხედვით (იხ.ნახ.), ნახაზზე ბუნებრივი რესურსების ეკონომიკური შეფასების მრავალრიცხოვან არსებულ მიდგომებს შორის გამოყოფილია ის მიდგომები, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (ტრრ) შეფასებისას:

- ინტეგრალური მიდგომა;
- შედარებითი მიდგომა (საბაზრო ფასების გამოყენება);
- შემოსავლითი მიდგომა (მიწის რენტის კაპიტალიზაცია);
- ხარჯვითი მიდგომა (ჩანაცვლებაზე ხარჯის განსაზღვრა, კვლავწარმოება, აღდგენა და გადაადგილება);
- ალტერნატიული ღირებულების ხარჯის ან ხელიდან გაშვებული მოგების კონცეფცია;
- სუროგატული ბაზრების მოდელირება.


ტრრ-ის ეკონომიკური შეფასების მიდგომა უნდა შეირჩეს წარმოებული შეფასების მიზნებიდან გამომდინარე. (იხ.ნახ.).

1. ინტეგრალური (კომპლექსური) მიდგომა. გულისხმობს სავარაუდო საქმიანობის თანაფარდობას მისი განხორციელების შესაძლებლობასთან მიმართებაში, სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებთან დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

სოციალურ-ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება ხდება გარემოზე ზემოქმედების მაჩვენებლების სისტემის მეშვეობით. ეს სისტემა შეიცავს საზოგადოებრივ წარმოებაზე, ჯანმრთელობასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ბუნებრივი რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე ასეთი ზემოქმედების პირდაპირ და ირიბ შედეგებს[1].

რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასებისთვის კომპლექსური მიდგომის შემადგენლობაში შეიძლება შემდეგი მეთოდების გამოყენება: **კადასტრული შეფასება; ქულებრივი შეფასება; საერთო ეკონომიკური ღირებულების შეფასება.**

კადასტრული შეფასება. შეფასების მოცემული მეთოდი ეფუძნება ბუნებრივი რესურსის კონკრეტული სახეობის შესახებ ინფორმაციის ერთობლიობას; შეიცავს მისი რაოდენობის (მარაგების), ასაკის, ხარისხობრივი შემადგენლობისა და სტრუქტურის, ადგილმდებარეობის მახასიათებლებს და სხვა მრავალ მაჩვენებელს (ინდიკატორებს). კადასტრული ჯგუფები (რომლებდაც იყოფა ესა თუ ის ბუნებრივი რესურსი, მაგ., მიწის) განსაზღვრულია ქულებით (მაგალითად, 1-დან 100-მდე). არსებული კადასტრების მონაცემების მიხედვით, უნდა განისაზღვროს ყველაზე მაღალი სუფთა შემოსავლის და ყველაზე დაბალი დანახარჯის ათვისების, გამოყენების, კვლავწარმოების და ბუნებრივი აქტივების მოცემული სახეობის დაცვის პირობები. კადასტრული მეთოდი უზრუნველყოფს ბუნებრივი რესურსების უფრო დეტალიზებულ შეფასებას შედარებით გამარტივებულ ხარჯვით და რენტულ მეთოდებთან და შეიძლება გამოყენებული იქნეს თითოეულ მათგანთან ერთობლიობაში.



ნახ. ტურისტულ რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდების კლასიფიკაცია

ქულობრივი შეფასება - ბუნებრივი რესურსების შეფასება ქულობრივი მეთოდით მდგომარეობს იმაში, რომ რესურსების კრიტერიუმების მნიშვნელობებს ქულები ენიჭება გარკვეული წესების შესაბამისად. შემდგომ, მიღებული ქულები მრავლდება შესაბამისი კრიტერიუმების ხვედრითი წილის კოეფიციენტებზე, მიღებული მნიშვნელობები იკრიბება და გამოითვლება რაღაც ჯამური ქულა, რომელიც ასახავს რეკრეაციული რესურსის შეფასებას. კრიტერიუმების ხვედრითი წილის კოეფიციენტები დგინდება შეფასების ჩატარების მიზნებისა და განსაკუთრებულობის გათვალისწინებით. მაგრამ შეფასების ქულობრივი მეთოდები სუბიექტურია და, როგორც წესი, არ იძლევიან გამოთვლით მაჩვენებლებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებული იქნეს ეკონომიკურ ანალიზში. იმავდროულად, ბუნებრივი რესურსების ბევრი მახასიათებელი შეიძლება გაიზომოს მხოლოდ პირობითი (შედარებითი) სიდიდეებით, მაგალითად, რომელიმე ლანდშაფტის შემეცნებითი ღირებულება. ამიტომ იქ, სადაც რაოდენობრივი მეთოდების გამოყენება ჯერ-ჯერობით შეუძლებელია ან ჯერ არ არის შემუშავებული, ქულობრივი მეთოდების გამოყენება არის შეფასების ერთადერთი შესაძლებელი მეთოდი.

საერთო ეკონომიკური ღირებულების (სედ) შეფასება - მიდგომა, რომელშიც არის მცდელობა, კომპლექსურად იქნეს გათვალისწინებული არა მხოლოდ პირდაპირი რესურსული, არამედ ბუნების ასიმილაციური ფუნქციებიც. საერთო ეკონომიკური ღირებულების მოცემული კონცეფცია საშუალებას იძლევა შეფასდეს სხვადასხვა სარგებელი, რომელიც დაკავშირებულია ბუნებრივი გარემოს დაცვასთან, მის რესურსებსა და მომსახურებასთან (მათ შორის, რომლებიც არ არიან გამოხატული უშუალოდ ფულადი ფორმით, გამომდინარე საბაზრო უპირატესობებიდან)[2].

საერთო ეკონომიკური ღირებულების კონცეფცია შეიცავს:

- ღირებულებას, - რომელიც განპირობებულია ეკოლოგიური სიკეთეების პირდაპირი ფაქტობრივი გამოყენებით, - რომლის გაზომვა შეიძლება ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიური სიკეთეების მოხმარებით მიღებული შემოსავლის საშუალებით;
- რესურსების ირიბი გამოყენების გზით მიღებულ ღირებულებას, რომელიც, როგორც წესი, იზომება დამატებითი შემოსავლების საშუალებით;
- გადადებული ალტერნატიულ ღირებულებას, რომელიც დაკავშირებულია პირდაპირი (ან ირიბი) სარგებლის მიღების გადადებულ შესაძლებლობასთან ეკოლოგიური სიკეთეების გამოყენებით მომავალში; მას ჩვეულებრივ გამოხატავენ მზადყოფნის საშუალებით - გადაიხადონ გარემოს დაცვაში და გამოიყენონ მომავალში;
- მემკვიდრეობის მიღების ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება მზადყოფნით - გადაიხადონ სუფთა ბუნებრივ გარემოში, რომელსაც გამოიყენებენ მომავალი თაობები;
- არსებობის ღირებულებას, რომელსაც განსხვავებით გადადებული ალტერნატივის ღირებულებისგან, განსაზღვრავენ არა შესაძლო მომავალი შემოსავლებით (რომლებიც დაკავშირებულია ეკოლოგიური სიკეთეების გამოყენებასთან), არამედ სუფთა და პროდუქტიული ბუნებრივი გარემოს თვით ფაქტის არსებობით.

2. ხარჯვითი მიდგომა, ესადაგება ბუნებრივი ობიექტების კვლავწარმოების ღირებულების, ან მათ მიერ შესრულებული ბუნების დაცვითი ფუნქციისა და თვით ობიექტების ჩანაცვლების ღირებულების ჩანაცვლებამდე. ბუნებრივ ობიექტებს ასევე აფასებენ გადაადგილების სიკეთეებამდე (რომელიც შექმნილია მსგავსი ობიექტებით) მისასვლელად გაწეული ხარჯით. მაგალითად, სასმელი წყლით მომარაგების წყაროები

შეიძლება შეფასდეს დანიშნულების ადგილამდე წყლის მიყვანაზე გაწეული დანახარჯებით[3].

რეკრეაციული რესურსების კვლავწარმოებისა და აღდგენის ღირებულება. მოცემული მეთოდი ბუნებრივი ობიექტის აღდგენისა და კვლავწარმოებისთვის აუცილებელ ხარჯს განიხილავს, როგორც ბუნებრივი ობიექტის მინიმალურ ეკონომიკურ შეფასებას და დასაკარგი ბუნებრივი ობიექტის ფიზიკური ანაზღაურებისთვის საკომპენსაციო გადასახადების გამოსაანგარიშებელ საფუძველს[4].

ჩანაცვლების ღირებულება გულისხმობს ბუნებრივი ობიექტის შეფასებას რაღაც ხელოვნურად შექმნილი ობიექტის (რომელიც იგივე ფუნქციას ასრულებს, რასაც ბუნებრივი ობიექტი) ღირებულების მიხედვით[5].

გადაადგილებაზე ხარჯი გულისხმობს ობიექტის შეფასებას ობიექტის ფიზიკურ გადაადგილებაზე გაწეული ხარჯის მიხედვით. მაგალითად, წყალმომარაგების წყაროს სამრეწველო ჩამდინარე ბინძური წყლებით გაჭუჭყიანების ხარჯად ჩაითვლება ახალი წყალშემკრების მშენებლობაზე გაწეული დანახარჯი, კომუნიკაციების გაყვანაზე დანახარჯების ჩათვლით.

3. შემოსავლითი მიდგომა გულისხმობს შემოსავლის მიღებას გამოყენებული უძრავი რეკრეაციული ობიექტების რენტის გადასახადების ამოღების გზით.

რენტული შეფასება. რენტის თეორიის განმარტებები მრავალგვარია, ხოლო მისი გამოთვლის წარმოდგენილი საშუალებები საკმაოდ რთული და ბევრი რესურსისთვის არ არის შემუშავებული. ასეთი გაურკვევლობა ართულებს რენტული შეფასებისა და გადასახადების დანერგვას პრაქტიკაში. საჭიროა ბუნებათსარგებლობის სისტემის შექმნა, რომელიც დაეფუძნება გამოყენებული ბუნებრივი რესურსების რენტული გადასახადების ამოღებას. ამგვარად დაიწყებს მოქმედებას ამოღების პრინციპი დიფერენციული რენტის საზოგადოების სასარგებლოდ. დიფერენციული პრინციპი უნდა იქცეს სხვადასხვა დონის ბიუჯეტების შემოსავლების წყაროდ, ასევე ტერიტორიულ ჭრილში საქმიანობის სხვადასხვა სახეობის განაწილების რეგულატორად[1].

4. ალტერნატიული ღირებულების (ალტერნატიული დანახარჯების) ან ხელიდან გაშვებული სარგებლიანობის კონცეფცია. მისი გამოყენება რეკრეაციულ ტერიტორიებთან მიმართებაში საშუალებას იძლევა ღირებულება შეფასდეს ხელიდან გაშვებული შემოსავლებისა და სარგებლის საშუალებით, რომელთა მიღება შესაძლებელი იქნებოდა მოცემული ტერიტორიების სხვა მიზნებით გამოყენების შემთხვევაში[2].

გაშვებული სარგებელი. გაშვებულ სარგებელში იგულისხმება არმიღებული შემოსავლები და შესაძლებლობები, რომლებიც შეიძლება მიღებული ყოფილიყო, თუ ბუნებრივი რეკრეაციული რესურსი არ იქნებოდა დაზიანებული, გამოფიტული ან ამოღებული.

სარგებელი, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა რეკრეაციული რესურსების სხვა მიზნებით გამოყენების შემთხვევაში. ეს მეთოდი ბუნებრივი რესურსის შეფასების საშუალებას იძლევა სარგებლის გზით, რომლის მიღება შესაძლებელი იქნებოდა რესურსის სხვა მიზნებით გამოყენების შემთხვევაში.

5. შედარებითი მიდგომა. რეკრეაციული რესურსების ეს გზა მოიცავს ორ მეთოდს : საბაზრო შეფასებას და ჰედონისტურ ფასწარმოქმნას.

გამოყენებული ბუნებრივი რესურსების საბაზრო ფასი. ბუნებრივ რესურსზე ფასის ფორმირება, მისი კლასიკური გაგებით, შეიძლება მხოლოდ სამეურნეო საქმიანობაში

გამოყენებული ბუნებრივი რესურსებისთვის. რესურსების შეზღუდულობის გამო მათზე მოთხოვნა მდგრადია. უფრო მეტიც, ბუნებრივი რესურსების ბაზრისთვის დამახასიათებელია მოთხოვნის კონცენტრაცია, რომელიც მონოპოლიის (ერთადერთი მყიდველი) და ოლიგოპოლიის (მყიდველების მცირე რაოდენობა) მოვლენებს ტიპურ მოვლენებად აქცევს.

ჰედონისტური ფასწარმოქმნა. ჰედონისტური ფასწარმოქმნის მეთოდი ეფუძნება იმას, რომ ღირებულება (ფასი) (მაგალითად, ტყის ფონდის ნაკვეთის) მოსახლეობის თვალსაზრისით, შეიძლება განისაზღვროს იმ თანხებით, რომელსაც გადაიხდის მოსახლეობა უძრავი ქონების ობიექტებში (რომლებიც თავის თავში მოიცავენ მოცემული ნაკვეთის მახასიათებლებს). თუ გარკვეულ ადგილას ადამიანები მუდმივად იხდიან სახლში და მიწაში მეტს, ვიდრე სხვა ადგილებში და, თუ ფასში ასეთი სხვაობისას გათვალისწინებული იქნება სხვა დანარჩენი შესაძლო არარეკრეაციული მიზეზები, მაშინ დარჩენილი სხვაობა ფასში განეკუთვნება რეკრეაციულ ფაქტორს. ანუ ამ მეთოდის მეშვეობით ეკოსისტემური ბიომრავალფეროვნების შეფასება ხდება ამ ფაქტორთან დაკავშირებული უძრავი ქონების საერთო ღირებულების შემადგენლობაში[2].

6. სუროგატული ბაზრების მოდელირება გულისხმობს ჰიპოთეტური საბაზრო ფასების კონსტრუირებას, რათა შეფასდეს გარემოს თვისებები და ხარისხი, რომლებსაც არ გააჩნიათ საბაზრო ღირებულება - რადგან ამ ტიპის მომსახურების ბაზრები არ არსებობს. ფასები, რომლებიც პირობითად ჩაანაცვლებენ საბაზრო ფასებს, დგინდება მოცემული თვისებების შეფასების გამოვლენით გარემოს ამ თვისებებისა და ხარისხის მომხმარებლების მიერ.

სუბიექტური შეფასების მეთოდები (მომხმარებლების უპირატესობები) - გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც არ არის შესაფასებელი ობიექტების რეალური ბაზრები. გამოიყენება სტანდარტული გამოკითხვის ტექნოლოგია იმ ადგილის მოსახლეობისთვის, რომელსაც გააჩნია გარკვეული ეკოლოგიური და ესთეტიკური ღირებულება ან გარკვეული რეკრეაციული რესურსი. ხდება მოცემული რესურსის დაცვისთვის ადამიანების მიერ გადახდის სურვილის გარკვევა, მაგალითად, ბუნებრივი გარემოს სისუფთავის, ჰაერის დაცვის და ა.შ. ეს მეთოდები გამოიყენება უნიკალური ობიექტების ან ტერიტორიების (რომელთაც გააჩნიათ რეკრეაციული მნიშვნელობა), მონახულების გადასახადის სიდიდის დასადგენად, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაფასებელ ობიექტებზე დაშვების შეზღუდვის შესაძლებლობა.

სუბიექტური შეფასების მეთოდებს განეკუთვნება შემდეგი მეთოდები:

მომხმარებლის დამატებითი სარგებელი - ეს არის თანხა, რომლის დამატებით გადახდისთვის მზად არის მომხმარებელი იმ თანხასთან ერთად, რომელსაც იხდის სინამდვილეში. მომხმარებლის დამატებითი სარგებლის მეთოდი ბუნებრივი სიკეთეების ღირებულების მოდელირების საშუალებას იძლევა, რაც ეფუძნება ამ სიკეთეების მომხმარებლების და გამოყენებლების უპირატესობების გამოვლენას, გამომდინარე მათი სურვილიდან - გადაიხადონ ამ სიკეთეებისთვის. მაგალითად, ირკვევა - რა თანხა უნდა გადაიხადოს ადამიანმა გარკვეული ადგილის მონახულებისთვის. თუ შესაფასებელ ადგილზე დაშვება შეზღუდულია და მისი მონახულებისთვის დადგენილია გადასახადი, მაშინ დგინდება - რამდენი ადამიანია მზად გადაიხადოს დამატებით დადგენილ გადასახადზე. დადგენილი გადასახადის და დამატებითი გადასახადის თანხა, - განსაზღვრული თავად ადამიანის მიერ, ასახავს მოცემული ობიექტის ღირებულებას ინდივიდისთვის. შესაბამისად, შესაფასებელ ობიექტზე დაშვების გადასახადების საერთო

თანხა, - რომელიც მზად არის გადაიხადოს ყველა დამთვალეირებელმა, - წარმოადგენს მის ღირებულებით შეფასებას. შედეგების სანდოობა, მიღებული მოცემული მეთოდის შედეგად, დამოკიდებულია გამოკითხულების ინფორმირებაზე, შერჩევის გაგებაზე.

ადამიანების მზადყოფნა მიიღონ სიკეთეებზე უარისთქმის კომპენსაცია - ჰიპოთეტური ფასების განსაზღვრა რაღაც სიკეთის ნამდვილი შეფასების გარკვევის გზით ინდივიდებთან. ამისთვის ფართოდ გამოიყენება მოსახლეობის სხვადასხვა სახის გამოკითხვა. გამოკითხვა შეიცავს პირდაპირ კითხვებს მომხმარებლების მიმართ - რამდენად არიან მზად გადაიხადონ ეკოლოგიური სიკეთეებისთვის ან მიიღონ კომპენსაცია სიკეთეების დაკარგვის შემთხვევაში.

ადამიანების მზადყოფნა გადაიხადონ - მეთოდის დანიშნულებაა მოსახლეობის გარემომცველი ბუნებრივი გარემოს და ეკოლოგიური სიკეთეების (რითაც ისინი სარგებლობენ) ღირებულების შეფასება. მეთოდს საფუძვლად უდევს გადასახადის სიდიდის დადგენა, რომელიც თანახმაა გადაიხადოს გარკვეულ ადგილას მცხოვრებმა მოსახლეობამ რომელიმე ბუნებრივი ობიექტის (მაგ., ტყის) ან ბუნებრივი რესურსის (მაგ., წყლის) დაცვის მიზნით.

სუბიექტური შეფასების მეთოდებით რეკრეაციული რესურსების შეფასება წარმოებს მოცემული ადგილის მოსახლეობის გამოკითხვის გზით, რომლის საფუძველზე განისაზღვრება ადამიანების (რომლებიც სარგებლობენ ეკოლოგიური სიკეთეებით ან რესურსებით) მიახლოებითი რიცხვი და გადასახადის საშუალო სიდიდე, რომელიც მზად არიან დახარჯონ გამოკითხულებმა მოცემული სიკეთეების დაცვაზე ან მოცემული რესურსის გამოყენებაზე. მოსახლეობის გადასახადის ჯამური სიდიდე იძლევა ეკოლოგიური სიკეთის ან ბუნებრივი რესურსის საერთო ღირებულების შეფასებას, რომელიც გამოიხატება ადამიანების მზადყოფნაში - გადაიხადონ.

სატრანსპორტო-საგზაო ხარჯების მეთოდი (უპირატესობების დადგენის). ამ მეთოდით ფასდება გარკვეულ ადგილას არსებული ეკოლოგიური სიკეთეებისთვის გადახდის მზადყოფნა, გამომდინარე ინფორმაციიდან დროისა და ფულის ხარჯვის შესახებ, რომელიც წარმოებს ამ ადგილის მონახულებისას. მეთოდი მდგომარეობს საინტერესო ადგილამდე მიღწევისთვის ფულადი საშუალებების ან დროის ხარჯვის განსაზღვრაში. მეთოდი ფართოდ გამოიყენება დაცული ტერიტორიების, ეროვნული პარკებისა და ველური ბუნების ადგილების რეკრეაციული (ან ტურისტული) ღირებულების განსაზღვრად. რეკრეაციის ობიექტის ღირებულება განისაზღვრება დამთვალეირებლების რაოდენობით წლის განმავლობაში, როგორც ობიექტის ფასისა და დამთვალეირებლების საცხოვრებელი ადგილიდან შესაფასებელი ობიექტის განთავსების ადგილამდე მანძილის ფუნქცია. ფასი შედგება შესასვლელი გადასახადისგან, მგზავრობაზე დანახარჯებისგან და ხელიდან გაშვებული შემოსავლებისგან. აქ ადგილი აქვს ტიპურ დაღმავალ მრუდს ვიზიტზე ხარჯებსა და შესრულებულ ვიზიტებს შორის თანაფარდობაში. მაგალითად, ადამიანები, რომლებიც ცხოვრობენ მნიშვნელოვან მანძილზე რეკრეაციული ადგილიდან (მათ აქვთ მაღალი სატრანსპორტო ხარჯი), ახორციელებენ წელიწადში რამდენიმე ვიზიტს, მაშინ როცა რეკრეაციული ადგილიდან ახლოს მცხოვრებლებს (დაბალი სატრანსპორტო ხარჯით) , - ახასიათებთ უფრო ხშირი ვიზიტების ტენდენცია.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის საერთო ეკონომიკური ღირებულების მისაღებად შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი ჩამოთვლილი მეთოდებიდან.

შეფასების ჩატარებისას მკვლევარს შეუძლია შეახამოს სხვადასხვა მიდგომები და მეთოდები მიღებული შედეგების შედარებითი ანალიზისთვის.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსის ეკონომიკური შეფასების მიზნობრივ მდგენელად შეიძლება გამოიყოს :

- რესურსის ღირებულების შეფასება განადგურების ან დეგრადაციისგან გარემოს დაცვის მიზნით (გარემოსდაცვითი შეფასება);
- რესურსის სამომხმარებლო თვისებების შეფასება მისი გამოყენების შემდეგ (ექსპლუატაციური შეფასება);
- რესურსის მიმზიდველობისა და მისი ესთეტიკური თვისებების შეფასება (ესთეტიკური შეფასება);
- რესურსის დაკარგვის ან დაზიანების შედეგად მიყენებული ზარალის შეფასება;
- რესურსების შეფასება მათი აღრიცხვის და ბუნებრივი ობიექტების მაჩვენებლებისა და თვისებების, მათი რაოდენობისა და ხარისხის შესახებ ინფორმაციის არსებობის მიზნით (საინფორმაციო-სააღრიცხვო შეფასება).

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მიზნიდან გამომდინარე, შეიძლება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება.

ხელისუფლება ხელს უწყობდეს ტურისტულ-რეკრეაციულ საქმიანობას ქვეყანაში, საკანონმდებლო გზით განსაზღვრავდეს დამატებით შესაძლებლობებს რეგიონების რეკრეაციული პოტენციალის განვითარებისთვის. თუმცა საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ რომელიც მიღებულია 1997 წელს საკმაოდ მოძველებულია. მართალია, მასში ცვლილებები წლების მანძილზე შედიოდა, თუმცა უკანასკნელი 15 წლის მანძილზე განხორციელებული ორი ცვლილება გამოწვეული იყო თვითმმართველობის კანონმდებლობის ცვლილებით (შეიცვალა ტერმინი „თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანო“) და საკონსტიტუციო რეფორმით (ჩამოყალიბდა მთავრობის უფლებამოსილებები). შესაბამისად, ცხადია, რომ აღნიშნული კანონის რიგი დებულებები ვერ პასუხობს მიმდინარე გამოწვევებს[6].

ტურიზმის სფეროში მოქმედ სპეციალურ კანონს ასევე წარმოადგენს საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ“[7], რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი სამკურნალო რესურსების თვისებების შენარჩუნებას და მათი დაზიანების, გაფუჭებისა და გამოფიტვისაგან დაცვას. ამისათვის კანონი განსაზღვრავს, რა განეკუთვნება ბუნებრივ სამკურნალო რესურსებს, ადგენს სამ ზონას (მკაცრი, შეზღუდული რეჟიმის და სამეთვალყურეოს) და მათ რეგულირებას ახდენს. მთავრობის დადგენილებით არის შედგენილი საქართველოს კურორტების ნუსხა და სტატუსი[8].

ტურისტულ-რეკრეაციული ზონების შექმნის მიზანს წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა რეგიონების რეკრეაციული პოტენციალის განვითარების გზით.

რეკრეაციული რესურსების აქტიური გამოყენების ტენდენციები, მათი ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრინციპებს, უნდა აწონასწორებდეს საზოგადოების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ამ მხრივ მეტად აქტუალური ხდება ბუნებრივი გარემოს ნეგატიური ცვლილებებისგან დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავების საკითხები, რომლებსაც მიეკუთვნება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Бабина Ю. Рентный доход при использовании природных ресурсов // Экономист. 2001. № 6. С. 12–19.
2. Боголюбова С.А. Эколого-экономическая оценка рекреационных ресурсов: учеб. пособие для студ. высш.учеб. заведений М.: Издательский центр «Академия», 2009. 256 с
3. Гирусов Э.В., Бобылев С.Н. Экология и экономика природопользования. М.: Юнити-Дана, 2005. 591 с.
4. Нестерова О.А. Принципы и методы экономической оценки земель и живой природы. Аналитический справочник / Под ред. О.А. Нестеровой и А.А. Тишкова. Редактор-составитель: А.С. Мартынов. М.: Проект ГЭФ «Сохранение биоразнообразия», Институт экономики природопользования, 2002. 95 с
5. Солдатова С.А. Экономическая оценка рекреационных ресурсов как основа рационального природопользования // Культура народов Причерноморья. 2001. № 25. С. 164–170.
6. საქართველოს კანონი „ტურიზმისა და კურორტების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33370?publication=11>
7. საქართველოს კანონი „კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარული დაცვის ზონების შესახებ“ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32476?publication=13>
8. ტურიზმის რეგულირება. პრიორიტეტული დარგის მოძველებული კანონმდებლობა ტურიზმის ინსტიტუტი. ბათუმი 2017.

ტურისტულ - რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასება

ნოდარ გრძელიშვილი
ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი აფელირებული პროფესორი;
სტუ.ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
ლაურა კვარაცხელია
ქიმიის დოქტორი
სტუ.ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი
თამუნა ექვთიმიშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

აბსტრაქტი

მიუხედავად თავისი სოციალური და ეკონომიკური მნიშვნელობისა, ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობა იწვევს გარემოს გარკვეულ სახეცვლილებას. ბუნებრივ გარემოზე მიყენებული ზიანის შემცირების მიზნით, აუცილებელია განხორციელდეს ტურისტულ-რეკრეაციული საქმიანობის ეკონომიკურ-სამართლებრივი რეგულირება. რეგულირების

ყველაზე მოთხოვნად ეკონომიკურ ინსტრუმენტს დღესდღეობით წარმოადგენს ბუნებრივი გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა.

ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების (ტრრ) ეკონომიკური შეფასების მეთოდების სისტემატიზაცია და უნივერსალური მეთოდიკის შემუშავება საშუალებას იძლევა გამოყენებული იქნეს ყველა ეკონომიკური ინსტრუმენტი ბუნებრივი გარემოს გაჭუჭყიანებისგან დაცვის საკითხებში და ამით გაიზარდოს გარემოს ტურისტულ-რეკრეაციული პოტენციალის დაცვა - შენარჩუნება.

ტურისტულ-რეკრეაციული ზონების შექმნის მიზანს წარმოადგენს ტურისტული საქმიანობის კონკურენტუნარიანობის გაზრდა რეგიონების რეკრეაციული პოტენციალის განვითარების გზით.

რეკრეაციული რესურსების აქტიური გამოყენების ტენდენციები, მათი ჩართვა სამეურნეო ბრუნვაში არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრინციპებს, უნდა აწონასწორებდეს საზოგადოების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ინტერესებს. ამ მხრივ მეტად აქტუალური ხდება ბუნებრივი გარემოს ნეგატიური ცვლილებებისგან დაცვის ეკონომიკურ-სამართლებრივი ინსტრუმენტების შემუშავების საკითხები, რომლებსაც მიეკუთვნება ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა.

Economic assessment of tourism-recreational resources

Nodar Grdzelishvili

Doctor of Economics, New Higher Education Institute - Newuni Affiliate Professor;
Georgian Technical University, The Center Studying Productive Forces and Natural Resources of
Georgia, Senior Researcher

Laura Kvaratskhelia

Doctor of Chemistry,
Georgian Technical University, The Center Studying Productive Forces and Natural Resources of
Georgia, Senior Researcher

Tamuna Ekvimishvili

Doctoral student of Georgian Technical University

Abstract

Despite its social and economic importance, tourism-recreational activities cause some change in the environment. In order to reduce the damage to the natural environment, it is necessary to implement economic and legal regulation of tourism-recreational activities. The most demanded economic instrument of regulation today is the methodology of economic assessment of the tourist-recreational potential of the natural environment.

Systematization of economic evaluation methods of tourism-recreational resources (TRR) and development of universal methodology allows to use all economic tools in the field of protection from natural pollution and thus increase the protection of the tourism-recreational potential of the environment.

The purpose of creating tourist-recreational zones is to increase the competitiveness of tourism activities by developing the recreational potential of the regions.

Trends in the active use of recreational resources, their involvement in economic turnover should not contradict the principles of sustainable economic development, should balance the ecological and economic interests of society. In this regard, the issues of developing economic-legal instruments for protection from negative changes in the natural environment, which include the methodology of economic assessment of tourism-recreational resources, are becoming more relevant.

Évaluation économique des ressources touristiques-récréatives

Nodar Grdzlishvili

docteur en économie, nouvel institut d'enseignement supérieur - professeur affilié à Newuni ;
Université Technique Géorgienne, Centre d'étude des forces productives et des ressources
naturelles de Géorgie, chercheur principal

Laura Kvaratskhelia

Docteur en chimie,
Université Technique Géorgienne, Centre d'étude des forces productives et des ressources
naturelles de Géorgie, chercheur principal

Tamuna Ekvimishvili

Étudiant au doctorat de l'Université Technique de Géorgie

Abstrait

Malgré son importance sociale et économique, les activités touristiques et récréatives provoquent des changements dans l'environnement. Afin de réduire les dommages causés à l'environnement naturel, il est nécessaire de mettre en œuvre une réglementation économique et juridique des activités touristiques et récréatives. L'instrument économique de régulation le plus demandé aujourd'hui est la méthodologie d'évaluation économique du potentiel touristique et récréatif de l'environnement naturel.

La systématisation des méthodes d'évaluation économique des ressources touristiques-récréatives (RRT) et le développement d'une méthodologie universelle permet d'utiliser tous les outils économiques dans le domaine de la protection contre les pollutions naturelles et ainsi augmenter la protection du potentiel touristique-récréatif de l'environnement.

La création de zones récréotouristiques vise à accroître la compétitivité des activités touristiques en développant le potentiel récréatif des régions.

Les tendances dans l'utilisation active des ressources récréatives, leur implication dans le chiffre d'affaires économique ne doivent pas contredire les principes du développement économique durable, doivent équilibrer les intérêts écologiques et économiques de la société. À cet égard, les questions de développement d'instruments économiques et juridiques pour la protection contre les changements négatifs dans l'environnement naturel, qui incluent la méthodologie d'évaluation économique des ressources touristiques et récréatives, deviennent de plus en plus pertinentes.

Some questions of strategic planning of non-profit organizations' marketing using the example of a university

Konstantin Golubev

**Doctor of Economics, Professor at the Belarusian State Economic University
(Minsk, Belarus)**

Introduction

The specificity of the approach to marketing of a non-profit organization is based on its status, which assumes that it does not have profit making as its main goal. At the same time, entrepreneurial activity is allowed, but only in accordance with its statutory goals (Article 46 of the Civil Code of the Republic of Belarus). This should be taken into account when shaping and planning your marketing strategy. That is, it is necessary to plan a non-commercial activity to create a social benefit, which is referred to in the statutory documents, and to plan an entrepreneurial activity that has an auxiliary character to create this social benefit.

Thus, the development of an adequate approach to strategic planning of the marketing of a university as a non-profit organization in a broad sense is due to the value of its product for society. The value of the university is determined by its activities to improve the human potential of the country; the place of the university in the social structure, as a part of the institute of ideology; its capabilities to ensure the implementation of the fundamental rights of citizens of the country (in particular, the right to education, participation in public, socio-economic and cultural life) [1, p. 135-140].

In a narrow sense, the development of issues of strategic planning of the marketing of a university is due to the need to ensure the recruitment of students who want and can study as efficiently as possible in a particular educational institution, and the importance of creating material conditions for the educational process.

Analysis of the position of a non-profit organization.

The need for effective management of a non-profit organization, competition in resource markets and competition for consumers are prerequisites for the increasing use of marketing as a tool for managing non-profit organizations. Leadership is designed to set goals, marketing is a means to achieve goals. At the same time, the formation of a consumer-oriented strategy depends on successful marketing, which determines the long-term success of the organization.

If we consider the university as a non-profit organization, then it should be noted that among them there may be state and non-state ones. Moreover, they all exist in the same market and compete with each other. First of all, we can talk about competition for applicants who would like to become students and are able to study successfully. To a large extent, the future rating of the university depends on the success of the students. In addition, the prospects for obtaining funding from the state budget and from non-state sources also strongly depends on the recruitment of students and the success of graduates. Thus, marketing methods should be an integral part of the university's management system, regardless of the form of ownership.

Marketing planning is not an autonomous area of activity, but an organic part of the management system. First of all, it involves an analysis of the current situation, including the external and internal

environment of the organization. A necessary basis for strategic planning can be called a SWOT analysis.

Particular attention should be paid to the analysis of external threats and opportunities. The macro environment consists of the uncontrollable factors that an organization must adapt to. Among these factors, the main ones are: socio-cultural (including demographic characteristics, norms, customs and values of the population), economic (which determines both state funding and the number of students studying on a paid basis), legislative, technological, international ... The analysis of the functional environment involves an understanding of the factors that directly affect the activities of the organization, and which are oppositely influenced by the organization itself. Among these factors, first of all, it is necessary to consider applicants and their parents, competitors, the labor market (including the situation on the market with qualified staff of teachers).

An important element is the analysis of the strengths and weaknesses of the organization. In this regard, it is of particular importance to understand the role of corporate culture (which is understood as those basic values and norms of behavior that the members of the organization adhere to). For a non-profit organization, a cultural leader (who is often the founder of the organization) is of great importance. He formulates his vision of the culture of the organization, creates conditions for the functioning of common values, is an example and controller of the culture of the organization. To a large extent, the support of the leader depends on the formation of symbols, ceremonies and mottos that correspond to the culture of the organization, stimulation (including through their behavior) of the compliance of the actions of the organization's members with the proclaimed values. A significant problem for the survival of a non-profit organization can be the conflict of cultures within the organization. The conflict of cultures can be associated with the private behavior of individual members of the organization, for example, those who recently came to work, but it can also be objectively determined by the goal.

Stages of strategic planning for the marketing of a non-profit organization.

The main purpose of the organization, for what and for whom it exists, must be reflected in its mission. The mission needs to be achievable, challenging and reflective of the organizational differences.

In this regard, an interesting example is the mission of the American Marketing Association, the largest of the marketing associations (more than 50 thousand members), which not only has significant influence in the field of education, but was generally created to promote cooperation in the field of marketing activities, ensuring compliance with its legislation and ethical standards. Thus, the AMA declares that it aims to become the essential community for marketers, an organization that shapes the understanding of marketing around the world, with four strategies: striving for leadership in providing consumers, members and all stakeholders; providing a proactive, differentiated and up-to-date view of the AMA position; creating an intellectual agenda; creating a personalized and interconnected knowledge market. [2, p. 59, 105].

The general direction of the organization's activities is reflected in its tasks, which specify its mission at this stage. For a university, many tasks can be formulated, for example, increasing the international rating, increasing financial stability, raising teachers' professionalism, increasing the level of students' knowledge, etc. Among the tasks, it is necessary to select several that are the most urgent, consistent and achievable.

Tasks are concretized in the form of goals with real digital parameters. Accordingly, the achievement of goals can be monitored and evaluated. This allows you to see the real change in the organization's position, analyze its successes and failures, and adjust the direction of development. For example, it might be desirable to take a certain place in the national ranking of universities, to receive funding and start training a certain number of students in any specialty.

An important component of strategic marketing planning is portfolio development planning. A university as a non-profit organization usually operates in several markets and must make a decision on the direction of development, first of all, on planning a change in the admission of students to study in various specialties. For strategic planning of an organization's portfolio, one of the main tools can be the matrix of I. Ansoff (matrix product-market) and its modifications. Finally, an independent stage in the strategic marketing planning process should be the definition of a central marketing strategy. It involves the establishment of the most important target markets, determination of competitiveness, the formation of a marketing mix to satisfy the target consumer, taking into account the specifics of competition. At this stage, the use of basic strategies can be proposed: differentiation (i.e., offering a product that differs from the product of competitors, for example, attracting applicants to a university with advanced equipment), leading in cost (setting the lowest tuition fee), focusing (i.e. ie, the choice of a separate segment, for example, the orientation towards training college graduates in an abbreviated program) [3, p. 131-153].

It is necessary to strive to ensure that the marketing components of a non-profit organization not only correspond to its main statutory activities related to the provision of some social good, but that they can have a synergistic effect.

Conclusion

Based on their characteristics of the status of a non-profit organization, it is necessary to take into account that all areas of its activities should not destroy the positioning of the organization. In particular, this applies to the coordination of commercial and non-commercial areas. Violation of this rule will affect its main activity of creating social benefits and image, will lead to an outflow of sponsors and contributors to the organization's fund, and may be a reason for the organization's abolition. Effective marketing planning can underpin the development of non-profit organizations that provide the social goods that society needs.

LITERATURE

1. Golubev, K. I. Product of marketing of non-profit organization (based on institute of higher education). / K. I. Golubev // Scientific works of the Belarusian State University of Economics. - Minsk, - 2017. P. 135-140.
2. Kotler, F. Strategic marketing of non-profit organizations / F. Kotler, A. R. Andreasen- Moscow: Phoenix, 2007. -854 PP.
3. Porter, E. M. Competitive strategy / Michael E. Porter. - Moscow: Alpina Business, 2005.- 454 p.

Some questions of strategic planning of non-profit organizations' marketing using the example of a university

Konstantin Golubev

**Doctor of Economics, Professor at the Belarusian State Economic University
(Minsk, Belarus)**

Annotation

The article is devoted to the problems of strategic marketing planning as part of a non-profit organization management system. Non-profit organizations have the right to commercial activity consistent with their statutory goals. Therefore, it is necessary to consider the planning of non-profit and commercial activities of a non-profit organization.

Keywords: Strategic planning; marketing; non-profit organization; audit; mission; task; goal.

Quelques questions de planification stratégique du marketing des organisations à but non lucratif à l'aide de l'exemple d'une université

Konstantin Golubev

**Docteur en économie, professeur à l'Université économique d'État de Biélorussie
(Minsk, Biélorussie)**

Annotation

L'article est consacré aux problèmes de planification marketing stratégique dans le cadre d'un système de gestion d'organisation à but non lucratif. Les organisations à but non lucratif ont le droit d'exercer une activité commerciale conforme à leurs objectifs statutaires. Par conséquent, il est nécessaire d'envisager la planification des activités à but non lucratif et commerciales d'une organisation à but non lucratif.

Mots-clés: Planification stratégique ; commercialisation; organisation à but non lucratif; Audit; mission; tâche; but.

**არაკომერციული ორგანიზაციების მარკეტინგის სტრატეგიული დაგეგმვის
რამდენიმე საკითხი უნივერსიტეტის მაგალითზე**

კონსტანტინე გოლუბევი

**ეკონომიკის დოქტორი, ბელორუსის სახელმწიფო ეკონომიკური უნივერსიტეტის
პროფესორი
(მინსკი, ბელორუსია)**

ანოტაცია

სტატია ეძღვნება სტრატეგიული მარკეტინგის დაგეგმვის პრობლემებს, როგორც არაკომერციული ორგანიზაციის მართვის სისტემის ნაწილს. არაკომერციულ ორგანიზაციებს აქვთ კომერციული საქმიანობის უფლება, მათი კანონიერი მიზნების შესაბამისად. ამიტომ აუცილებელია გაითვალისწინებულ იქნას არაკომერციული ორგანიზაციის, როგორც არაკომერციული და ასევე კომერციული საქმიანობის დაგეგმვა.

აშშ-რუსეთის ინტერესთა დაპირიპირების პარალელურად, 1991 წლიდან, სამხრეთ კავკასიაზე გავლენის გაფართოებისთვის იძაბება რუსეთ-თურქეთის ურთიერთობებიც, რომელთა შორის საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე დაპირიპირება, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან „კასპიის ენერგორესურსების ტრანსპორტირებისა და თურქეთის მიერ სამხრეთ კავკასიურ საკომუნიკაციო საშუალებების კონტროლით“ გამოიხატა. ჯერ კიდევ, 1980-იანი წლებიდან თურქეთის ხელისუფლება კავშირებს ავითარებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში, როგორც თურქულენოვან, ასევე არათურქულენოვან ხალხებთან. აღნიშნული პროცესები კიდევ უფრო მყარდება საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან, როდესაც თურქეთი მხარს უჭერს „სამხრეთ კავკასიის“ ახლად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს; ქვეყნებს შორის ღრმადდება კულტურათაშორისი ურთიერთობები და საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში იხსნება თურქეთის საელჩოები.

სამხრეთ კავკასიის რეგიონის მიმართ ვალდებულებებს ზრდის ნატო. ალიანსი განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს მიმართ გამოხატავს. საქართველო შავი ზღვის მოსაზღვრე ქვეყანაა და მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ნატოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობის არეალს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა რომ, ნატო მაქსიმალურად არიდებს თავს რუსეთთან უთანხმოებას და, რასაკვირველია, არც მის ინტერესებში არ შედის მოსკოვთან რაიმე სახის კონფრონტაცია, ორგანიზაცია აგრძელებს თანამშრომლობას შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან და მიიჩნევს, რომ შავი ზღვის უსაფრთხოება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ევროპის, ბალკანეთის, ევრაზიისა და შუა აღმოსავლეთის უსაფრთხოებასა და სტაბილურობას გრძელვადიან პერსპექტივაში (*Melvin 2018, გვ.63-66*).

ბოლო წლებში, სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი მოთამაშე ჩნდება, XXI საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი საერთაშორისო აქტორი - ჩინეთი, რომლის სწრაფმა ეკონომიკურმა აღმავლობამ საფრთხე შეუქმნა ამერიკის შეერთებულ შტატებსაც კი. ჩინეთი პრეტენციას აცხადებს არა მარტო სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე დომინანტობისთვის, არამედ მიზნად ისახავს უძველესი „აბრეშუმის გზის“ აღდგენას, სახელწოდებით „ერთი გზა-ერთი სარტყელი“ და ღიად გამოთქვამს სურვილს, გახდეს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე სამხრეთ კავკასიის რეგიონში (*ზარქუა, 2020*).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან სამხრეთ კავკასიის ინტეგრაციის მცდელობის თვალსაჩინო ილუსტრაციას წარმოადგენს კავკასიის ე.წ. „საერთო სახლის“ შექმნის იდეა, რომლის საწყის ეტაპად შეიძლება ჩაითვალოს 1989 წელს „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეის შექმნა“, ჩრდილოეთ კავკასიელი ხალხების გაერთიანებით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ ხალხებს, რეალურად, არ გააჩნდათ მთელი რიგი სახელმწიფოებრივი წანამძღვრები, ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ელიტა ნათლად ხედავდა სამხრეთ კავკასიელ მეზობლებთან - საქართველოსა და აზერბაიჯანთან თანამშრომლობის აუცილებლობას. თუმცა „კავკასიის საერთო სახლის“ იდეა საბოლოოდ ვერ განხორციელდა.

„კავკასიის ფედერაციის“ შექმნაზე საუბრობს ცნობილი მეცნიერი ა. დუგინი თავის ნაშრომში „გეოპოლიტიკის საფუძვლები“. რუსი ნაციონალისტი, „კავკასიის ფედერაციაში“, სამივე კავკასიური რესპუბლიკის დამოუკიდებელ თანამეგობრობაში გაერთიანებას მოიხარებს, რომელთაც რუსეთის შიდა ავტონომიური წარმონაქმნები ექნებათ. რუსეთი მათ კულტურულ-ეკონომიკურ დამოუკიდებლობას მისცემს, მაგრამ უზრუნველყოფს მკაცრ სტრატეგიულ ცენტრალიზმს. დუგინის თვალსაზრისით, ეს არის ყველაზე მოქნილი სისტემა, რომელიც არა ძალადობასა და ოკუპაციას, არამედ „კავკასიური მრავალფეროვნების გაერთიანებას“ ისახავს მიზნად (*დუგინი 1999, 247*).

კავკასიის ინტეგრაციის კიდევ ერთი მოდელია „ამიერკავკასიის შეერთებული შტატების“, ან „კავკასიის შეერთებული შტატების“ შექმნის იდეა, რომელიც მისი არსით, ჯერ საქართველოსა და აზერბაიჯანის გაერთიანებას, ხოლო მოგვიანებით კი, აღნიშნულ პროცესებში, სომხეთის ჩართულობას გულისხმობდა, მაგრამ სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის გადაუჭრელი კონფლიქტის შედეგად, ვერც ამ მოდელმა გაამართლა. აზერბაიჯანული პოლიტიკური სპექტრი სასტიკად ეწინააღმდეგებოდა სომხეთთან ნებისმიერი სახის პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას.

კავკასიის ინტეგრაციის რუსული ვარიანტია „3+1“ მოდელი, რომელიც რუსეთმა 1996 წელს კისლოვოდსკის სამიტზე წარადგინა. შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური წარმონაქმნების ხელმძღვანელობაც ესწრებოდა, რუსულმა მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ გეოპოლიტიკურად, კავკასია რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია და რეგიონში რუსეთის ინტერესები წამყვან როლს უნდა ასრულებდეს. ცალსახაა, რომ აღნიშნული მოდელი მიზნად ისახავდა, უპირველეს ყოვლისა, რუსეთის, და არა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ხალხების ინტერესების დაცვას. 1999 წელს სტამბოლის სამიტზე ეუთოს (ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია) წევრმა სახელმწიფოებმა მიიღეს გადაწყვეტილება „3+3+2“ მოდელის შესახებ, რომელიც კავკასიის სამ დამოუკიდებელ სახელმწიფოს (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი), სამხრეთ კავკასიის სამ მოსაზღვრე სახელმწიფოს (რუსეთი, თურქეთი, ირანი) და მსოფლიოს სხვა დომინანტ აქტორებს აერთიანებდა (აშშ და ევროკავშირი) (*ისმაილოვი 2007, გვ.33*).

დღემდე აქტუალურია კავკასიის ინტეგრაციის შემდეგი მოდელი:

- „კავკასიის საერთო სახლის“ მოდელი, რომელიც აერთიანებს სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელ სახელმწიფოებსა და ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიურ რესპუბლიკებს;
- კავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) გამაერთიანებელი მოდელი;

- კავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს რუსეთთან გაერთიანების მოდელი („3+1“ მოდელი);

- კავკასიის სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოს, სამი მოსაზღვრე სახელმწიფოს და მსოფლიოს სხვა დიდი სახელმწიფოების გაერთიანების მოდელი („3+3+2“ მოდელი).

2020 წლის 11 დეკემბერს თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი სამხრეთ კავკასიაში კიდევ ერთი პლატფორმის შექმნის ინიციატივით გამოვიდა, რომელიც თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ირანის თანამშრომლობის გაღრმავებას მოიაზრებს. თურქეთის პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ე.წ. „ექვსეულის ფორმატის“ შექმნა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს რეგიონის ქვეყნების მჭიდრო დაახლოებასა და სტაბილურ განვითარებას. ერდოღანი მიესალმება ინიციატივაში სომხეთის ჩართულობას და თვლის, რომ ეს უდიდესი შესაძლებლობა იქნება ანკარასა და ერევანს შორის ურთიერთობის თვისებრივად ახალი ეტაპის დასაწყებად, „მთიანი ყარაბაღის“ ირგვლივ განვითარებული მოვლენების შემდეგ (*DAILY SABAH, 2020*).

ცხადია, ზემოაღნიშნული ფორმატის პრაქტიკაში განხორციელება საქართველოსთვის უდიდესი გამოწვევაა. 2021 წლის 3 მარტს თურქეთში ვიზიტისას, საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დავით ზალკანიანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პარტნიორ ქვეყნებს შორის ურთიერთობები, უპირველეს ყოვლისა, უნდა ეფუძნებოდეს „ისეთი მნიშვნელოვანი და ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემას, როგორც არის ქვეყნების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აღიარება“. აღნიშნული კუთხით, საქართველოს პოზიცია რუსეთთან მიმართებით მტკიცე და ურყევა. ოფიციალური თბილისი უარს აცხადებს რაიმე სახის ფორმატში თანამშრომლობაზე იმ ქვეყანასთან, რომელსაც მეზობელი ქვეყნის 20% ოკუპირებული აქვს და სადაც დღემდე განლაგებულია რუსეთის სამხედრო ბაზები (*Civil.ge, 2021*).

ამდენად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი პერიოდიდან, მსოფლიო პოლიტიკის გლობალური თუ რეგიონული მოთამაშეები აქტიურად იბრძვიან სამხრეთ კავკასიაში დომინანტური პოზიციების მოპოვებისა და გავლენის სფეროების გაფართოებისთვის. 2020 წელს კი, კორონავირუსის პანდემიით გამოწვეული გლობალური ცვლილებების კვალდაკვალ, მსოფლიოში მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური რყევები შეინიშნება. აღნიშნული პროცესების ერთ-ერთ შემადგენელი ნაწილი, რა თქმა უნდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონიცაა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია, რომ კავკასიის ინტეგრაციის ყველა კონცეპტუალური მოდელი, რომლის მთავარ მიზანს კავკასიის რეგიონის ახალ გეოპოლიტიკურ სივრცეში გადანაწილებისა და მასში შემავალი სახელმწიფოების მშვიდობა და სტაბილურობა წარმოადგენდა, უშედეგო აღმოჩნდა. მიუხედავად არაერთი მოდელის დამაჯერებლობისა, გარკვეული მიზეზების გამო, მათი თეორიიდან პრაქტიკაში განხორციელება, რეალურად, ვერ მოხერხდა. როგორც ე. ისმაილოვმა და ვ. პაპავამ შენიშნეს, ჯერ კიდევ 1992 წელს, აღნიშნული მოდელების ნაკლი „კავკასიის ინტეგრაციის მთელი პრობლემების, მისი სტრუქტურის, მექანიზმებისა და მაინცირებელი ბირთვის არაადეკვატურ ხედვაში“ მდგომარეობს (*ისმაილოვი ე., პაპავა ვ 2007, 34*). ცხადია, მეცნიერების ეს მოსაზრება დღემდე არ კარგავს აქტუალურობას.

სამხედრო ექსპერტ, ვ. მასაიას მიხედვით, კავკასიას, რომელსაც ცივილიზაციათა დაჯახების ფრონტის საზღვარი უჭირავს, უნიკალური შესაძლებლობა აქვს კონფრონტაციის მოდელიდან სამშვიდობო კუნძულად გადაიქცეს და შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც,

საუკუნეების წინ შვეიცარიამ და ნეპალის სამეფომ შეასრულეს. მეცნიერის მიხედვით, კონფონტაციული გარემოდან მშვიდობის ხიდის მშენებლობა სახალხო დიპლომატიას, რელიგიურ ტოლერანტობას, ტრანსკომუნიკაციური საშუალებების გაღრმავებას და ცივილიზაციათა დიალოგს უნდა დაეფუძნოს, რათა რეგიონში „მოქიშპე გეოპოლიტიკური პროექტების კონკურენცია, რეალურად, მშვიდობისა და სტაბილურობის ზონად გადაიქცეს. ამისთვის, გადაწყვეტ როლი კავკასიამ - „გეოსტრატამ“ (სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გეოგრაფიული რეგიონი) უნდა შეასრულოს (*მაისია 2013, გვ.188-192*).

ამრიგად, რუსეთის, თურქეთისა და ჩინეთისგან განსხვავებით, დასავლეთი საკმოდ გვიან გამოჩნდა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ ავანსცენაზე. თუ თავდაპირველად, ისინი რეგიონში ფრთხილად მოქმედებდნენ, რათა არ გაელიზიანებინათ რუსეთი და თურქეთი, დღეს, ევროკავშირი და ნატო სრულყოფილებიან მოთამაშეებად გვევლინებიან „სამხრეთ კავკასიაში“ და მნიშვნელოვნად წარმართავენ რეგიონში შემავალი ქვეყნების პოლიტიკურ დღის წესრიგს. არაერთი გავლენიანი და ავტორიტეტული ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში, მოსახლეობის დიდი ნაწილი მხარს უჭერს ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, თუმცა, აღნიშნული ქვეყნების დღის წესრიგში ასევე დგას არაერთი სენტიმენტური საკითხი და გამოწვევა, რაც ცხადია, დიდწილად, ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ხალხის კონსერვატიული, ტრადიციებსა და კულტურულ ფასეულობებზე დაფუძნებული მსოფლმხედველობით აიხსნება. ასევე, აღნიშვნის ღირსია ევროკავშირის როლი სამხრეთ კავკასიური კონფლიქტების დარეგულირებასა და რეგიონში ადამიანის უფლებების, კონსტიტუციონალიზმის, კარგი მმართველობის, დემოკრატიისა და სხვა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პროცესების პოზიტიურ განვითარებაში.

ბიბლიოგრაფია

1. არემიძე მ. "მსხვილი მოთამაშეების" პოლიტიკური ინტერესები სამხრეთ კავკასიაში“. საისტორიო ვერტიკალები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. თბ. 2014.
2. გასვიანი თ. „აფხაზეთის ომი“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. თბ. 2005.
3. დუგინი ა. „გეოპოლიტიკის საფუძვლები: რუსეთის გეოპოლიტიკური მომავალი“. გამომცემლობა „მთაწმინდელი“, თბ. 1999.
4. ეროლი ა. ინტერვიუ - ჩატარებულია ავტორის მიერ 2021 წლის აპრილში.
5. ზარქუა ა. „აშშ და ჩინეთი თუკიდიდეს ჩიხში - რა მომავალი აქვს ერთპოლუსიან მსოფლიოს“. ტაბულა. 15 მაისი, 2020. იხ. <https://www.tabula.ge/ge/story/171494-ashsh-da-chineti-tukidides-chixshi-ra-momavali-aqvs-ertpolusian-msoflios> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.06.2021.
6. ისმაილოვი ე. და პაპავა, ვ., „ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები“. გამომცემლობა დიოგენე. 2007.
7. კომახია მ. „თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა და სამხრეთ კავკასია“. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი, Friedrich Ebert Stiftung. 2002, გვ. 4. იხ. <http://library.fes.de/pdf-files/bueros/vifaost/c03-00409.pdf> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 24.06.2021.

8. მაისია ვ. „რუსეთის მიზანი უკრაინასა და საქართველოზე გავლენის მოპოვება“. ახალი თაობა. თბ. 2015, 7 იანვარი, N3.
9. პაპავა ვ. „ცენტრალური კავკაზია: გეოპოლიტიკონომიკური ნარკვევები“, გამომცემლობა სიახლე. თბ. 2009.
10. ჭიპაშვილი ჰ. „რა ხდება რუსეთში“? საერთაშორისო ცხოვრება, საქართველოს რესპუბლიკა. N213, სამშ. 28 სექტემბ. 1993.
11. Civil.ge. “Глава МИД Грузии находится с визитом в Турции”, იხ. <https://civil.ge/ru/archives/403231> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
12. DAILY SABAH. „6-country regional cooperation platform win-win for actors in Caucasus, Erdoğan says“. 11 December, 2020. იხ. <https://www.dailysabah.com/politics/diplomacy/6-country-regional-cooperation-platform-win-win-for-actors-in-caucasus-erdogan-says> უკანასკნელად იქნა ხელმისაწვდომი 20.06.2021.
13. Melvin J. SIPRI Policy Paper No. 50 “Rebuilding Collective Security in the Black Sea Region the risks of military confrontation in the Black Sea region” SIPRI Policy Paper No. 50, December 2018, pp. 63-66. იხ. <https://www.sipri.org/publications/2018/sipri-policy-papers/rebuilding-collective-security-black-sea-region> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2021.
14. Договор о признании царем Карталинским и Кахетинским Ираклием II покровительства и верховной власти России (Георгиевский трактат), Сборник архивных документов. Русская книга, 1992. იხ. <http://www.amsi.ge/istoria/sab/georgievski.html> უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 22.06.2021.

**სამხრეთ კავკასია და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომი გეოპოლიტიკური
გადანაწილება**

ეკატერინე ლომია
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორანტი
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

რეზიუმე

ცნება - „კავკასიის“ თანამედროვე გაგება რუსეთის იმპერიის მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგი პერიოდიდან ყალიბდება და გეოპოლიტიკურ კონტექსტში, კავკასიონის მთავარი ქედის მდებარეობას აღნიშნავს. ამ დროიდან ჩნდება ტერმინი „Закавказье“, - „კავკასიონის გადაღმა, ანუ მოცემულ ქედს გადაღმა“-ს მნიშვნელობით. კავკასიაში, სწორედ რუსეთის შემოსვლით იწყება რეგიონის დაყოფა კავკასიად და ამიერკავკასიად. XX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მრავალეროვნული გაერთიანების დაშლისა და საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, ცნება „Закавказье“ შეიცვალა უფრო ზუსტი და კორექტული - „სამხრეთ კავკასიის“ ტერმინით. რეგიონში დომინანტური პოზიციების მოპოვებაზე, ფაქტობრივად, „ომი“ გაჩაღდა მსოფლიო პოლიტიკის წამყვან აქტორებს შორის.

The South Caucasus and the post-Soviet geopolitical redistribution

Ekaterine Lomia
PhD Candidate in Political Science
Caucasus International University

Summary

The modern understanding of the concept "Caucasus" is formed from the period of the Russian Empire and in a geopolitical context, it indicates the location of the main ridge of the Caucasus. From the mentioned period of time the term "Transcaucasia" is widely used with the meaning of "across the Caucasus, or across a given ridge." The division of the region into the Caucasus and Transcaucasia begins with the rise of the Russian Empire. In the 1990s, after the collapse of the multinational Union of Soviet Socialist Republics and the restoration of the independence of Georgia, Armenia and Azerbaijan, the term "Transcaucasia" was changed into a more precise and correct term - "South Caucasus". The disintegration of the Soviet Union marked the beginning of serious clashes of interest over the South Caucasus region among the prominent actors of international relations of the twentieth century.

Le Caucase du Sud et la redistribution géopolitique post-soviétique

Ekaterine Lomia
Doctorant en science politique
Université internationale du Caucase

Résumé

La compréhension moderne du concept "Caucase" est formée à partir de la période de l'Empire russe et dans un contexte géopolitique, elle indique l'emplacement de la crête principale du Caucase. Depuis la période mentionnée, le terme "Transcaucasie" est largement utilisé avec le sens de "à travers le Caucase ou à travers une crête donnée". La division de la région entre le Caucase et la Transcaucasie commence avec la montée de l'Empire russe. Dans les années 1990, après l'effondrement de l'Union multinationale des Républiques socialistes soviétiques et le rétablissement de l'indépendance de la Géorgie, de l'Arménie et de l'Azerbaïdjan, le terme « Transcaucasie » a été remplacé par un terme plus précis et correct - « Caucase du Sud ». La désintégration de l'Union soviétique a marqué le début de graves conflits d'intérêts sur la région du Caucase du Sud entre les principaux acteurs des relations internationales du XXe siècle..

ტერორიზმი და საქართველო

დიმიტრი სულამანიძე

გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საერთო სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“-ის მაგისტრი

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოს უსაფრთხოებისა და სიმშვიდის მთავარ გამოწვევად ოცდამეერთე საუკუნეში ტერორიზმი იქცა, ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ევროსაბჭოს წევრმა სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ევროპულ კონვენციას ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, თუმცა თამამად შეიძლება ითქვას რომ სამყარო განსაკუთრებით გამოაფხიზლა ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტმა და წამყვანი სახელმწიფოები დააფიქრა ამ საფრთხის რეალურ მასშტაბებზე, სწორედ ამიტომ აღნიშნულ პრობლემას უდიდესი ყურადღება ექცევა მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, რომელიც აღიარებულია ტერორისტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაში გლობალური კოალიციის წევრად. 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენებამდე ტერორიზმის საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობდა, პრაქტიკულად ასეთი სახით იგი არც ახლა არსებობს, მაგრამ ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი წინსვლა შეინიშნება. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ გაეროს გენერალური მდივნის კოფი ანანის 2002 წლის ოქტომბრის განცხადება, რომლითაც იგი ცდილობდა ტერორიზმის განმარტებას: „ტერორიზმი არის გლობალური საფრთხე, გლობალური ეფექტებით... თავისი ბუნებიდან გამომდინარე ეს არის თავდასხმა სამართლის, წესრიგის და ადამიანის უფლებების ფუნდამენტურ პრინციპებზე“. ევროკავშირი ტერორიზმს ასეთ შეფასებას აძლევს: „ტერორიზმი ეს არის ქმედება, რომლის მიზანსაც წარმოადგენს საზოგადოების დაშინება, მთავრობებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებზე არაკანონიერი გზით ზეგავლენის მოხდენა, ქვეყნებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების განადგურება“. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით ტერორიზმი ეს არის „ქვეეროვნული და ფარული ელემენტების მიერ საზოგადოებაზე ზეგავლენის თვალსაზრისით დაგეგმილი ძალადობა, რომელიც მიმართულია არასაომარი – სამოქალაქო სამიზნეების წინააღმდეგ“. აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტო იძლევა ტერორიზმის ოთხ ძირითად დამახასიათებელ ელემენტს:

- ძალადობის წინასწარ დაგეგმილი და არაიმპულსური აქტი.
- ქმედება, რომელიც განსაზღვრულია პოლიტიკური წესრიგის შესაცვლელად;
- ქმედება, რომელიც მიმართულია სამოქალაქო პირების წინააღმდეგ
- და ბოლოს, იგი ხორციელდება ქვეეროვნული დაჯგუფების მიერ.

ტერორიზმი თავისი ბუნებით საკმაოდ რთული შინაარსის მქონე დანაშაულია და საერთაშორისო ტეროლოგიისთვის მისი ზუსტი დეფინიციის განსაზღვრა დღესაც კი სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ასევე ტერორიზმი და ტერორი, ტერორიზმი ეს არის იდეოლოგია, ტერორი კი არის იდეოლოგიური ომის ფორმა. ტერორისტები დროთა განმავლობაში ცვლიან თავიანთი ბრძოლის მეთოდებს, იცვლება მათი ღირებულებებიც, მიზნები, ბრძოლის მასშტაბები, ყოველივე აღნიშნული კი კიდევ უფრო ართულებს ამ ტერმინის ზუსტი ცნების განსაზღვრას. ქართული რეალობიდან გამომდინარე, ტერორიზმმა აქაც გაიარა

განვითარების სტადიები დღეს უკვე საქართველო საერთაშორისო ტერორიზმის ერთ-ერთ სამიზნესაც წარმოადგენს, სისხლის სამართლის კოდექსში და კანონში "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" გაჩნდა ტერორიზმის დეფინიციაც.

ტერორიზმის ისტორიული განვითარება საქართველოში

ქართული სახელმწიფოებრიობა თითქმის 35 საუკუნეს ითვლის, ოფიციალური წერილობითი ცნობები სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის თაობაზე ძვ.წ.ად. მე-13 საუკუნეში გვხვდება. ზოგადად ტერორიზმის განვითარების ისტორიას თუ გადავხედავთ, ერთერთ პირველ ტერორისტებად ზელოტები არიან მიჩნეული, ზელოტები იყვნენ ებრაელი ჯარისკაცები, რომლებიც აუჯანყდნენ რომის იმპერიას, ზელოტთა ქმედება განხილულია ტერორიზმად, მივედით იმ დასკვნამდეც რომ რთულია ამ სიტყვის სწორი მნიშვნელობით გამოყენება, ერთისთვის ტერორისტი და სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მეომარი, საშიში დამნაშავეა, მეორესთვის განმათავისუფლებელი გმირი. ტერორიზმის რა მოგახსენოთ, მაგრამ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლებში აქტიურად გამოიყენებოდა პარტიზანული ბრძოლის მეთოდები საქართველოში, მსჯელობა შეგვიძლია დავიწყოთ მეთექვსმეტე საუკუნეში გამოჩენილი შავფაროსნებით, რომლებიც იყენებდნენ პარტიზანული ომის ტაქტიკას. შავფაროსნების ძირითადი დანიშნულება იყო მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მოხდენა და წერტილოვანი დარტყმებით მათი დემორალიზება, მტრის ბანაკებში შეუმჩნევლად შეღწევა და სელექციური მკვლელობებით მოწინააღმდეგისთვის გამოუსწორებელი დარტყმის მიყენება. ტერორიზმი, ხშირ შემთხვევაში ბევრი ადამიანისთვის, ამ ხერხით განხორციელებული აქტების სიმრავლის გამო, ასოცირდება აფეთქებასთან, აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ქართულ საბრძოლო შენაერთებს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის გამოცდილება არა მხოლოდ 21-ე საუკუნეში აქვს მიღებული, არამედ ბევრად უფრო ადრეც, მეცამეტე საუკუნეში, მონღოლთა ბატონობის პერიოდში, მონღოლური ჰამარის სისტემიდან გამომდინარე, რაც დაპყრობილი ხალხების ჩაყენებას გულისხმობს ბრძოლის წინა ხაზზე, 5 000 ქართველი იღებდა მონაწილეობას ალამუტის ციხის აღებაში, რომელსაც ასასინები იცავდნენ, იგივე ჰამიშინები(ჰამიშიანები) რომლებიც მრავალი საუკუნის მანძილზე უბადლო მკვლელებად ითვლებოდნენ, ისინი შედიოდნენ ჯაშუშებად სხვადასხვა სახელმწიფოების უმაღლეს ემელონებში, სამხედრო დანაყოფებში, მაღალჩინოსანთა პირად გარემოცვაში და შემდეგ მათი ლიკვიდაციის, მუქარის, შანტაჟის გზებით ცდილობდნენ გავლენის მოპოვებას, ჩემი აზრით ასასინების მოღვაწეობა იყო ყველაზე კარგად ორგანიზებული, მისტიციზმის საბურვლით შემოსილი, ყველაზე მძლავრი და ხანგრძლივი ტერორისტული გაერთიანება, ტერორიზმის ტიპური დეფინიციით. არ შეიძლება არ შევეხოთ უშუალოდ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებს, უძველესი დროიდან მოყოლებული საქართველო უამრავი დამპყრობლის სამიზნე იყო მისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, კიმერიელები, ასურელები, სპარსელები, ხაზარები, ჩრდილოკავკასიური ტომები, არაბები, ოსმალები, მონღოლები, რუსები, გამუდმებით ცდილობდნენ სხვადასხვა მეთოდებით ქართული სახელმწიფოებრიობის განადგურებას. ყველაზე დიდი მასშტაბის ტერორისტული აქტი თუკი რამ მომხდარა საქართველოს წინააღმდეგ, იყო 1225 წელს ჯალალ - ად-დინის მიერ თბილისის აღება და 100 000 ქართველის სიკვდილით დასჯა ისლამის უარყოფის გამო. 1800 წელს ქართლ-კახეთის და 1810 წელს იმერეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, მეფის რუსეთის წინააღმდეგ თავისუფლებისთვის მებრძოლ ქართველებს

არსებული რეჟიმი ანარქისტ-ტერორისტებად ნათლავდა. ამ პერიოდის ქართველი “ამბოხებულები” აწყობდნენ ცალკეულ ტერორისტულ აქტებს, რომლებიც მიმართული იყო რუსეთის იმპერიის დასუსტებისკენ, სახელმწიფოს ძირის გამოთხრისკენ, თუმცა მათ ჰქონდათ თავიანთი მორალური პრინციპები, მათი თავდასხმის ობიექტი არასდროს არ იყო უდანაშაულო ადამიანი. ისტორიულად ამ პერიოდის დასრულების შემდეგ კი იწყება საბჭოთა იმპერიალიზმი, რაც სხვა საუბრის თემაა.

ტერორიზმის განვითარება საქართველოში 1991 წლიდან დღემდე

საბჭოთა კავშირიდან გამოსვლის შემდეგ ქვეყანაში გაღვივდა სამოქალაქო ომი, რუსეთის ფედერაციამ გააღვივა სეპარატიზმი ჩვენს ორ ტეროგენულ ტერიტორიაზე, აფხაზეთსა და სამაჩაბლოში და ამ მიმართულებით დამატებითი ცეცხლის წარმოება მოუხდა ქვეყანას. საბოლოო ჯამში ქვეყანა ყოველმხრივ დასუსტდა. ხელისუფლების სამივე შტოში ძალიან სუსტი ადმინისტრაცია იყო, ქვეყანას ჰქონდა კორუფცია, საბედნიეროდ ამ პერიოდში საქართველო საგარეო ტერორიზმის თავდასხმის ობიექტი არ ყოფილა, თუმცა ტერორისტულ აქტებს ხშირად აწყობდნენ პოლიტიკოსები შიდა წრეებში ძალაუფლების გადასანაწილებლად. იყო ცალკეული შემთხვევები ჩვენი მეზობელი ქვეყნების სპეცსამსახურების ორგანიზებით, ეს დანაშაულები მიმართული იყო სახელმწიფოს წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა მის პრესტიჟის და სიმძლავრის შელახვას, მაგალითად ერთ-ერთი ღია წყაროს მიხედვით 1993 წელს ქუთაისის კოპიტნარის აეროდრომიდან მოღალატე პილოტმა სერგეი ჟიტნიკოვმა გაიტაცა ქართული სუ-25 ტიპის საფრონტო მოიერიშე და გადააფრინა სომხეთის ტერიტორიაზე, სომხეთი ამ ფაქტს დღემდე უარყოფს, თუმცა გარკვეული მოსაზრებით ეს იყო სომხური სპეცსამსახურის შურისძიება 1992 წელს ქართული მხარის მიერ აზერბაიჯანისთვის სამი სუ-25 (მიმინოს) ტიპის მოიერიშის მიყიდვის გამო. ამ მომენტში საკმაოდ კარგად ჩანს ქვეყნის უსაფრთხოების სიმძლავრე, საავიაციო კორპუსი, რომელიც ქართული რეალობიდან გამომდინარე ერთ-ერთი ყველაზე პატარაა, წესით უფრო მარტივად კონტროლირებადი და გაშიფრული უნდა იყოს შიდა პერსონალის საიმედოობის თვალსაზრისით. ნათელი ხდება ამის შემდეგ ის ფაქტი თუ რატომ იყო შიდა ტერორიზმი პოლიტიკოსების ბრძოლის მეთოდი ძალაუფლების დასატაცებლად. არ შეიძლება არ ვახსენოთ ამ პერიოდის ყველაზე მასშტაბური ტერორისტული აქტი, რომელიც განხორციელდა საქართველოს ექსპრეზიდენტის, ედუარდ შევარნაძის წინააღმდეგ, 1998 წლის 9 თებერვალს, სამთავრობო გზაზე, რასაც ყოველდღე გადის საქართველოს პრეზიდენტი, ათეულობით «ბოევიკი» ჩასაფრდა საღამოს 7 საათიდან და მსხვერპლს 8 საათამდე ელოდა.

საბედნიეროდ, თავდასხმამ ფუჭად ჩაიარა. არც ერთი ჭურვი ედუარდ შევარნაძის «მერსედესს» არ მოხვდა ისეით ტრაექტორიით და იმ ნაწილში, სადაც იგი მანქანის სალონში შეღწევას შეძლებდა. პრეზიდენტის პირადი დაცვის წევრებმა ცეცხლი საკუთარ თავზე მიიღეს და გადაარჩინეს დაცვის ობიექტი, რასაც ემსხვერპლა ერთი პირადი დაცვის წევრი და ერთი სპეცდანიშნულების ბატალიონის წევრი, აქაც ნათელი იმ პერიოდში ქართული სპეცსამსახურების რეალური ქმედუნარიანობა, მათი მიზანი პრეზიდენტის გადარჩენა კი არა, ტერორისტული აქტის თავიდან აცილება უნდა ყოფილიყო, მათ წინასწარ იცოდნენ რომ შესაძლებელი იყო თავდასხმის განხორციელება, მიუხედავად ამისა სპეცსამსახურებმა არ გადააფარეს პრეზიდენტის გადაადგილების რეგულარული მარშრუტებიც კი, ასევე ღია წყაროების მიხედვით ამ ტერორისტულ აქტის ორგანიზებას რუსული და ჩეჩნური სპეცსამსახურების ერთობლივ მოქმედებას მიაწერენ. მოგვიანებით, როდესაც საქართველომ

აქტიურად აიღო პროდასავლური კურსი, ქვეყნის შიდა რეფორმების შედეგად დამარცხდა კორუფცია და საქართველო სახელმწიფოს დაემსგავსა, გაქრა შიდაპოლიტიკური ტერორისტული აქტები, თუმცა თავი იჩინა საერთაშორისო ტერორიზმმა, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო პირდაპირი დარტყმის ობიექტი და სამიზნე არ არის ტერორისტული ორგანიზაციებისთვის, საფრთხე მაინც ძალიან რეალურია, რადგან ქვეყანაში გვაქვს 6 ტეროგენული ტერიტორია, საიდანაც ორი ოკუპირებულია და ვერ ხორციელდება ამ ტერიტორიებზე ანტიტერორისტული საქმიანობა, ასევე უნდა აღინიშნოს პანკისის ხეობა და აჭარის მუსლიმური მოსახლეობა, ამ შემთხვევაში სეპარატიზმის საფრთხე არ გვაქვს, მაგრამ რიგი მოქალაქეების დაბალი ცნობიერებით სარგებლობენ ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები როგორცაა თუნდაც "ისლამური სახელმწიფო" და ახდენენ ჩვენი მოქალაქეების რეკრუტირებას მათ რიგებში. „ისლამურმა სახელმწიფომ“ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მხარდამჭერთა გარკვეული რაოდენობა შეიძინა. ბოლო დროს გავრცელებული ვიდეომიმართვებიც, ერთის მხრივ, გარკვეული აუდიტორიის რადიკალიზებას, ხოლო, მეორეს მხრივ, საზოგადოების დაშინებას ემსახურებოდა. ამჟამად ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში რამდენიმე ათეული საქართველოს მოქალაქე იბრძვის. არიან საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის მსურველებიც. მათი ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულობა აზიანებს ქვეყნის იმიჯს და საფრთხის შემცველია სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის. საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარ ტერიტორიაზე ნებისმიერი ტერორისტული საქმიანობის პრევენცია და აღკვეთა. ამ მიმართულებით ქართულმა სპეცსამსახურებმა ჩაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები, მაგალითისთვის შეგვიძლია ავიღოთ ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ ე.წ. წარმომადგენლის და მისი დაჯგუფების წევრების წინააღმდეგ ჩატარებული გამოძიება. საქმე აღძრული იყო სსკ-ს 3271 (ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისათვის ან ტერორისტული საქმიანობის განხორციელებისათვის პირის გადაბირება) და 328 (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში ან უცხოეთის კონტროლისადმი დაქვემდებარებულ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება ან ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) მუხლებით. 2016 წლის 7 მარტს დასრულდა მათი სასამართლო პროცესი. თბილისის საქალაქო სასამართლომ მათ 10-14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. დაჯგუფების კიდევ ერთ წევრთან პროკურატურამ გააფორმა საპროცესო შეთანხმება, რის შედეგადაც მას სასჯელის სახედ განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და პირობითი 5 წლიანი პატიმრობა, 6 წლიანი გამოსაცდელი ვადით. ოპერატიული ღონისძიებები გატარდა აჭარასა და გურიაშიც. შედეგად დადგინდა იმ პირთა ვინაობა რომელთაც სავარაუდოდ ე.წ. ერთგულების ფიცი მისცეს „ისლამურ სახელმწიფოს“. მათ საცხოვრებელ სახლებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა სხვადასხვა ნივთმტკიცებები, მათ შორის, ცეცხლსასროლი იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები. დაკავებულია 4 პირი. ყურადღება დაეთმო რადიკალური იდეოლოგიის გავრცელების მიზნით ინტერნეტ სივრცის გამოყენების პრევენციას. 2015 წლის ნოემბერში, შეიზღუდა წვდომა რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელ ვებგვერდებსა და სოციალურ მედიაში დარეგისტრირებულ ჯგუფებზე. ქართული სპეცსამსახურების მიერ მიმდინარეობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტერორისტულ საქმიანობაში ჩართულ პირთა სისხლისსამართლებრივი დევნა, ასევე საქართველოში დაბრუნებული „ჯიჰადისტების“ პასუხისგებაში მიცემა. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წლის წინ ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გავრცელდა საქართველოს წინააღმდეგ

მუქარისა და ძალადობის შემცველი ვიდეომიმართვა. დღეის მდგომარეობით სირიასა და ერაყში ტერორისტული მიზნებით საქართველოს 50-მდე მოქალაქე იმყოფება.

ტერორიზმის სამართლებრივი რეგულაცია საქართველოში

ტერორიზმის დეფინიციას, ამ დანაშაულის სიმძიმეს, მეთოდებს, მათთან ბრძოლის ხერხებსა და მექანიზმებს და სასჯელებს არეგულირებს ქართული კანონმდებლობა სხვადასხვა ნორმატიული აქტების საშუალებით რომლებიცაა:

- ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონი
- სისხლის სამართლის კოდექსი თავი 38-ე
- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
- კონტრავერვითი საქმიანობის შესახებ კანონი
- ოპერატიულ სამძებრო საქმიანობის შესახებ კანონი
- ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები
- სხვა სამართლებრივი აქტები

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარ კანონს წარმოადგენს "ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონი", ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოში ტერორიზმთან ბრძოლის ორგანიზების ფორმებსა და სამართლებრივ საფუძვლებს, აგრეთვე ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში ხელისუფლების ორგანოთა კოორდინაციის წესს, საზოგადოებრივი გაერთიანებებისა და ორგანიზაციების, თანამდებობის პირებისა და მოქალაქეების მონაწილეობის საფუძვლებს, მათ უფლებებს, მოვალეობებს და მათი სოციალური დაცვის გარანტიებს.

ტერორიზმთან ბრძოლის მექანიზმები ქართულ რეალობაში

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა. თანამედროვე მსოფლიოში ტერორიზმის გლობალური საფრთხე ცვალებადი, არაპროგნოზირებადი და მზარდია. გლობალური ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინებაა ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“. თუმცა, ამით არ მცირდება სხვა ტერორისტულ დაჯგუფებებთან („ალ-ქაიდა“, „თალიბანი“ და სხვა.) ასოცირებული საფრთხეები.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გარდა ტერორიზმთან ბრძოლაში ძირითად როლს ასევე ასრულებს საქართველოს მთავარი პროკურატურა, რომელსაც ამ მიმართულებით გააჩნია შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრი, რომელსაც თავის მხრივ ჰყავს საგამომიებო სამსახური და ოპერატიული დანაყოფები, ეს უშუალოდ ის ძალაა, რომელიც ახორციელებს ანტიტერორისტულ საქმიანობას, მოგეხსენებათ მათ მოქმედებაში მოსაყვანად აუცილებელია დაიწყოს გამოძიება აღნიშნული მუხლით რისი საფუძვლებიცაა შემდეგი: ოპერატიული სამსახურის მიერ მიღებული ინფორმაცია, მასმედიასა და სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ინფორმაცია, უცხო ქვეყნის სამსახურებიდან მოწოდებული ინფორმაცია და სხვა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები
2. "ქართული დიპლომატია"
3. Michael Ronczkowski "Terrorism and organized hate crime"
4. სისხლის სამართლის კოდექსი
5. "ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ კანონი"

ტერორიზმი და საქართველო

დიმიტრი სულამანიძე

გერმანიის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისურენოვანი საერთო სამაგისტრო პროგრამის „საჯარო მმართველობა“-ის მაგისტრი

აბსტრაქტი

21-ე საუკუნეში ცივილიზებული სამყაროსთვის ერთ-ერთ უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმი. ამ საფრთხეს განსაკუთრებულ სიმძაფრეს მატებს ის ფაქტიც, რომ ძირითად შემთხვევაში ტერორისტების სამიზნეს წარმოადგენს მშვიდობიანი მოსახლეობა, ქალები, ბავშვები. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე ნაშრომში განხილულია არა მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმის, არამედ ზოგადად ტერორიზმის განვითარების ისტორია საქართველოში. საკითხის განხილვამდე, შესავალი ნაწილი საკითხის უკეთ აღსაქმელად დათმობილია ტერორიზმის დეფინიციის განსაზღვრისთვის, ახსნილია თუ რას ნიშნავს ტერორიზმი, მისი მნიშვნელობის მრავალბუნებოვნება სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის კანონმდებლობისთვის. მომდევნო თავები ეხება უშუალოდ ტერორიზმის განვითარების ისტორიას საქართველოში, საკითხის შესწავლის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ტერორიზმი, როგორც მოვლენა არ არის საქართველოს ისტორიის უახლესი ისტორიის შესწავლის საგანი, სწორედ ამიტომ ეს საკითხი ჩაშლილია ორ თავად, პირველი, ეს არის მისი ისტორიული განვითარება მეოცე საუკუნემდე, ხოლო მეორე თავი დათმობილია უახლესი ისტორიისთვის, ტერორიზმის განვითარება საქართველოში 1991 წლიდან დღემდე, გაანალიზებულია საფრთხეები და პრევენციული ზომები, რომლებიც გაატარეს ძალოვანმა სტრუქტურებმა. ამის შემდეგ განხილულია ტერორიზმის სამართლებრივი რეგულაცია, საკანონმდებლო ბაზა, არსებული ნორმატიული აქტები, რომელიც არეგულირებს აღნიშნულ ქმედებებს. ბოლო თავი კი ეხება უშუალოდ იმ სტრუქტურულ ერთეულებს, ძალოვან ორგანოებს, რომლებიც უშუალოდ ატარებენ კონტრტერორისტულ ღონისძიებებს.

Terrorism and Georgia

Dimitri Sulamanidze

**Master of Public Administration from the German University of Administrative Sciences and
Tbilisi State University**

Abstract

One of the greatest threats to the civilized world in the 21st century is international terrorism. Adding to this threat is the fact that the main target of terrorists is civilians, women and children. Due to the urgency of the issue, the paper discusses not only the history of international terrorism, but also the history of the development of terrorism in Georgia in general. Before discussing the issue, the introductory part is devoted to define the definition of terrorism, explaining what terrorism means, its multifaceted significance for the legislation of different states or international organizations. The following chapters deal directly with the history of the development of terrorism in Georgia. After studying the issue, it became clear that terrorism is not new field of research for Georgia, that's why this case is divided into two parts, the first is its historical development up to the twentieth century, and the second chapter is devoted to recent history, the development of terrorism in Georgia from 1991 to the present, analyzes the threats and preventive measures taken by law enforcement agencies. It then discusses the legal regulation of terrorism, the legal framework, the existing normative acts that regulate these actions. The last chapter deals directly with the structural units, law enforcement agencies that directly carry out counter-terrorist activities.

Le terrorisme et la Géorgie

Dimitri Sulamanidze

**Master en administration publique de l'Université allemande des sciences administratives et de
l'Université d'État de Tbilissi**

Abstrait

L'une des plus grandes menaces pour le monde civilisé au 21^e siècle est le terrorisme international. A cette menace s'ajoute le fait que la cible principale des terroristes sont les civils, les femmes et les enfants. En raison de l'urgence de la question, le document traite non seulement de l'histoire du terrorisme international, mais aussi de l'histoire du développement du terrorisme en Géorgie en général. Avant d'aborder la question, la partie introductive est consacrée à définir la définition du terrorisme, en expliquant ce que signifie le terrorisme, sa signification multiforme pour la législation des différents États ou organisations internationales. Les chapitres suivants traitent directement de l'histoire du développement du terrorisme en Géorgie. Après avoir étudié la question, il est devenu clair que le terrorisme n'est pas un nouveau domaine de recherche pour la Géorgie, c'est pourquoi cette affaire est divisée en deux parties, la première est son développement historique jusqu'au XX^e siècle, et le deuxième chapitre est consacré à l'histoire récente, le développement du terrorisme en Géorgie de 1991 à nos jours, analyse les menaces et les mesures préventives prises par les forces de l'ordre. Il aborde ensuite la réglementation juridique du terrorisme, le cadre juridique, les actes normatifs existants qui régissent ces actions. Le dernier chapitre traite directement des unités structurelles, des services répressifs qui mènent directement des activités antiterroristes.

Liturgical music as a stimulus for the development of a person and society

Larisa Gustova-Runzo

Doctor of Art History

Professor of Belarusian State University of Culture and Arts

Minsk, Belarus

INTRODUCTION

The economic growth of a country, the development of democracy does not necessarily lead to an improvement in the quality of life. The thirst for profit turns a moral, harmonious person into a commercial person who sets limited goals for himself. The development of human potential is impossible without mastering the achievements of art and the humanities. Respect, love, trust, and compassion are not brought up on the basis of mastering technical knowledge and growing technical professionalism. These human qualities develop in a humanitarian environment. The quality of life of citizens and the prosperity of a democratic state are influenced by art, especially music, including Orthodox liturgical singing.

Orthodox liturgical music is one of the brightest pages of the national spiritual and musical culture. In addition, Orthodox liturgical music is one of the forms of worship.

Liturgical singing is called a sounding icon. Orthodox liturgical music reveals and defines the face of Orthodoxy, as in an icon. Liturgical music is inseparable from the service of the Word, the Logos in the church consciousness. Just as the dogma of icon worship is connected with the doctrine of the Incarnation of God.

I. The musical expression of the word

Liturgical music has a strong emotional impact, helps believers to assimilate the verbal content of the hymns. The performer and the listener relive the content of the liturgical songs every time. A person can pour out the delight and flight of the soul, renounce the passions and everyday feelings in music and singing – so the holy Fathers of the Church believed²².

The melody gives space to those feelings that do not fit into the border of words. The singing of psalms and liturgical hymns focuses on the achievement of the highest Christian ideal – eternal bliss. Therefore, religious life has always sought musical expression.

Liturgical singing is not music in the literal sense of the word. Liturgical singing is rather a musically voiced word. The Holy Fathers called church singing not music, but a verbal melody. The musical element is a means of more deeply imprinting the texts of prayers in the memory and consciousness of listeners. At the same time, the musical element of liturgical singing makes it possible to emotionally perceive and interpret the verbal content of the services.

Saint Basil the Great drew attention to this phenomenon: "Since the Holy Spirit knew that it is difficult to lead the human race to virtue, that because of our inclination to pleasure we do not care about the right path, what does he do? The teaching is mixed with the pleasantness of sweetness, so that together with the delightful and euphonious for the ear, we would take in an inconspicuous way what is useful in the word. So, harmonious hymns of psalms have been invented for us, so that

²² Bychkov V. V. *Aesthetics of the Church fathers = Aestetica partum*, 1995, p. 182–183.

children of age, or who have not matured in morals at all, apparently only sing them, but in reality teach their souls"²³.

II. Simplicity as the basis of beauty

The entire early Christian culture flowed from the Christian ideal, the core of which was the all-encompassing and forgiving love of God for people. A person can respond to this love by knowing God, transforming, with God's help, his soul, his consciousness, in order, in the end, to become like God. "You ... are fellow citizens of the saints and your own to God," says the apostle²⁴. The path that leads to the highest Christian ideal is the knowledge of God-the Truth, the removal from worldly vanity, a pious life.

God, Truth is inherent in simplicity, and therefore everything simple is pleasing to Him. Simplicity becomes the basis of beauty in the aesthetics of Christianity. Similarly, liturgical music is simple and artless and, at the same time, has a strong emotional impact on believers, contributes to the assimilation of the verbal content of hymns and psalms.

St. Augustine wrote in his book "Confession" that liturgical singing " ... excites tears of emotion, the soul is filled with a wonderful sweetness. These sounds poured into my soul, the truth was filtered out in my heart, I was overcome with awe, tears ran and I felt good with them"²⁵ [1, p. 239].

Tertullian, noted the power and attractiveness of art in general, but contrasted Christian and ancient aesthetic values. The apologist of the early Church focused the new Christian art on simplicity, naturalness, and truth [3, p. 172 – 174].

III. Useful and harmful music for the education of a harmonious person

Saint Clement of Alexandria reflected on the upbringing of Christians and noted the role of music in this process. Saint Clement noted that even the lack of harmony in music destroys the harmony of the spirit, which is so necessary for a person who seeks to know the truth.

Clement divided music into useful and harmful. Harmful music softens and relaxes the soul, it develops a tendency for people to live an inactive and disorderly life. Such music is most destructive for the mores of citizens and the state as a whole. "... But there is another music that improves a person, softens his character. < ... > Melodies should be chosen dispassionate and chaste, and their seriousness and severity in the bud prevent shamelessness and wild drunkenness". Christian music should be a new song, "soothing, quenching suffering, leading to the oblivion of all evil, a kind of sweetness and a true cure for sadness, a song that educates self-control." St. Clement represented the world as harmony, and man as a beautiful animated instrument. The violation of the harmony of the world and man occurred as a result of the fall committed through the fault of man. Liturgical singing, with God's help, contributes to the restoration of this primordial harmony of the world and man.

IV. The condition for the upbringing of a harmonious person is the grace of the Holy Spirit

First of all, prayer expresses faith and love for God. Prayer is the breath of the soul, without prayer the soul "shrinks", just as the body dies without air. Therefore, prayer has become the ideal of any artistic creativity in all types of church art. All types of church art have arisen in connection with prayer and contribute to the communication of a person with God. Because only through prayer coming from the depths of the heart, a person can achieve unity with God. Therefore, liturgical music,

²³ Gardner I. A. *Liturgical singing of the Russian Orthodox Church: in 2 volumes, 1998. Vol. 2, p. 110.*

²⁴ *The Bible, 1989, Eph, 2: 19.*

²⁵ *Augustine Aurelius. A confession, 1992, p. 182.*

as well as the structure of prayers, architecture, and icon painting should be aimed at creating the most favorable conditions for a person's prayerful contact with God²⁶.

Ancient hymnographers, icon painters and architects believed that the Lord God himself creates temples, hymns, icons by his will. Creates with the hands of a specific master. And therefore, any master considered himself a conductor of the Holy Spirit, a conductor of God's will. "Not I, but the Lord," - these words are an explanation of the fact that the ancient hymns and icons do not have a signature and we can establish their authorship only from indirect sources and legends.

A person acquires emotional and artistic experience in the process of knowing God. Every person is able to find his destiny, fill his life with the light of the Gospel, transform his human nature and build his life in accordance with the highest ideal. With the help of the grace of the Holy Spirit, a person can transform, creatively change his life. Therefore, the defining characteristic of church art has become its holiness.

The Holy Fathers presented the music of Christian hymns as the only direct way for the soul to communicate with God. Music is the most temporary of all the arts, the most transitory, irrevocably disappearing in time, is the only kind of art that has access to the otherworldly and remains in eternity. And this is not surprising. The Christian song expresses the deep foundations of the gospel life, about which the heart sings, connects music with truth, beauty and wisdom. It calls on the human soul to restore the harmony of the world, destroyed as a result of the fall of man. All human life should become music, a jubilant song, praise to the Creator.

CONCLUSION

Such an understanding of Christian liturgical music by the Church fathers formed the basis of the musical aesthetics of the Middle Ages and the Renaissance and a characteristic of medieval culture understanding of the role and place of art as an auxiliary means for familiarizing with the higher truths of the spirit in the process of educating citizens who are able to treat with respect and compassion to others, as people with their own thoughts and feelings.

An Orthodox church is Heaven on earth for a person who is immersed in a special world in it and is spiritually reborn. This is facilitated by architecture, acoustics, icon painting and liturgical singing. The mystical spirit fills everything that surrounds a person in a temple, where there is nothing accidental, everything is ordered, subordinated to one idea and, merging in harmonious unity, lifts the human spirit to unattainable heights. The liturgical musical art serves the same purpose. The human voice becomes a conductor of God's grace and joyfully glorifies the Creator, presenting a wonderful symphony of the heavenly and earthly.

Therefore, ecclesiastical art is necessary for building a society in which one wants to live; and a state that prefers a diplomatic solution to any conflict – that is, a discussion based on mutual respect and operating with reasonable arguments.

²⁶ *Gustova L. Church singing. Belarusian singing culture of the Orthodox tradition, 2013, p. 6.*

Bibliographie:

1. Augustine Aurelius. A confession. Moscow: Gandalf, 1992. (In Russian).
2. The Bible: The Books of Holy Scripture of the Old and New Testaments. Brussels: Life with God. 1989. (In Russian).
3. Bychkov V. V. Aesthetics of the Church fathers = Aestetica partum. Moscow: Ladomir, 1995. (In Russian).
4. Gardner I. A. Liturgical singing of the Russian Orthodox Church: in 2 volumes. Sergiev Posad: Moscow Theological Academy, 1998. Vol. 2. (In Russian).
5. Gustova L. Church singing. Belarusian singing culture of the Orthodox tradition. Minsk: Harvest, 2013. (In Russian).

Liturgical music as a stimulus for the development of a person and society

Larisa Gustova-Runzo

Doctor of Art History,

Full Professor of Belarusian State University of Culture and Arts

Minsk, Belarus

Summary

The article examines the ideas of the holy Fathers and apologists of the Church about the role of church art, in particular, Orthodox liturgical music (singing) in the education of the individual and, as a result, of the whole society. These ideas had a great influence on the development of Christian culture and on the understanding of the role of art as a means of spiritual education of citizens. According to ancient thinkers, the best means of educating a harmonious person is spiritual education. Liturgical music helps a person to partake of the grace of the Holy Spirit and bring harmony into the world, to perceive all members of the world community with respect.

The purpose of this article is to reveal the ideas of the holy Fathers of the Church about the role of liturgical music in the process of connecting a person with God and educating a harmonious personality.

Keywords: personality, society, upbringing, liturgical, music, art, grace, divine.

La musique liturgique comme stimulant pour le développement d'une personne et d'une société

Larisa Gustova-Runzo

Docteur en histoire de l'art

Professeur de l'Université d'État biélorusse de la culture et des arts

Minsk, Biélorussie

Résumé

L'article examine les idées des saints Pères et des apologistes de l'Église sur le rôle de l'art religieux, en particulier de la musique liturgique orthodoxe (chant) dans l'éducation de l'individu et, par conséquent, de la société dans son ensemble. Ces idées ont eu une grande influence sur le développement de la culture chrétienne et sur la compréhension du rôle de l'art comme moyen d'éducation spirituelle des citoyens. Selon les anciens penseurs, le meilleur moyen d'éduquer une personne harmonieuse est l'éducation spirituelle. La musique liturgique aide une personne à participer à la grâce du Saint-Esprit et à apporter l'harmonie dans le monde, à percevoir tous les membres de la communauté mondiale avec respect.

Le but de cet article est de révéler les idées des saints Pères de l'Église sur le rôle de la musique liturgique dans le processus de connexion d'une personne à Dieu et d'éducation d'une personnalité harmonieuse.

Mots-clés : personnalité, société, éducation, liturgique, musique, art, grâce, divin.

საეკლესიო მუსიკა, როგორც სტიმული ადამიანისა და საზოგადოების განვითარებისათვის

ლარისა გუსტოვა-რუნცო

ხელოვნების ისტორიის დოქტორი

ბელორუსის კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული

პროფესორი

მინსკი, ბელორუსია

რეზიუმე

სტატიაში განხილულია წმინდა მამათა იდეები საეკლესიო ხელოვნების, კერძოდ, მართლმადიდებლური ლიტურგიკული მუსიკის (გალობის) როლის შესახებ, როგორც პიროვნების ასევე მთელი საზოგადოების განათლებაში. ამ იდეებმა დიდი გავლენა მოახდინა ქრისტიანული კულტურის განვითარებაზე და ხელოვნების, როგორც მოქალაქეთა სულიერი განათლების საშუალების როლის გააზრებაზე. ანტიკური მოაზროვნების აზრით, ჰარმონიული ადამიანის აღზრდის საუკეთესო საშუალებაა სულიერი განათლება. საეკლესიო მუსიკა ეხმარება ადამიანს მიიღოს სულიწმიდის მადლი და მოუტანოს სამყაროში ჰარმონია, პატივისცემით აღიქვას მსოფლიო საზოგადოების ყველა წევრი.

ამ სტატიის მიზანია გამოავლინოს ეკლესიის წმიდა მამათა იდეები ლიტურგიკული მუსიკის როლის შესახებ ადამიანის ღმერთთან დაკავშირების და ჰარმონიული პიროვნების აღზრდის პროცესში.

საკვანძო სიტყვები: პიროვნება, საზოგადოება, აღზრდა, ლიტურგიკული, მუსიკა, ხელოვნება, მადლი, ღვთიური.

საქართველოს სასმელი (მიწისქვეშა) წყლის რესურსები და სასმელ-სამეურნეო წყალმომარების პრობლემები

გ. თალაკვაძე, ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი; ქ. მახარაძე, ქიმ. დოქტორი; რ. ფირცხალავა,
სტუ დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი
რესურსების შემსწავლელი ცენტრი

შესავალი

სასმელი წყლის როლი განუზომელია ქვეყნისა და მოსახლეობის არსებობასა და კეთილდღეობის ამაღლებაში. სასმელი წყლების ერთ-ერთ ძირითად და უპირველეს წყაროდ მიჩნეულია მტკნარი მიწისქვეშა წყლები, რომელთა დაძიების, მოპოვების, დაცვისა და ეფექტიანად გამოყენების სწორი მეცნიერულ-ტექნიკური ორგანიზაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობას, უზრუნველყოფს ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგის მდგრად განვითარებას.

იუნესკოსა და გაეროს ერთობლივ ყოველწლიურ კონვენციაზე 2019 წელს განხილული იქნა წყლის სტრატეგიული გამოყენების სხვადასხვა საკითხები. ამჟამად მსოფლიოში 10-დან 3 ადამიანი მოკლებულია უსაფრთხო სასმელ წყალს, 10-დან 6-ს არა აქვს წვდომა წყლის სანიტარიულ მომსახურებასთან, ხოლო ყოველ მე-9 ადამიანს - წყალარინების სისტემებთან.

ჯანმოს მონაცემებით ყოველდღიურად 14 ადამიანი იღუპება კუჭნაწლავის ინფექციებით, რაც უკავშირდება დაბინძურებულ წყალს.

აფრიკაში ცხოვრობს იმ ადამიანთა რაოდენობის ნახევარზე მეტი, ვინც წყალს სვამს დაუცველი წყაროებიდან. ამ რაიონებში მოსახლეობის მხოლოდ 24%-ს აქვს წვდომა უსაფრთხო სასმელ წყალზე და მხოლოდ 28%-ს აქვს სანიტარიის საბაზო საშუალებები. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მსოფლიოში იზრდება იმ კონფლიქტების რაოდენობა, რომლებიც უკავშირდება წყლის რესურსებს. თუ 2000 წლამდე პერიოდში ასეთი კონფლიქტების რაოდენობა იყო 94, 2010-2018 წლებში ეს მაჩვენებელი გაიზარდა 263-მდე.

ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ყოველდღიურად დაბინძურებულ წყალს სვამს მილიონობით ადამიანი (57 მლნ); მათ შორის 21 მლნ-ს არა აქვს წყალმომარაგება, 36 მლნ-ს სანიტარიის საბაზო საშუალებები.

ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში მოსახლეობის 72%-ს არა აქვს წვდომა წყალმომარაგებასთან. ევროკავშირის ბოლო მონაცემებით წყლის უკმარისობას განიცდის ევროპის მოსახლეობის მინიმუმ 11%. აღნიშნულის გამო ევროპის მოსახლეობა ყიდულობს ბუტილირებულ წყალს.

ჯანმომ ევროკომისიას წარუდგინა კომპლექსური რეკომენდაციები სასმელ წყალზე ევროკავშირის დირექტივების გადახედვასთან დაკავშირებით. ამ რეკომენდაციებში აღნიშნულია, რომ წყალმომარაგების კონკრეტული სისტემებისათვის გარდა სტანდარტული პარამეტრებისა, არსებული რისკების შეფასებაზე დაყრდნობით უნდა იყოს შერჩეული ადგილობრივ პირობებთან ადაპტირებული მიდგომა.

ჯანმო მუშაობს გლობალურ, რეგიონალურ და ნაციონალურ დონეებზე, იმ დაავადებებისა და სიკვდილიანობის შემცირების მიმართულებით, რომლებიც გამოწვეულია სასმელი წყლის დაბინძურებით.

ქვემოთაწვრილია მსოფლიოს სხვადასვა კონტინენტებსა და ქვეყნებში სასმელი წყლისა და წყალმომარების არსებული მდგომარეობა.

1. სასმელი წყლის რესურსები დაწყალმომარება მსოფლიოში

ცნობილია, რომ წყალი ფარავს პლანეტის ტერიტორიის 70%-ზე მეტს, მაგრამ მხოლოდ მისი 3%-ია მტკნარი. ბუნებრივი მტკნარი წყლის უმეტესობა არის ყინულოვანი ფორმით/სუბსტანციით, 1%-ზენაკლებია ადვილად ხელმისაწვდომი ადამიანის სარგებლობისათვის. ეს ნიშნავს, რომ 0,007% დედამიწაზე ვარგისია სასმელად. მსოფლიოში 1,4 მლრდ-ზე მეტ ადამიანს არა აქვს წვდომა სუფთა, უსაფრთხო წყალზე. მუდმივად იზრდება სხვაობა წყალმომარაგებასა და მოთხოვნილებას შორის, რომელიც 2030 წლისათვის მიაღწევს 40%-ს. პროგნოზით, 2025 წლისათვის მსოფლიოს მოსახლეობის მესამედი დამოკიდებული იქნება წყლის ნაკლებობაზე. 2050 წლისათვის პლანეტის მოსახლეობის 70%-ზე მეტი იცხოვრებს ქალაქებში.

ბევრ განვითარებად ქვეყანაში წყლის დანაკარგის პროცენტი შეადგენს 30%-ზე მეტს, ზოგ შემთხვევაში კი 80%-საც აღწევს. მთელ მსოფლიოში 32 მლრდ მ³-ზე მეტი სასმელი წყალი იკარგება ქალაქების წყალმომარაგების სისტემებიდან, რომლის მხოლოდ 10% არის შესამჩნევი, დანარჩენი დანაკარგი შეუმჩნეველად ქრება მიწის ქვეშ.

კაცობრიობის განვითარებას თან ახლავს დედამიწის მოსახლეობის ზრდა, აგრეთვე ეკონომიკის მხრივ რესურსებზე მზარდი მოთხოვნილება. ერთ-ერთ ასეთ რესურსს წარმოადგენს მტკნარი წყალი, რომლის ნაკლებობა საკმაოდ მწვავედ იგრძნობა დედამიწის რიგ რეგიონებში. კერძოდ, სასმელ წყალზე მუდმივი წვდომა არა აქვს პლანეტის მოსახლეობის მესამედზე მეტს, ანუ 2 მლრდ-ზე მეტ ადამიანს. პროგნოზით, 2025 წლისათვის წყლის მოსალოდნელი უკმარისობა კაცობრიობის შემდგომი განვითარების დამაბრკოლებელ ფაქტორად გადაიქცევა. ეს განსაკუთრებით ეხება განვითარებად ქვეყნებს, სადაც ადგილი აქვს მოსახლეობის ინტენსიურ ზრდას, ინდუსტრიალიზაციის მაღალ დონეს, რისი თანმდევიცაა ეკოლოგიური პრობლემები, ანუ გარემოს და მათ შორის წყლის დაბინძურებაც, წყალგამწმენდი ინფრასტრუქტურის არარსებობა, სასოფლო-სამეურნეო დარგის მნიშვნელოვან მოთხოვნილებას წყალზე, სოციალური სტაბილურობის საშუალო და დაბალ დონე.

წყლის ყველაზე მსხვილი მომხმარებლები არიან ინდოეთი, ჩინეთი, აშშ, პაკისტანი, იაპონია, ტაილანდი, ინდონეზია, ბანგლადეში, მექსიკა და რუსეთის ფედერაცია. წყალმომარების საერთო მოცულობიდან 646 კმ³/წელიწადში მოდის ინდოეთზე. ირიგაციაზე, საყოფაცხოვრებო-სამრეწველო მომსახურებაზე, ენერჯის წარმოებაზე დახარჯული წყლის (4000 კმ³/წელიწადში) 99% აიღება მიწისქვეშა და ზედაპირული განახლებადი წყლის წყაროებიდან. დანარჩენი - არაგანახლებადი (წიაღისეული) წყალშემცველი ფენებიდან, ეს შეეხება ძირითადად საუდის არაბეთს, ლიბიასა და ალჟირს. გრუნტის წყლები შეადგენს 20%-ს გამოყენებული წყლის საერთო მოცულობიდან და ეს ციფრი სწრაფად იზრდება. მე-20 საუკუნეში გრუნტის წყლების აღება გაიზარდა 5-ჯერ.

ქვეყნებს, სადაც გრუნტის წყლების დიდი მარაგია, მიეკუთვნება რუსეთი, ბრაზილია და რიგი ეკვატორული აფრიკული ქვეყნები. სუფთა ზედაპირული მტკნარი წყლის უკმარისობა აიძულებს ბევრ ქვეყანას აქტიურად გამოიყენოს მიწისქვეშა წყლები. დანიის სამეფოში, ლიეტუვაში და ავსტრიაში სასმელი წყლების ერთადერთი წყარო გრუნტის წყლებია.

გვალვიან ქვეყნებში წყალი თითქმის მთლიანად აიღება მიწისქვეშა წყაროებიდან (მაროკო - 75%, საუდის არაბეთი და მალტა - 100%).

გრუნტის წყლების წლიური მოხმარება მსოფლიოში შეადგენს 900 კმ³ (იუნესკო), ხოლო გრუნტის წყლების განახლებადი მსოფლიო დონე - 12700 კმ³/წელიწადში.

მდინარეთა ჩამონადენის რესურსებით ყველაზე უფრო მეტად უზრუნველყოფილია - ბრაზილია, რუსეთი, კანადა, ჩინეთი, ინდონეზია, აშშ, ინდოეთი. მაგრამ ბოლო ათწლეულებში მდინარეებში სამრეწველო ნარჩენების გაწმენდის გარეშე ჩაშვების გამო ბევრი მდინარე მოწამლულია (განსაკუთრებით ინდოეთში, ჩინეთში). ყველაზე უფრო დაბინძურებულ მდინარედ ითვლება იანძი (ჩინეთი), მეკონგო (აზია), განგი (ინდოეთი), დუნაი, რიო-გრანდე (აშშ).

მტკნარი წყლის მწვავე მოთხოვნილებას განიცდიან ქვეყნები: ჩინეთი, ინდოეთი და აშშ.

აზია არის ყველაზე დიდი წყალმომხმარებელი კონტინენტი. აზიაში მდებარეობს მსოფლიოს სარწყავი სასოფლო-სამეურნეო მიწების საერთო ფართობის 70%. აზიის მოსახლეობა (4 მლრდ კაცი) მოიხმარს კონტინენტის წყლის რესურსების დაახლოებით 6%-ს, მრეწველობა - 10%-ს, სოფლის მეურნეობა - 84%-ს. პროგნოზით, 2050 წლისათვის მსოფლიოს 9 მლრდ მოსახლეობიდან აზიაში იქნება 5 მლრდ კაცი.

სუფთა და სასმელი წყლის დეფიციტი წარმოადგენს აფრიკის კონტინენტის ერთ-ერთ ძირითად საარსებო პრობლემას. 6 კაციდან მხოლოდ ერთს აქვს წვდომა სუფთა წყალზე. წყლის უკმარისობა წარმოადგენს საფრთხეს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, აგრეთვე სოციალურ პრობლემასაც. ჩრდილოეთ აფრიკაში 2025 წლისათვის წყლის განახლებადი წყაროების საშუალო მოცულობა ერთ სულზე შემცირდა მნიშვნელოვნად.

წყლის მოხმარების ზრდის ძირითადი ფაქტორები შემდეგია:

- ჯანდაცვა - სანიტარული პირობების გაუმჯობესება.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში წყალმომარაგების საბაზო მომსახურებასთან წვდომა შეზღუდული რჩება (სასმელი წყალი, კვების პროდუქტების წარმოება, სანიტარია, წყალარინება). შესაძლებელია, რომ 2030 წლისათვის დედამიწის მოსახლეობიდან 5 მლრდ-ზე მეტი ადამიანი (67% მთელი მოსახლეობის) არ იქნეს უზრუნველყოფილი თანამედროვე სანიტარიით²⁷. დაახლოებით 340 მლნ აფრიკელი ადამიანი არ არის უზრუნველყოფილი სასმელი წყლით, ხოლო თითქმის 500 მლნ-ს არა აქვს ელემენტარული სანიტარული პირობები. რამდენიმე მლრდ ადამიანს არა აქვს წვდომა სუფთა წყალზე.

განვითარებად ქვეყნებში ავადმყოფობის 80% დაკავშირებულია წყალთან. ყოველწლიურად 1,7 მლნ ადამიანი იღუპება, მათ შორის ბავშვები.

- სოფლის მეურნეობის განვითარება სურსათის წარმოებისათვის.

წყალი არის კვების პროდუქტების წარმოების არსებითი კომპონენტი, ხოლო სოფლის მეურნეობა წყლის ყველაზე დიდი მომხმარებელია. მასზე მოდის საერთო წყალმომხმარების 70%-მდე (20% - სამრეწველო წყალმომხმარება, 10% - საყოფაცხოვრებო). სარწყავი სავარგულების ფართობი ბოლო ათწლეულში გაორმაგდა, ხოლო წყალღება გაიზარდა 3-ჯერ. 2050 წლისათვის სოფლის მეურნეობაში წყალზე მოთხოვნილება გაიზარდება 70-90%-ით, ეს მაშინ, როდესაც ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე მიაღწია საკუთარი წყლის რესურსების გამოყენების ზღვარს. განვითარებად ქვეყნებში სარწყავი სისტემების არაეფექტური

მუშაობის გამო, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის 60% ორთქლდება, ან ბრუნდება წყალსატევებში.

- ცვლილებები სურსათის სარგებლობაში.

დღეისათვის მსოფლიოში შეიცვალა ადამიანების ცხოვრების პირობები და შესაბამისად მათი ჩვევებიც. ერთი ადამიანი მოიხმარს საშუალოდ 2-ჯერ მეტ წყალს, ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისში. თანამედროვე მსოფლიოში 1,4 მლრდ ადამიანი მოკლებულია სუფთა წყალს, 864 მლნ ვერ იღებს ყოველდღიურ კალორიულ საკვებს და სიტუაცია უარესდება. ადამიანს ყოველდღიურად სასმელად სჭირდება 2-4 ლიტრი წყალი, ხოლო საკვების საწარმოებლად ერთ ადამიანზე იხარჯება 2000-5000 ლიტრი წყალი. 1 კგ ხორბლის წარმოებისათვის საჭიროა 800-4000 ლიტრი წყალი, 2 კგ საქონლის ხორცის - 2000-16000 ლიტრი, 1 კგ ბრინჯის - 3450 ლიტრი წყალი და სხვ.

- დემოგრაფიული ზრდა.

პროგნოზით, მოსახლეობის ზრდის გამო შეიქმნება წყლის რესურსების უკმარისობა. სასმელ წყალზე მზარდი მოთხოვნილება შეადგენს 64 მლრდ მ³-ს წელიწადში. სავარაუდოდ, 2025 წლისათვის მოსახლეობა მსოფლიოში გაიზრდება 8 მლრდ კაცამდე. 2100 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის ნამატის 60% იქნება აფრიკის (32%) და აზიის (30%) ქვეყნებში.

- ქალაქად მოსახლეობის ზრდა (ურბანიზაცია).

გაგრძელდება ურბანიზაცია. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იქნება განვითარებად ქვეყნებში. მოსალოდნელია ქალაქის მოსახლეობის გაზრდა 1,8 მლრდ ადამიანით და მიაღწევს მსოფლიო მოსახლეობის 60%-ს. 2025 წლისათვის 5,2 მლრდი ადამიანი იცხოვრებს ქალაქად. ურბანიზაციის ეს დონე მოითხოვს წყლის განაწილების ფართო ინდუსტრიას და აგრეთვე გამოყენებული წყლის შეკრება-დამუშავებას, რაც საჭიროებს მასშტაბურ ინვესტიციებს.

- მიგრაცია.

2000 წელს მსოფლიოში იყო 176 მლნ მიგრანტი. წყლის უკმარისობა უდაბნოსა და ნახევრადუდაბნო რეგიონებში იწვევს მოსახლეობის ინტენსიურ მიგრაციას. ეს შეეხება 24-700 მლნ ადამიანს. ურთიერთობა წყლის რესურსებსა და მიგრაციას შორის ორმხრივი პროცესია: წყლის უკმარისობა იწვევს მიგრაციას, ხოლო მიგრაცია - წყლის სტრესს.

- კლიმატის ცვლილება.

მეცნიერთა აზრით, გლობალური დათბობა გამოიწვევს გლობალური ჰიდროლოგიური ციკლების ინტენსიფიკაციასა და დაჩქარებას. ინტენსიფიკაცია გამოიხატება ნალექების აორთქლების სიჩქარესა და რაოდენობის ზრდაში. მოსალოდნელია, რომ წყლის უკმარისობა გავლენას მოახდენს წყლის ხარისხზე და ექსტრემალური სიტუაციის სიხშირეზე, როგორცაა გვაღვიანობა და წყალდიდობა.

სავარაუდოა, რომ 2025 წლისათვის დათბობა მოხდება 1,6°C, შედარებით ინდუსტრიალიზაციამდელ პერიოდთან. ამჟამად მსოფლიო მოსახლეობის 85% ცხოვრობს პლანეტის მშრალ/გვაღვიან ნაწილში. 2030 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობის 47% იცხოვრებს რაიონებში, სადაც იქნება წყლის რესურსებზე ძლიერი დატვირთვა. კლიმატური დათბობის გავლენა წყლის რესურსებზე შემდეგია: ტემპეტარურის 1°C -ით მომატება გამოიწვევს ანდებში მცირე მყინვარების მთლიანად გაქრობას, რაც იმოქმედებს 50 მლნ ადამიანის წყალმომარაგებაზე; ტემპერატურის 2°C -ით გაზრდა გამოიწვევს 20-30%-ით წყლის რესურსების შემცირებას სამხრეთ აფრიკასა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში. ეს გამოიწვევს აგრეთვე გაუდაბნობასა და ტყეების გაქრობას.

პროგნოზით 2025 წლისათვის ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც დაემუქრებათ წყლის უკმარისობა მიაღწევს 3 მლრდ-ს.

- სამეურნეო საქმიანობის ინტენსიფიკაცია.

ეკონომიკისა და მომსახურების სფეროს განვითარება გამოიწვევს წყლის მოხმარების დამატებით ზრდას, ამასთან პასუხისმგებლობის უმეტესი ნაწილი დაეკისრება მრეწველობას და არა სოფლის მეურნეობას.

- ენერგომოხმარების ზრდა.

MAFATჰ-ს (ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო) გაანგარიშებით, 2030 წლისათვის საერთო მსოფლიო მოთხოვნილება ელექტროენერჯიაზე უნდა გაიზარდოს 55%-ით, რომელშიც 45% მოვა ჩინეთსა და ინდოეთზე.

- ბიოსათბობის წარმოება

ბიოსათბობის ფართოდ წარმოება ამცირებს ნათესების ფართობებს. ერთი ლიტრი ეთანოლის წარმოებისათვის საჭიროა 2500 ლიტრი წყალი.

- ტურიზმი.

წყლის მოხმარების ზრდის ერთ-ერთი ფაქტორი გახდა ტურიზმი. ისრაელში, მდ.იორდანეს პირას მდებარე სასტუმროებში წყლის მოხმარებაა მიზეზი მკვდარი ზღვის დაშრობისა. ფილიპინებზე, წყლის გამოყენება ტურიზმისათვის, საფრთხეს უქმნის ბრინჯის წარმოებას. გრანადაში (ესპანეთი) ტურისტები იყენებენ 7-ჯერ მეტ წყალს, ვიდრე ადგილობრივი მაცხოვრებლები. ეს მაჩვენებელი დამახასიათებელია ბევრი განვითარებული ტურისტული ზონისათვის.

სამხრეთ აფრიკაში წყლის უკმარისობა სანიტარულ პირობებში შეფასებულია როგორც მშპ-ს 5% ყოველწლიურად.

განვითარებულ ქვეყნებში საშუალოდ იხარჯება ერთ ადამიანზე 500-800 ლიტრი წყალი დღე/ღამეში, ხოლო განვითარებადში - 50-160 ლიტრი წყალი დღე/ღამეში.

აღნიშნულის გარდა დიდი ყურადღება ექცევა ვირტუალური წყლის მნიშვნელობას, რომელიც 1993 წლიდან გახდა ახალი ეპოქის დასაწყისი სოფლის მეურნეობის წარმართვის და წყლის რესურსების მოხმარების პოლიტიკაში ისეთ რეგიონებში, სადაც აშკარა წყლის დეფიციტია.

„ვირტუალური წყლის“ ნაკადების 80% კავშირშია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობასთან. მსოფლიოში წყლის მარაგების გამოფიტვისა და დაბინძურების პრობლემების 16% დაკავშირებულია საექსპორტო პროდუქციის წარმოებასთან. პროდუქციის ფასები ყოველთვის არ შეესაბამება წყლის რესურსების დანახარჯებს პროდუქციის მწარმოებელ ქვეყნებში.

წყლის საერთო ეკონომია, რომელიც მიიღება „ვირტუალური წყლის“ საერთაშორისო ვაჭრობის გზით, ეკვივალენტურია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისათვის გამოყენებული წყლის საერთო მოცულობის 6%-ისა.


გამომდინარე მოყვანილი მიმოხილვიდან, რომელიც მსოფლიოში სასმელი წყლის მარაგებსა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უზრუნველყოფის მდგომარეობას შეეხება, ნათელი ხდება ის მნიშვნელობა, რაც კვლევის საგანს ენიჭება. სახელდობრ, საქართველოში არსებული სასმელი წყლის მარაგებსა და მათი რაციონალური გამოყენების პრობლემებს. სამუშაო ინტერესს იწვევს აგრეთვე ქვეყნიდან სასმელი წყლის ექსპორტის შესაძლებლობის დადგენის თვალსაზრისითაც.

2. საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლები

2.1. მიწისქვეშა წყლების ტერიტორიული განაწილება

საქართველო მტკნარი მიწისქვეშა წყლების სიუხვით გამოირჩევა. მათი ბუნებრივი რესურსების 95%-ს - 18კმ³, ანუ 571,7 მ³/წმ, (49,4 მლნ მ³/დღე-ღამეში) სასმელი წყლები შეადგენს, რომლებიც არათანაბრად არის განაწილებული ქვეყნის ტერიტორიაზე. მათი საერთო რაოდენობის 63,4% (362,5მ³/წმ) მოდის დასავლეთ საქართველოზე, 24,1% (137,9 მ³/წმ) - აღმოსავლეთ საქართველოზე, ხოლო 12,5% (71,3 მ³/წმ) - სამხრეთ საქართველოზე (ნახ.1.). მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების საერთო რესურსების დაახლოებით მესამედის მარაგები (145,5მ³/წმ) დამტკიცებულია სახელმწიფო კომისიის მიერ. ამ მარაგებიდან დასავლეთ საქართველოშია - 69,9 მ³/წმ, ანუ 48%; აღმოსავლეთ საქართველოში - 65,5 მ³/წმ, ანუ 45%, ხოლო სამხრეთ საქართველოში - 10,1 მ³/წმ, ანუ 6,9%. ძირითადად გვხვდება ორი ტიპის სასმელი მიწისქვეშა წყლები: მინერალიზაციით 0,2-0,3გ/ლ და 0,3-1,0გ/ლ მინერალიზაციით. მათი საერთო მარაგი საქართველოს ტერიტორიაზე 2,52 კმ³-ს შეადგენს.

მიწისქვეშა წყლების განახლების ძირითად წყაროს ატმოსფერული ნალექები და ზედაპირული წყლები წარმოადგენს. გეოლოგიურ-ჰიდროგეოლოგიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული თავისებურებანი განაპირობებენ მიწისქვეშა წყლების ფორმირების ფაქტორთა მრავალფეროვნებას და ამ რესურსების არათანაბარ განაწილებას. კომპლექსების წყალშემცველობა მცირდება დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით, ამასთან, აღინიშნება ქანების წყალშემცველობის ზრდა ადგილის სიმაღლის მატებასთან ერთად. ამ კანონზომიერებას არ ექვემდებარება მეოთხეული და პლიოცენური დანალექების კომპლექსის ფორმების წნევიანი წყლები, რომლებიც განვითარებულია ცალკეულ არტეზიულ აუზებში (ალაზნის, იორი-შირაქის, მარნეული-გარდაბნის, კოლხეთის და სხვ.). მიწისქვეშა წყლების დამტკიცებული საექსპლუატაციო რესურსების განაწილება რიგი ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, მოტანილია ცხრილში 1.



ნახ.1საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსების ტერიტორიული განაწილება (%)

ცხრილი 2.1

მიწისქვეშა წყლების დამტკიცებული საექსპლუატაციო რესურსები

წყალმომხმარებელი	საბადო ცენტრალიზებ. წყალმომხმარება	დამორება წყალმომხმარებლისგან კმ	წყლის რაოდენობა, მ ³ /წმ	წყლიანი ჰორიზონტის სიღრმე, მ
1	2	3	4	5
ქ.თბილისი	ნატახტარი	28	სულ 10,6 0,58	20
	(მველი)	28		5
	ნატახტარი	28		4
	(ახალი)	35		4
	საგურამო	45		10
	ჰოპორტი ბულაჩაური ქსნის აუზი	40		1-10
ქ.რუსთავი	მდ. მდ. ხრამის და დებედას შეერთება	25	4,80	200
ქ.გორი კასპი, ქარელი და მათი მუნიციპალიტეტები	მდ. დიდი ლიახვის უბანი	5-40	3,50	100
ქალაქები ლაგოდეხი, სიდნაღი, დედოფლისწყარო	5 კმ ქ. ლაგოდეხიდან სამხრეთ-დასავლეთით	5-55	1,50	100
ქ.ყვარელი და მისი მუნიციპალიტეტი	მდ.ბურსას გამოტანის კონუსის უბანი	4-10	1,07	200
1	2	3	4	5
ყვარლის მუნიციპალიტეტი	შაქრიანი, 17 კმ ყვარლის მუნიციპალიტეტიდან დასავლეთით (მდ. ინწობა)	1-5	0,256	200
თელავი და მისი მუნიციპალიტეტი	მდ. მდ. მაჭარეულის და ლოპოტას გამოტანის კონუსის უბანი	5-30	1,50	200

თიანეთი და მისი მუნიციპალიტეტი	1-2 კმ ქ.თიანეთიდან სამხრეთ- დასავლეთით სოფ. თამარიანთან ახლოს	1-2	1,66	250
ბოლნისი და მისი რაიონი	10 კმ ქ.ბოლნისიდან სამხრეთ- დასავლეთით;	10-35 20-60	0,65	50
მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი	20 კმ დმანისიდან ჩრდ.აღმოსავლეთით, ყარაბულახის ხეობა		1,07	200
ახალქალაქი და მისი მუნიციპალიტეტი	აბლარის, ბეჟანის, იხტილოს წყაროები	6-22	1,80	200
ცხინვალი, ჯავა და მათი მუნიციპალიტეტები	3,7 კმ ჯავის მუნიციპ. ცენტრიდან ჩრდ. აღმოსავლეთით (წყაროები)	37	0,62	300
სულ აღმოსავლეთ საქართველოში	-	-	37,8	-
ქალაქები ქუთაისი, წყალტუბო და მათი მუნიციპალიტეტები	რიონი- გუბისწყლის შუამდინარეთი, 12- 15 კმ ქუთაისიდან სამხრეთ აღმოსავლეთით და 5 კმ წყალტუბოდან	-	4,40	150
ქალაქები ჭიათურა და საჩხერე	მდ. ყვირილას ხეობა, 14 კმ ჭიათურიდან ჩრდ. აღმოსავლეთით	2-14	0,60	30
ქალაქები ფოთი და სენაკი	ტეხურის საბადო, 5 კმ სენაკიდან აღმოსავლეთით და 40 კმ ფოთიდან ჩრდ. აღმოსავლეთით	5-40	1,3	20
ქალაქები ლანჩხუთი, ოზურგეთი; აბაშა და სამტრედი	4 კმ ლანჩხუთიდან ჩრდილოეთით; 2 კმ ოზურგეთიდან დასავლეთით; 11 კმ სამტრედიიდან ჩრდ. მდ.	4 2 22-15	0,78 1,10 1,74	300 10 10

	ცხენისწყლის მარცხ. ნაპირზე			
ქალაქი ბათუმი, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	5 კმ ბათუმიდან სამხრეთით, მდ.ჭოროხის ხეობაში, მარჯვენა ნაპირზე	5	2,301	10
სულ დასავლეთ საქართველოში			12,2	
სულ დასავლეთ საქართველოში			50,0	


ცხრილში არ არის განხილული აფხაზეთის მიწისქვეშა წყლების რესურსები

დანარჩენი ქალაქების და რეგიონების წყალმომარაგება ხორციელდება დამტკიცებული მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო რესურსებიდან.

მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსებით ყველაზე ღარიბია: ახალციხის (2,3 მ³/წმ), გურიის (5,0 მ³/წმ) და იორი-შირაქის (5,0 მ³/წმ) არტეზიული აუზები.

საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო რესურსების ძიება-შესწავლის დონე 10%-სარ აღემატება.

ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლების საექსპლუატაციო რესურსების განაწილება მოცემულია ნახ. 2.



ნახ.2. საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და საექსპლუატაციო რესურსების განაწილება მხარეების მიხედვით (მ³/წმ)

საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და საექსპლუატაციო რესურსებისა და მარაგების განაწილება არტეზიული აუზების მიხედვით მოყვანილია ცხრილში 2.2

საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი და საექსპლუატაციო რესურსებისა და მარაგების განაწილება არტეზიული აუზების მიხედვით

N	არტეზიული აუზი	ბუნებრივი რესურსები, მ ³ /წმ	საექსპლუატაციო რესურსები, მ ³ /წმ	დამტკიცებული მარაგები 1000 მ ³ /დღ.ლ. მ ³ /წმ			წნევიანი წყლები	ულაწნევი წყლები
				კატეგორიები				
				სულ	A+ B	C ₁ +C ₂ (P)		
1	ალაზნის	26,0	13,0	<u>1555,4</u> 18	<u>516</u> 5,97	<u>1039,4</u> 12	<u>1555,4</u> 18	
2	იორი-შირაქის	5,0	2,5	<u>10,37</u> 0,12	<u>10,37</u> 0,12	-	-	<u>10,37</u> 0,12
3	ქართლის	27,0	13,5	<u>1948,2</u> 22,55	<u>1116</u> 12,92	<u>832,2</u> 9,63	-	<u>1948,2</u> 22,55
4	არგვეთის	8,4	4,2	-	-	-	-	-
5	წყალტუბოს	15,0	7,5	<u>649,8</u> 7,52	<u>577</u> 6,68	<u>72,85</u> 0,84	-	<u>649,8</u> 7,52
6	კოლხეთის	10,0	5,0	<u>67,66</u> 0,78	<u>22,36</u> 0,26	<u>45,3</u> 0,52	<u>45,3</u> 0,52	-
7	სამეგრელოს	19,8	9,9	<u>107,14</u> 1,24	<u>107,14</u> 1,24	-	-	<u>107,14</u> 1,24
8	რაჭა-ლეჩხუმის	26,0	13,0	<u>0,82</u> 0,01	<u>0,82</u> 0,01	-	-	<u>0,82</u> 0,01
9	კოდორის	8,2	4,1	<u>639,7</u> 7,4	<u>414,5</u> 4,8	<u>225,5</u> 2,6	-	<u>639,7</u> 7,4
10	ბზიფის	24,3	12,1	<u>200,7</u> 2,32	<u>151,4</u> 1,75	<u>49,3</u> 0,57	-	<u>200,7</u> 2,32
11	გურიის	5,0	2,5	<u>93,7</u> 1,08	<u>93,7</u> 1,08	-	-	<u>93,7</u> 1,08
12	ახალციხის	2,3	1,1	-	-	-	-	-
13	მარნეული-გარდაბნის	17,0	8,5	<u>1221,4</u> 14,14	<u>427,7</u> 4,95	<u>793,7</u> 9,19	<u>52,95</u> 0,61	<u>1168</u> 13,53
	სულ	194,0	97,0	<u>6495</u> 75,14	<u>3437</u> 39,78	<u>3058</u> 35,36	<u>1653,7</u> 19,134	<u>4819</u> 55,377

საქართველოს მთლიანობაში გააჩნია მტკნარი მიწისქვეშა წყლების ჭარბი საექსპლუატაციო რესურსი 225 მ³/წმ ოდენობით, მათ შორის დასავლეთ საქართველოში - 158 მ³/წმ, აღმოსავლეთ საქართველოში - 36 მ³/წმ, სამხრეთ საქართველოში - 31 მ³/წმ. საექსპლუატაციო რესურსების სიჭარბით გამოირჩევა სამეგრელო-სვანეთის - 51 მ³/წმ, მთათუშეთ-კახეთის - 47 მ³/წმ და გურია-იმერეთის - 0,38 მ³/წმ რეგიონები.

მინერალიზაციის (ქიმიური შემცველობის) მიხედვით აღსანიშნავია ულტრამტკნარი წყლები რომელთა მინერალიზაცია არ აღემატება 0,2 გ/ლ-ს. ეს წყლები გავრცელებულია ძირითადად მაღალმთიან რაიონებში (700 მ-ის ზევით). ქვეყნის ულტრამტკნარი წყლების

რესურსი მტკნარი წყლების საერთო რესურსების არა ნაკლებ 50%, ანუ 285 მ³/წმ შეადგენს. ამ წყლების ძირითად მკვებავ წყაროს მყინვარების ნადნობი წყალი შეადგენს. ყინულის ნადნობი წყალი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს როგორც ცოცხალ ორგანიზმებში ბიოლოგიური პროცესების კატალიზატორი, სიცოცხლის ხანგრძლივობის განმაპირობებელი ერთ-ერთი კომპონენტი. ულტრამტკნარი წყლები ხასიათდება მაღალი სასმელი და სამკურნალო თვისებებით.

მიწისქვეშა წყლების მსხვილი გამოსავლები - წყაროები განლაგებულია ძირითადად ქვეყნის მთიან ნაწილში, დასახლებული პუნქტებიდან დაშორებით. მათი გამოყენება გამწვანებულია და ჯერჯერობით, ეკონომიკური თვალსაზრისით, არარენტაბელურია. ისეთი ქალაქები, როგორცაა თბილისი, რუსთავი, მცხეთა, ბორჯომი, ახალციხე და სხვ. დაშორებული არიან პროდუქტიული წყალუხვი კომპლექსებიდან; იგრძნობა სასმელი, ტექნიკური და სარწყავი წყლის მწვავე უკმარისობა. ამიტომ მდინარეთა ფილტრატების ბაზაზე აგებულია წყალამღებ ნაგებობათა დიდი რაოდენობა, რომლებიც ნაწილობრივ მაინც უზრუნველყოფენ სამეურნეო და სასმელი წყლით დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს.

საქართველოს ყველაზე უფრო მსხვილი წყაროები დაკავშირებულია კარსტული კირქვებთან, ლავურ დანაფარებთან და ალუვიურ დანალექებთან. მრავალრიცხოვანი წყაროებიდან 135 წყაროს გააჩნია დებიტი 5ლ/წმ-ზე მეტი. ყველაზე უფრო მძლავრ წყაროებს შორის აღსანიშნავია წყაროების ჯგუფი სამხრეთ საქართველოში 1100-3500 ლ/წმ დებიტით; კარსტული წყლების მსხვილი წყაროები განლაგებულია აფხაზეთის ტერიტორიაზე, დებიტით 1500-26000 ლ/წმ; კოლხეთის დაბლობზე, დებიტით 300-3500 ლ/წმ.

კარსტული წყაროები და მიწისქვეშა მდინარეები დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოში კირქვული მასივების გავრცელებასთან. მათი დებიტი იმდენად მაღალია, რომ ისინი მონაწილეობენ დასახლებული პუნქტების წყალმომარაგებაში. მაგალითად, აფხაზეთის კარსტული წყაროს - მჭიმთას დებიტი შეადგენს 10 ათას ლ/წმ. ასევე, მსხვილ წყაროებს, რომლებიც დასაწყისს აძლევენ მდინარეებს - რეჩხი, ოლორი, ლეგვეშარა, მნიშვნელოვანი საშუალოწლიური დებიტი გააჩნიათ, შესაბამისად, 3,71; 1,71; 0,82 მ³/წმ.

მრავალრიცხოვანი და მძლავრი წყაროებით გამოირჩევა სამხრეთ საქართველოს ვულკანური მთიანეთი, სადაც აღსანიშნავია მდ. ფარავნის აუზში - სამსარის წყარო, მდ. ხრამის აუზში - აბლარის წყაროები, რომელთა დებიტია 2,0 მ³/წმ; ოზნინის, კიზილკიდის და ოლიანკის წყაროები, დებიტით - 3,4 მ³/წმ, თრიალეთის წყაროები - 3,0 მ³/წმ, არმუთლინის - 1,2 მ³/წმ და სხვ.

მაღალდებიტიანი წყაროები (100 ლ/წმ-მდე) განლაგებულია მდინარეების - ქვაბლიანის, ურაველის, ინჯასუს ზემო წელში. მათ მიეკუთვნება წყაროები ს. გაბუთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დებიტით 60-75 ლ/წმ. აღსანიშნავია ზილბუხარისა და ფაშაპუფის წყაროები მდ. ქვაბლიანის აუზში.

მდ. მტკვრის ხეობაში ცნობილია ზედა ვარძიის წყაროები, რომელთაც ემყარებოდა ციხე-ქალაქ ვარძიის წყალმომარაგება. წყაროთა მძლავრი გამოსავლები სოფელ თმოგვსა და თმოგვის ციხეს შორის გამოიყენება ახალციხის და ადიგენის წყალმომარაგებისათვის.

წყაროებიდან, რომლებიც დაკავშირებული არიან ალუვიურ დანალექებთან, აღსანიშნავია: ბულაჩაურის, ჭოპორტის, ნატახტარის და საგურამოს მძლავრი წყაროები მდ. არგვის აუზში; სუფთაწყლები, ქ. გორიდან ჩრდილოეთით, დებიტით 1,5-2,5 მ³/წმ; მრავალრიცხოვანი წყაროები მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირის მთისწინებში. მათგან ყველაზე მსხვილია აფენის წყარო (დებიტი შემოდგომა-ზაფხულის პერიოდში - 220-250 მ³/წმ;

ვატმასური, დებიტით 188 მ³/წმ, ქ.ყვარელის მახლობლად და სხვ. სულ რეგისტრირებულია მტკნარი წყლის 2000-მდე წყარო, რომელთა დებიტი 250 მლრდ ლიტრს შეადგენს წელიწადში. უნდა აღინიშნოს, რომ წყაროების წყალს აქვს ჰიდროკარბონატული კალციუმ-მაგნიუმიანი შედგენილობა, დაბალი მინერალიზაცია და კარგი სასმელი თვისებები, რაც საშუალებას იძლევა მათ ბაზაზე დაიგეგმოს წყალმომარაგება, სამრეწველო ჩამოსხმა და ექსპორტი. სასმელად ვარგისი მიწისქვეშა მტკნარი წყლები ჩვენი ქვეყნისათვის ვალუტის მნიშვნელოვანი რაოდენობით მოზიდვის და ბარტერული გაცვლის რეალური საშუალებაა.

ქვეყანაში მოსახლეობის წყალმომარაგებისათვის 2000-ზე მეტი ჭაბურღილია, რომლებსაც საკმაოდ დიდი დებიტი გააჩნიათ. მათი ფორმირების ადგილები განლაგებულია მაღალმთიან ზონებში და ფიზიკურ-ქიმიური მაჩვენებლების მიხედვით, ფართოდ გამოიყენება სასმელი დანიშნულებისათვის. ჭაბურღილების ძირითადი რაოდენობა აღმოსავლეთ საქართველოშია, უმეტესად ალაზნის ველზე, კახეთის მუნიციპალიტეტებში, სადაც 96 ჭაბურღილს აქვს დებიტი 5 მ³/წმ-ზე მეტი.

წყალუხვია ჭაბურღილები ნინოწმინდის, ადიგენისა და ახალციხის მუნიციპალიტეტშიც, სადაც გაბურღულია 100, 600 და 477 მ სიღრმის ჭაბურღილები, დებიტით 8,5; 22,0 და 16,1 ლ/წმ შესაბამისად.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მარნეული-გარდაბნის არტეზიული აუზის აღმოსავლეთი ნაწილისა და ივრის, შირაქისა და კოლხეთის არტეზიული აუზების ჰიდროგეოლოგიური პარამეტრების განსაზღვრას, აგრეთვე სართიჭალის, შირაქის, კოლხეთის, მარნეული-გარდაბნის, ერწო-თიანეთისა და იორის არტეზიული აუზების მიწისქვეშა წყლების რეჟიმის შესწავლას.

2.2. საქართველოს წყლის რესურსების გამოყენების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები

საქართველოს წყლის რესურსები (აღმოსავლეთ საქართველოს წყლის მარაგი 10 მლრდ მ³ შეადგენს, დასავლეთ საქართველოში - 50 მლრდ მ³) ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკის ყველა დარგში. წყლის ობიექტებიდან წყლის აღება და მისი მოხმარება წარმოებს მოსახლეობის სასმელ-საყოფაცხოვრებო მოთხოვნილების, ენერგეტიკის, მრეწველობის, მორწყვის, მეცხოველეობისა და სხვა საჭიროებისათვის. წყლის ობიექტები უშუალოდ გამოიყენება სამეთევზეო მეურნეობისა და აგრეთვე, სპორტული, რეკრეაციული და სხვა მიზნებისათვის. წყლის რესურსების გამოყენებისა და ექსპლუატაციის ინდექსი (საერთო წლიური წყალმოხმარება პროცენტებში მტკნარი წყლის განახლებად გრძელვადიან საშუალო წლიურ მოცულობებთან შედარებით) ქვეყანაში დაბალია და მხოლოდ 4%-ს შეადგენს, თუმცა ყოველწლიურად იზრდება მტკნარი წყლების გამოყენების საერთო საშუალო წლიური მაჩვენებელი.

საქართველოში წყალაღების, გამოყენების, ჩამდინარე წყლების ჩაშვების სტატისტიკური მონაცემები წლების მიხედვით, წარმოდგენილია ცხრილებში 2.3. და 2.4

წყლის აღების, გამოყენების და ჩამდინარე წყლის ჩაშვების მაჩვენებლები მლნ მ³/% 2000-2013

წლების დასახელება	2000	2005	2010	2011	2012	2013
წყლის აღება ბუნებრივი ობიექტებიდან*	2010	48786	33517,3	31363,4	29209,5	28632,1
მ.შ.მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან/ % აღებული წყლიდან	<u>400</u> 19,9%	<u>549</u> 1,1%	<u>414,2</u> 1,2%	<u>381,2</u> 1,7%	<u>367,8</u> 1,3%	<u>403,2</u> 1,4%
გამოყენებული წყალი/% აღებული წყლიდან	<u>779</u> 38,7%	<u>48374,1</u> 99,1%	<u>30727,2</u> 91,6%	<u>29649,1</u> 94,5%	<u>28571</u> 97,8%	<u>27436,8</u> 95,8%
მ.შ. საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე/%*	<u>346,5</u> 47,2%	<u>358,0</u> 54,7%	<u>455,4</u> 63,0%	<u>439,2</u> 48,2%	<u>330,2</u> 32,0%	448,2
საწარმოო/%	<u>150,5</u> 21,3%	<u>208,3</u> 31,9%	<u>207</u> 6,2%	<u>357,9</u> 39,2%	<u>362,5</u> 35,2%	324,6
სარწყავი/%და სხვა	<u>208,2</u> 29,5%	<u>87,0</u> 13,4%	<u>59,1</u> 1,7%	<u>115</u> 12,6%	<u>338,2</u> 32,8%	-
სამივე დარგში გამოყენებული წყალი/% გამოყენებული წყლიდან	<u>705</u> 90,5%	<u>653,3</u> 1,4%	<u>721,5</u> 2,3%	<u>912,1</u> 4,2%	<u>1030,9</u> 3,6%	-
სასოფლო-სამეურნეო წყალსარგებლობა და სხვ./% გამოყენებული წყლიდან	<u>74,0</u> 9,5%	<u>47721,3</u> 98,6%	<u>30005,7</u> 97,7%	<u>20690,6</u> 69,8%	<u>27540</u> <u>94,3%</u>	-
ჩამდინარე წყლის ჩაშვ. ზედაპ. წყალსატ./% აღებული წყლიდან	<u>398,4</u> 19,8%	<u>47732</u> 97,8%	<u>29162</u> 87,0%	<u>28198,6</u> 91,5%	<u>27235</u> <u>93,2%</u>	<u>27144,0</u> <u>94,8%</u>
დანაკარგები წყლის ტრანსპ./% აღებ. წყლიდან	<u>505,5</u> 25,1%	<u>412,0</u> 0,84%	<u>668,0</u> 2,0%	<u>570,7</u> 2,5%	<u>445,1</u> 1,5%	<u>395,5</u> 1,4%

*% აღებულია სამივე დარგში გამოყენებული წყლიდან


წყალაღება ბუნებრივი ობიექტებიდან 2017 წელს შეადგენდა 2038,1 მლნ მ³-ს, რაც 2015 წელთან შედარებით მეტია 150,6 მლნ მ³-ით. წყლის გამოყენება 2017 წელს შეადგენდა 1050,4 მლნ მ³-ს, რაც 2015 წელთან შედარებით მეტია 53,5 მლნ მ³-ით. აქედან გარდა სასმელ-სამეურნეო და საწარმოო საჭიროებისა სხვა მიზნით გამოყენებულ იქნა 2017 წელს 491,3 მლნ მ³, რაც აღემატება 2015 წლის მაჩვენებელს (260,6) 230,7 მლნ მ³-ით, ანუ 46,9%-ით. ამ მაჩვენებლის მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სხვადასხვა საჭიროებაზე გამოყენებული წყლის რაოდენობა გაიზარდა.

წყლის აღების, გამოყენების და ჩამდინარე წყლის ჩაშვების მაჩვენებლები მლნ მ³/% 2015-2019

წლების დასახელება	2015	2016	2017	2018	2019
წყლის აღება ბუნებრივი ობიექტებიდან სულ	1887,5	2110	1804,7	1770,8	2086,1
მ.შ.მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან*/ % აღებული წყლიდან	<u>498,5</u> 26,4%	<u>479,9</u> 22,7%	<u>489,2</u> 27,1%	<u>487,4</u> 27,5%	<u>486</u> 23,3%
სულ გამოყენებული წყალი /% აღებული წყლიდან	<u>996,9</u> 52,8%	<u>1051,3</u> 49,8%	<u>1050,4</u> 58,2%	<u>997,4</u> 56,3%	<u>1274,6</u> 61,1%

მ.შ. სასმელ-სამეურნეო საჭიროებაზე/%* გამოყენებული წყლიდან	<u>381,5</u> 38,2%	<u>340,8</u> 32,4%	<u>311,9</u> 29,6%	<u>268,4</u> 26,9%	<u>280,5</u> 22,0%
საწარმოო/% გამოყენებული წყლიდან	<u>354,8</u> 35,5%	<u>262,4</u> 24,9%	<u>247,2</u> 23,5%	<u>263,5</u> 26,4%	<u>389,4</u> 30,6%
სხვა მიზნებისათვის /% გამოყენებული წყლიდან	<u>260,6</u> 26,1%	<u>448,1</u> 42,6%	<u>491,3</u> 46,7%	<u>465,6</u> 46,6%	<u>604,8</u> 47,5%
ჩამდინარე წყლის ჩაშვება ზედაპირულ წყლის ობიექტებში	544,1	389,0	344,0	334,5	401,6
დაბინძურებული ჩამდინარე წყალი	305,4	158,5	131,7	112,8	187,3
დანაკარგები წყლის ტრანსპ./% აღებ. წყლიდან	<u>890,6</u> 47,2%	<u>1058,6</u> 50,2%	<u>754,3</u> 41,8%	<u>773,4</u> 43,7%	<u>811,5</u> 38,9%
ბრუნვითი და მიმდევრობითი მეორადი წყალმომარაგება	226,8	190,3	207,9	121,9	135,0

ნახ.3. სასმელ საყოფაცხოვრებო საჭიროებაზე გამოყენებული წყლის რაოდენობისა და ტრანსპორტირების დროს წყლის დანაკარგების მაჩვენებლები წლების მიხედვით (2000 – 2019 წწ.)



2015-2018 წლებში მთლიანი წყალაღება ქვეყანაში შემცირდა 116,7 მლნ მ³-ით, ანუ 6,2%-ით; გამოყენებული წყლის მთლიანი რაოდენობა ამავე პერიოდში დარჩა იგივე დონეზე; მათ შორის სასმელ-სამეურნეო საჭიროებაზე გამოყენებული წყლის რაოდენობა შემცირდა 113,1 მლნ მ³-ით, ანუ 11,3%-ით; საწარმოო საჭიროებაზე გამოყენებული წყლის რაოდენობა შემცირდა 91,3 მლნ მ³-ით, ანუ 9,1%-ით; სხვა მიზნებისათვის გამოყენებული წყლის რაოდენობა გაიზარდა 205 მლნ მ³-ით, ანუ 20,5%-ით; წყლის დანაკარგები ტრანსპორტირებაზე 2015-2018 წლებში შემცირდა 117,2 მლნ მ³-ით, ანუ 3,5%-ით;

2018 წელს მთლიანმა წყალალბამ ქვეყანაში შეადგინა 1770,8 მლნ მ³, რაც 2000 წელთან შედარებით შემცირებულია 239,2 მლნ მ³-ით, ანუ 11,9%-ით; მ.შ. მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყალალბა 2018 წელს შეადგენდა 487,4 მლნ მ³, რაც 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 87,4 მლნ მ³-ით, ანუ 21,8%-ით; 2018 წელს გამოყენებული წყლის რაოდენობა სულ შეადგენდა 997,4 მლნ მ³, რაც 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 218,4 მლნ მ³-ით, ანუ 28,0%-ით; მ.შ. სასმელ-სამეურნეო საჭიროებაზე 2018 წელს გამოყენებული იყო 268,4 მლნ მ³, რაც 2000 წელთან შედარებით შემცირდა 78,1 მლნ მ³-ით, ანუ 22,5%-ით; საწარმოო საჭიროებაზე გამოყენებული წყლის რაოდენობა 2018 წელს - 263,5 მლნ მ³, რაც 2000 წელთან შედარებით გაიზარდა 113 მლნ მ³-ით, ანუ 75,1%-ით. ანალოგიური მაჩვენებლებია 2019 წელსაც. წყალმომარაგებისა და წყალარინების ძირითადი მაჩვენებლები 2015-2019 წლებში მოყვანილია ცხრილში 2.5.

ცხრილი 2.5

წყალმომარაგებისა და წყალარინების ძირითადი მაჩვენებლები 2015-2019 წწ

წლების დასახელება	2015	2016	2017	2018	2019
წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობა (%)	59,5	62,5	65,5	65,8	67,7
წყალარინების (კანალიზაციი) ქსელზე მიერთებული მოსახლეობა (%)	44,2	46,0	47,9	48,6	49,3
წყალმომარაგების სისტემაში გაშვებული წყლის რაოდენობა (მლნ მ ³)	913,2	890,1	888,2	799,7	816,9
დანაკარგები წყლის ტრანსპორტირებისას (მლნ მ ³)	668,6	637,4	625,5	531,0	543,4
აბონენტებისათვის მიწოდებული წყალი (მლნ მ ³)	244,6	252,7	262,7	268,6	273,5
მოსახლეობისთვის მიწოდებული წყალი (მლნ მ ³)	207,6	213,7	223,4	221,9	223,4

წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის რაოდენობა 2018 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 6,3 %-ით; წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რაოდენობა კი - 4,6 %-ით.

2.3. წყლის რესურსების მართვა და გამოყენების რეგულირება

წყლის რესურსების, მათ შორის სასმელი წყლის, გამოყენების ერთიანი რეგულირება ფაქტობრივად არ ხდება. წყლის რესურსების სხვადასხვა დანიშნულებით გამოყენებას (ირიგაცია, ენერგეტიკა, წყალმომარაგება, მრეწველობა და სხვ.) არეგულირებენ შესაბამისი უწყებრივი სტრუქტურები, რაც ხელს არ უწყობს წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას და ერთიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავებას.

საქართველოს წყლის რესურსების სიუხვის მიუხედავად, მათზე მზარდი დატვირთვების გამო (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში), თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს წყლის ურთიერთობების, წყალ-სამეურნეო პოლიტიკის ახლებურად გადასინჯვას. აუცილებელი ხდება წყლის რესურსების მოხმარების მკაცრი კონტროლი და მართვად წყალმომარაგებაზე გადასვლა.

აღსანიშნავია, რომ თუკი ცენტრალიზებული ეკონომიკის პირობებში წყლის რესურსების გამოყენების უწყებრივი რეგულირების პრაქტიკა კიდევ ამართლებდა, დღევანდელ პირობებში, როდესაც ჩნდება დამოუკიდებელი კერძო საწარმოები და მეურნეობები, ეს პრაქტიკა გამოიწვევს წყლის რესურსების უკონტროლო გამოყენებას. ამას მოჰყვება სხვადასხვა წყალმომხმარებლების ინტერესების დაპირისპირება და წყლის ობიექტების ეკოლოგიური დეგრადაცია. კლიმატის მოსალოდნელი ცვლილების პირობებში, კიდევ უფრო მწვავედ დადგება წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხი, საჭირო გახდება მოსალოდნელ ცვლილებათა საპასუხო ღონისძიებათა ერთიანი სტრატეგიის ჩამოყალიბება და მისი განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ არის მიჩნეული, წყლის შესახებ სათანადო ნორმატიული აქტების მიღება და არსებულის გამკაცრება; მიზანშეწონილია აგრეთვე, საქართველოს წყლის რესურსების რეგულირების ერთიანი სახელმწიფო ორგანოს შექმნა, რომელიც უნდა ემსახუროდეს წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის მთავარი მიზნების განხორციელებას.

დასკვნა

მსოფლიოს მრავალი ქვეყნის მოსახლეობა განიცდის სუფთა, მტკნარი წყლის და მათ შორისასამელი წყლის დეფიციტს, რაც სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იძენს. მოსახლეობის ზრდა, კლიმატის ცვლილებები, გაუდაბნობა, უკანონო ჭრები, სოფლის მეურნეობის წარმოების მფლანგველური მეთოდები, წყალტევადი დარგების განვითარება ქვეყნის მშრალ რეგიონებში, წყლის არარაციონალური გამოყენება შინა მეურნეობებში, უყაირათობა, მფლანგველური ირიგაციის მეთოდები და მიწისქვეშა წყლის რესურსების გამოფიტვა იწვევს წყლის საყოველთაო კრიზისს.

საქართველო მტკნარი წყლის რესურსის სიმდიდრით გამოირჩევა. სასმელი წყლების ერთ-ერთ ძირითად და უპირველეს წყაროდ მიჩნეულია მტკნარი მიწისქვეშა წყლები. საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლების ბუნებრივი რესურსი 18კმ³ ანუ 572 მ³/წმ-ია, მათი საერთო რაოდენობის 63,4% დასავლეთ საქართველოზე მოდის, 24,1% - აღმოსავლეთზე, ხოლო 12,5% - სამხრეთ საქართველოზე. მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების დამტკიცებული მარაგი შეადგენს 145,5 მ³/წმ, რომლის 48% მოდის დასავლეთ საქართველოზე, 45% - აღმოსავლეთზე და 7% - სამხრეთ საქართველოზე. ქვეყანაში მრავლადაა მტკნარი მიწისქვეშა წყლების მძლავრი გამოსვლები წყაროების სახით, რომლებიც ხასიათდება მაღალი დებიტით, ჰიდროკარბონატული კალციუმ-მაგნიუმისანი შედგენილობით და დაბალი მინერალიზაციით, რაც განაპირობებს მათ ბაზაზე სასმელი წყლის სამრეწველო ჩამოსხმისა და ექსპორტის შესაძლებლობას.

საქართველოს მტკნარი წყლების ბუნებრივი და საექსპლუატაციორესურსების მხარეების მიხედვით განაწილების თანახმად ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა სამეგრელო-სვანეთისა (109 მ³/წმ) და მთათუშეთი-კახეთის (100 მ³/წმ) რეგიონები, რაც განაპირობებს, რომ უფრო დეტალურად იქნეს შესწავლილი ამ რეგიონების სასმელი წყლის რესურსები.

აღმოსავლეთ საქართველოში წყალმომხმარების მდგომარეობა საკმაოდ დამაბუღია, წყლის რესურსის შედარებითი სიმცირისა და მასზე მზარდი დატვირთვის გამო. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს წყლით დეფიციტური ზონებისათვის დამახასიათებელი

წყალდამზოგველი პოლიტიკის გატარებას, რისთვისაც მიზანშეწონილია განხორციელდეს წყლის გამოყენების მკაცრი კონტროლი და მართვად წყალმომარებაზე გადასვლა.

2018 წელს 2000 წელთან შედარებით მიწისქვეშა წყლის ობიექტებიდან წყალაღება გაიზარდა 21,8%-ით; სასმელ-სამეურნეო საჭიროებაზე წყლის გამოყენებაკი შემცირდა 22,5%-ით.

წყალმომარაგების სისტემაზე მიერთებული მოსახლეობის რაოდენობა 2018 წელს 2015 წელთან შედარებით გაიზარდა 6,3 %-ით და შეადგინა 65,8%, ხოლო წყალარინების (კანალიზაციის) ქსელზე მიერთებული მოსახლეობის რაოდენობა - 4,6 %-ით და შეადგინა 48,6%.

წყლის დანაკარგები ტრანსპორტირებაზე შეადგენს მთლიანად აღებული წყლის 43,7 % -ს.

საქართველოს წყლის რესურსების სიუხვის მიუხედავად, მათზე მზარდი დატვირთვების გამო (განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში), თანამედროვე მდგომარეობა მოითხოვს წყლის ურთიერთობების, წყალ-სამეურნეო პოლიტიკის ახლებურად გადასინჯვას. აუცილებელი ხდება წყლის რესურსების მოხმარების მკაცრი კონტროლი და მართვად წყალმომარაგებაზე გადასვლა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბეთანელი კ., ჩიჯავაძე მ., მახარაძე ქ. საქართველოს სასმელი წყლის რესურსები, მათირაოდენობრივი, თვისებრივი და ტექნიკური მაჩვენებლები. მეცნიერება და ტექნოლოგიები N 1-3, 2002. გვ 86.
2. იორდანაშვილი ი., იორდანაშვილი კ. აღმოსავლეთ საქართველოს ბუნებრივი წყლის ძირითადი მარაგის და წყლის რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებანი. საქართველოს წყალთამეურნეობის ინსტიტუტი, მეცნიერება, თბილისი, 2008, 144 გვ.
3. ინფორმაციული ბიულეტენი მიწისქვეშა ჰიდროსფეროს ეკოლოგიური მდგომარეობის და საშიში გეოლოგიური პროცესების შესწავლისა და პროგნოზირების შესახებ. საქართველოს გეოლოგიის დეპარტამენტი. თბილისი 2000, 380 გვ.
4. ჟორდანიანი ირ., ურუშაძე თ., მახარაძე ქ., ფირცხალავა რ. თბილისის ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები. წყლის რესურსები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი, 2012 წ., 76-107 გვ.
5. საქართველოს გეოგრაფია. ნაწილი I. ფიზიკური გეოგრაფია. ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. „მეცნიერება“, თბილისი 2000 წ., 198-293 გვ.
6. საქართველოს გეოგრაფია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი. თსუ-ს გამომცემლობა, თბილისი 2013 წ., 324 გვ.
7. საქართველოს ბუნებრივი რესურსები (ორტომეული), ტომი I, თავი 3, წყლის რესურსები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. თბილისი, 2015 წ., 177-290 გვ. თავი 2, მიწის რესურსები, 47-176 გვ.
8. საქართველოს ბუნებრივი რესურსები და გარემოს დაცვა. სტატისტიკური კრებული. წყლის რესურსები., თბილისი, 2017-2019, 2020 წწ.

9. ყრუაშვილი ი., ინაშვილი ი., კუპრავეიშვილი მ., ბზიავა კ. წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, თბილისი, 2008 წ. 319 გვ.
10. ხარატიშვილი ლ. საქართველოს მტკნარი მიწისქვეშა წყლები - რესურსები, ათვისება დაცვა. "ინტელექტი" თბილისი 2009, 56 გვ.
11. Буачидзе И.М., Зедгинидзе С.М. Гидрогеология и перспективы использования подземных вод Алазано-Агрыйского артезианского бассейна. Тбилиси, «Мецниереба», 1985 г., 19 стр.
12. Иорданашвили И., Гавардашвили Г., Иремашвили И., Вартанов М., Иорданашвили К. Кадастр водных запасов Грузии. Министерство образования и науки Грузии, Институт водного хозяйства им. Ц.Мирцхулава Грузинского технического университета. Экоцентр охраны окружающей среды, изд. «Универсал», Тбилиси, 2018 г., 260 стр.
13. Колесников В.И. Экология и водные отношения Грузии., Тбилиси, «Мецниереба», 1992г., 182 стр.
14. Природные ресурсы Грузии и проблемы их рационального использования. глава 3 – водные ресурсы. КЕПС АН Грузии. «Мецниереба», Тбилиси, 1991 г., 315-444 стр.
15. Мировой рынок пресной воды.
16. Мировые источники воды, ЮНЕСКО, 2003 г.)

**საქართველოს სასმელი (მიწისქვეშა) წყლის რესურსები
და სასმელ-სამეურნეო წყალმომარების პრობლემები**

**გ. თალაკვაძე, ფიზ. მათ. მეცნ. დოქტორი; ქ. მახარაძე, ქიმ. დოქტორი; რ. ფირცხალავა,
სტუ დოქტორანტი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი
რესურსების შემსწავლელი ცენტრი
რეზიუმე**

მსოფლიოს მოსახლეობა განიცდის სუფთა, მტკნარი წყლის და მათშორის სასმელი წყლის დეფიციტს, რაც სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იძენს. საქართველო მტკნარი წყლის რესურსის სიმდიდრით გამოირჩევა. სასმელი წყლების ერთ-ერთ ძირითად და უპირველეს წყაროდ მიჩნეულია ქვეყნის მტკნარი მიწისქვეშა წყლები.

საქართველოს მტკნარი წყლების ბუნებრივი და საექსპლუატაციო რესურსების მხარეების მიხედვით განაწილების თანახმად ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა სამეგრელო-სვანეთისა (109 მ3/წმ) დამთათუშეთი-კახეთის (100 მ3/წმ) რეგიონები, რაც განაპირობებს ამ რეგიონების სასმელი წყლის რესურსების დეტალურად შესწავლის აუცილებლობას.

2018 წელს სასმელ-სამეურნეო საჭიროებაზე გამოყენებული წყალი შეადგენდა მთლიანად აღებული წყლის 22%-ს, ხოლო წყლის დანაკარგები - 39%-ს შეადგენდა. ეს მაჩვენებლები მიუთითებს ქვეყანაში ზოგადად წყლის რესურსების, მათ შორის სასმელი წყალმომარების რაციონალიზაციის საჭიროებაზე.

ქვეყანაში მრავლადაა მტკნარი მიწისქვეშა წყლების მძლავრი გამოსვლები წყაროების სახით, რომლებიც ხასიათდება მაღალი დებიტით, ჰიდროკარბონატული კალციუმ-მაგნიუმიანი შედგენილობით და დაბალი მინერალიზაციით, რაც იძლევა მათ ბაზაზე სასმელი წყლის სამრეწველო ჩამოსხმისა და ექსპორტის შესაძლებლობას.

Georgian fresh (underground) water resources and drinking-agriculture water consumption problems

G.Talakvadze, Physic-Mathematics doctor of science; K.Maxaradze, Chemistry doctor of science; R.Pirtskhalava science worker, PhD student, Georgian Technical University Production forces and Natural resources Learner Center

Resume

The world's population is experiencing a shortage of clean, fresh water, including drinking water, which is becoming increasingly acute. Georgia is rich in fresh water resources. One of the main and primary sources of drinking water is the fresh groundwater of the country.

According to the distribution of fresh water and natural resources of Georgia according to the regions, the regions of Samegrelo-Svaneti (109 m³/s) and Mtatusheti-Kakheti (100 m³/s) have the highest rates, which necessitates a detailed study of drinking water resources in these regions.

In 2018, water used for drinking needs accounted for 22% of total water taken, while water losses accounted for 39%.

The country is rich in freshwater resources in the form of springs, characterized by high flow, hydrocarbonate calcium-magnesium composition and low mineralization, which allows them to be industrially bottled and exported for drinking water.

Ressources en eau douce (souterraine) de la Géorgie et problèmes de consommation d'eau pour l'agriculture potable

G.Talakvadze, docteur ès sciences Physique-Mathématiques ; K.Maxaradze, docteur ès sciences en chimie ;R.Pirtskhalava ouvrier scientifique, Doctorant, Université technique géorgienne, Forces de production et Centre d'apprentissage des ressources naturelles

Résumé

La population mondiale connaît une pénurie d'eau propre et douce, y compris d'eau potable, qui devient de plus en plus aiguë. La Géorgie est riche en ressources en eau douce. L'une des principales sources d'eau potable est l'eau douce souterraine du pays.

Selon la répartition de l'eau douce et des ressources naturelles de la Géorgie selon les régions, les régions de Samegrelo-Svaneti (109 m³/s) et Mtatusheti-Kakheti (100 m³/s) ont les taux les plus élevés, ce qui nécessite une étude détaillée de ressources en eau potable dans ces régions.

En 2018, l'eau utilisée pour les besoins de consommation représentait 22 % de l'eau totale prélevée, tandis que les pertes d'eau représentaient 39 %.

Le pays est riche en ressources en eau douce sous forme de sources, caractérisées par un débit élevé, une composition hydrocarbonée calcium-magnésium et une faible minéralisation, ce qui permet leur mise en bouteille industrielle et leur exportation pour l'eau potable.

კოვიდპანდემიის პირობებში 2020 წლის საქართველოს ბიუჯეტის მაკროეკონომიკური ანალიზი

ქეთევან კაკაურიძე
დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ახალმა კორონავირუსმა (COVID 19) გლობალური ეკონომიკა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა. შეცვალა რა მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ტენდენცია 2020 წელის ოქტომბერში საერთაშორისო სავალუტო ფონდმა (IMF) მსოფლიო ეკონომიკური ზრდა-4,4 პროცენტით დააპრობნოზა.

პანდემიამ გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე. 2019 წელს დაფიქსირდა მოსალოდნელზე მარალი ეკონომიკური ზრდა. შესაბამისად მოცემული მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების პროგნოზირებით დაიგეგმა 2020 წლის ბიუჯეტი. 2019 წლის დეკემბერში მშპ-ს პროგნოზი 4,8% იყო. რის მიხედვითაც დაიგეგმა 2020 წლის ბიუჯეტი. თუმცა კორონავირუსის პანდემიამ პროგნოზები სრულიად შეცვალა. საჭირო გახდა 2020 წლის ივნისის თვეში ანტიკრიზისული ბიუჯეტის წარდგენა, სადაც მშპ-4,0 % განისაზღვრა, მაგრამ მშპ-ს რეალურმა ზრდამ 2020 წელს-6,2 % შეადგინა.

2020 წლის განმავლობაში ორჯერ გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ, კორონავირუსით დაინფიცირებულთა მაღალი მაჩვენებლის გამო, გამოიწვია მთელი რიგი დაწესებული შეზღუდვები, რამაც ეკონომიკური საქმიანობა მნიშვნელოვნად შეამცირა. ყოველივე ეს კი უარყოფითად აისახა ეკონომიკურ ზრდაზე. ყველაზე მეტად ეს შეეხო მომსახურების სფეროს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასტუმროებისა და რესტორნების წვლილი, სადაც პროცენტული პუნქტი (პპ) (-1,71 პპ-ით) განისაზღვრა, ტრანსპორტის (-1,29 პპ), ვაჭრობის (-0,70 პპ), ხელოვნების, გართობა, დასვენების (-0,58 პპ), მშენებლობის (0,35 პპ). უნდა

საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელიც პანდემიის უარყოფითი ზეგავლენით საგრძნობლად შემცირდა. ტურისტული სექტორის ჩამოშლამ მომსახურების ექსპორტის 64,5%-იანი კლება გამოიწვია. მთლიანობაში ექსპორტი 38,25-ით შემცირდა. კლება განიცადა საქონლისა და მომსახურების იმპორტმაც. თუ კი 2019 წელს 6,6%-იანი ზრდა ფიქსირდებოდა, 2020 წელს 5,4%-იანი ზრდა დაფიქსირდა. რეალური ინვესტიციების კლება 2019 წელს 5,9% იყო, ხოლო 2020 წელს 3,4 % შადგინა.

პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისის მიუხედავად უნდა აღინიშნოს კაპიტალის დადებითი ზრდის მაჩვენებელი. კაპიტალის ზრდას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელში. მიუხედავად იმისა, რომ ინვესტიციები შემცირდა, არ შემცირებულა მთლიანი კაპიტალის მოცულობა, თუმცა „2020 წლის კრიზისი ფაქტორების პროდუქტიულობის გაუარესებით და სამუსაო ძალის დიდი უარყოფითი წვლილიტაც გამოირჩევა“

2020 წელს ნომინალურ გამოსახულებაში დეფიციტის მოცულობა 1 962 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2019 წელთან შედარებით 104,9%-ით გაზრდილია. ეს გამოწვეულია ექსპორტის შემცირების გამო მომსახურების სავაჭრო სალდოს გაუარესებით. მშპ 0,8%-ით განისაზღვრა (-11,6პპ). მომსახურების ექსპორტი 65,5%-ით შემცირდა, ასევე შემცირდა მომსახურების იმპორტი 40,1 %-ით, ხოლო საქონლის სავაჭრო სალდოს ექსპორტი 12,3 %-იანი და იმპორტი 13,8 %-იანი კლება დაფიქსირდა. უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წელი

იმპორტის კლებამ გადააჭარბა ექსპორტის კლებას. 10 მლნ დოლარით შემცირდა შემოსავლების მუხლის უარყოფითი სალდო. რაც 2020 წლის ბალანსზე დადებითად აისახა.

მნიშვნელოვანია დანაზოგებისა და ინვესტიციების ანალიზი. როდესაც მთავრობისა და კერძო დანაზოგების ჯამური მოცულობა აჭარბებს ინვესტიციების მოცულობას წარმოიქმნება მიმდინარე ანგარიშის დადებითი სალდო. პირიქით შემთხვევაში მიმდინარე ანგარიშის სალდო დეფიციტურია. დაბალი განკარგვის შემოსავლების პირობებში დანაზოგების მოცულობა მცირეა. ამ დროს დაფინანსების წყაროს უცხოური სახსრები წარმოადგენს. ინვესტიციების ფარდობა მშპ-თან გაიზარდა 0,9%-ით 25,3%-დან 26,2%-მდე. მთავრობის დანაზოგები 2020 წელს პირველად უარყოფითი გახდა და მშპ-ს 4,9%-დან -1,1%-მდე შემცირდა, მაგრამ გაიზარდა კერძო დანაზოგები 14,9%-დან 15,3%-მდე.

2019 წელთან შედარებით შემცირდა საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 14,6%-ით და 11 373 მლნ. დოლარი შეადგინა. ექსპორტი 12,0%-ით შემცირდა, ხოლო იმპორტი 15,6%-ით. შესაბამისად ექსპორტით იმპორტის დაფარვის კოეფიციენტი 41,6%-ით განისაზღვრა.

2020წელს სავაჭრო დეფიციტმა 4 689 მლნ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 18%-ით ნაკლებია. 2019 წელს სავაჭრო დეფიციტმა თანაფარდობის მაჩვენებელი საგარეო საქონელთბრუნვის მიმართ 43% იყო, ხოლო 2020 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 41 %-ს გაუტოლდა.

2020 წელს საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ: აშშ 636 მლნ დოლარი (მთლიანი საგარეო საქონელთბრუნვის 6%), აზერბაიჯანი 935 მლნ დოლარი (მთლიანი საგარეო საქონელთბრუნვის 8%), ჩინეთი 1 185 მლნ დოლარი (მთლიანი საგარეო საქონელთბრუნვის 10%), რუსეთი 1 329 მლნ დოლარი (მთლიანი საგარეო საქონელთბრუნვის 12%), თურქეთი 1 598 მლნ დოლარი (მთლიანი საგარეო საქონელთბრუნვის 14%),

ექსპორტის მაჩვენებლით 2020 წელს საქართველოსთვის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები იყვნენ:

- ჩინეთი (476 მლნ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 14%);
- აზერბაიჯანი (441 მლნ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 13%);
- რუსეთი (441 მლნ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 13%);
- ბულგარეთი (312 მლნ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 9%);
- უკრაინა (217 მლნ დოლარი, მთლიანი ექსპორტის 7%).

ხოლო იმპორტის მიხედვით:

- თურქეთი (1 408 მლნ დოლარი, მთლიანი იმპორტის 18%);
- რუსეთი (888 მლნ დოლარი, მთლიანი იმპორტის 11%);
- ჩინეთი (709 მლნ დოლარი, მთლიანი იმპორტის 9%);
- აშშ (556 მლნ დოლარი, მთლიანი იმპორტის 7%);
- აზერბაიჯანი (493 მლნ დოლარი, მთლიანი იმპორტის 6%);


2020 წელს საქართველოში გამხორციელებულმა პირდაპირმა უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 2019 წლის მონაცემებთან შედარებით დაიკლო 53 %-ით და 617 მლნ აშშ დოლარი შეადგინა:

- ევროკავშირის ქვეყნები (601 მლნ დოლარი, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 97%);
- დსთ-ს ქვეყნები (20 მლნ დოლარი, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 3%);

- დანარჩენი ქვეყნებიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან უარყოფითი 4 მლნ დოლარი, მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების -1%).

2020 წელს წინა წლებთან შედარებით საგადასახადო ბალანსში აღრიცხულ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში რეინვესტირებული თანხის მოცულობა მნიშვნელოვნად გაზარდილია (91%).

2020 წელს ძირითადი ინვესტორი ქვეყნები იყვნენ:



- გაერთიანებული სამეფო, რეგიონალურ ჭრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50 %-ით წარმოგვიდგება, ხოლო საფინანსო სექტორში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 81% -ით,

- ნიდერლანდები რეგიონალურ ჭრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 28 %-ით წარმოგვიდგება, სამთომოპოვებითი მრეწველობაში 100%-ით, ხოლო დამამუშავებელი მრეწველობაში 67 %;

- თურქეთი რეგიონალურ ჭრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 18 %-ით წარმოგვიდგება, დამამუშავებელი მრეწველობაში 16 %, ხოლო მშენებლობაში 115%-ით;

- აშშ რეგიონალურ ჭრილში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 15 %-ით წარმოგვიდგება, ხოლო უძრავ ქონებაში 25%;

- მალტა, ლუქსემბურგი, რუსეთი გერმანია, დანია რეგიონალურ ჭრილში თითოეული მათგანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 4 %-ით წარმოგვიდგება, უძრავი ქონებაში კი გერმანია 11 %-ით და რუსეთი 15 %-ით.

ფისკალური პოლიტიკის შესაფასებლად ერთ-ერთ აუცილებელ ინდიკატორს ბიუჯეტის სალდო წარმოადგენს. საოპერაციო სალდო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობაა, ხოლო მთლიანი სალდო საოპერაციო სალდოსა და არაფინანსური აქტივების წმინდა ცვლილებების სხვაობაა.

2019 წელთან შედარებით 2020 წელს გაუარესდა როგორც საოპერაციო ისე მთლიანი სალდო. ნაერთი ბიუჯეტის შემოსავალი წინა წელთან შედარებით 3,9%-ით გაუარესდა და 12 407 მლნ ლარი შეადგინა. პანდემიიდან გამოწვეულმა ლოკდაუნებმა და შეზღუდვებმა გამოიწვია საგადასახადო შემოსავლის შემცირება 4 %-ით. (პანდემიით გამოწვეულმა ეკონომიკური აქტივობების შემცირებამ გამოიწვია დამატებითი ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებით მობილიზებული თანხების შემცირება. შემცირდა ქონებისა და იმპორტის გადასახადი. თუმცა გაიზარდა მოგებისა და აქციზის გადასახადი). მცირედით გაიზარდა გრანტებისა და სხვა შემოსავლებიც. თუ კი 2019 წელს გრანტებისა და სხვა შემოსავლის ჯამი 11,5% იყო. 2020 წელს ანალოგიურმა შემოსავლის ჯამმა მცირედი მატება დააფიქსირა და 11,6% შეადგინა.

პანდემიასთან ბრძოლამ გაზარდა ბიუჯეტის ხარჯები, ე.წ. მიმდინარე ხარჯებიც. (ბიუჯეტის ხარჯები მოიცავს შრომის ანაზღაურების, საქონლისა და მომსახურების, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა ხარჯებს) და შეადგინა 13 399 მილიონი ლარი, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე 23,7%-ით 2,567 მლნ ლარით მეტია.

2020 წელს 156 მლნ ლარით (4 %-ით) გაიზარდა არაფინანსური აქტივების შექმნა (გრძელვადიანი აქტივებში ინვესტიციები) და შეადგინა 3 790 მლნ ლარი. 2,0 მლნ ლარით გაიზარდა არაფინანსური აქტივების კლება ე.წ. პრივატიზაცია და 208 მლნ ლარი შეადგინა.

2019 წელთან შედარებით შემოსავლების 3068 მლნ ლარით შემცირებამ გამოიწვია ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდოს გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვნად გაიზარდა არაფინანსური აქტივები მის პარალელურად 238%-ით გაიზარდა უარყოფითი მთლიანი სალდო.

2020 წელს ყველაზე მეტად 1 377 მლნ ლარით გაიზარდა სოციალური უზრუნველყოფით გაწეული ხარჯი, ხოლო სუფსიდიების მუხლით გაწეული ხარჯი 559 მლნ ლარით გაიზარდა. ყოველივე ამან კი მიმდინარე ხარჯების 75%-ით მატება გამოიწვია.

2020 წელს ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-სთან მიმართებაში მკვეთრად გაუარესდა და 9,3% შეადგინა. მისი დაფარვა ძირითადად მოხდა ვალდებულების მუხლით. 2,2-ჯერ გაიზარდა საშინაო ვალდებულებები, ხოლო 9,3-ჯერ საგარეო ვალდებულებები. ამან კი გამოიწვია ვალდებულებების მუხლის 4 965 მლნ ლარით გაზრდა.

დასკვნა:

კრიზისულ პირობებში მნიშვნელოვანია შევავსოთ თუ რა გავლენას ახდენს ფისკალური პოლიტიკა ეკონომიკაზე, როგორია ფისკალური ინდიკატორების რაოდენობრივი შეფასება. უნდა განვსაზღვროთ ფისკალურმა პოლიტიკამ შეზღუდა ეკონომიკური აქტივობა თუ პირიქით, მასტიმულირებული, ესპანისური წახალისებული გახადა ეკონომიკა. ეკონომიკის მოკლევადიანი სტაბილურობისთვის საჭიროა ფისკალური პოლიტიკა ხელს უწყობდეს ეკონომიკური ციკლების მოსწორებას. მიმართავდეს კონსოლიდაციას ეკონომიკური ბუმის პირობებში და ექსპანსიას ეკონომიკის შენელებისას. ფისკალური ექსპანსია, ანუ დადებითი ფისკალური პოზიცია ნიშნავს, რომ სახელმწიფო ეკონომიკაში მეტ რესურსს დებს ვიდრე იღებს (ფისკალური ექსპანსია), უარყოფითი ფიაკალური პოზიცია ნიშნავს, რომ,

სახელმწიფო ეკონომიკიდან მეტ რესურს იღებს, ვიდრე აბრუნებს (ფისკალური კონსოლიდაცია). 2020 წელს ეკონომიკა მიმართული იყო სტიმულირებისკენ რადგანაც ფისკალური პოზიცია ექსპანსიური იყო. 2020 წელს მშპ-ის ჩამორჩენა მისი პოტენციური დონიდან გაიზარდა და მნიშვნელოვანი უარყოფითი გაპი დაფიქსირდა, ასევე გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობაც და რაც მთავარია დაფიქსირდა უარყოფითი ციკლურად შესწორებული პირველადი მთლიანი ბალანსი, რაც დადებით ფისკალურ პოზიციას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის ფისკალური პოლიტიკა იყო ანტიციკლური ეს მაინც საკმარისი არ აღმოჩნდა უარყოფითი მშპ-ს გაპის შესამცივებლად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <http://mof.ge>
3. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი <http://pbo.parliament.ge>

კოვიდპანდემიის პირობებში 2020 წლის საქართველოს ბიუჯეტის მაკროეკონომიკური ანალიზი

ქეთევან კაკაურიძე
დოქტორანტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

ახალმა კორონავირუსმა (COVID 19), რომელიც 2019 წლის ბოლის გამოჩნდა მთლიანად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკის განვითარება. გაურკვეველობის მაღალმა მაჩვენებლმა მსოფლიო ეკონომიკური პროგნოზი მრავალჯერ შეიცვალა. საქართველო, ისე როგორც მთელი დანარჩენი მსოფლიო მოწყვლადი აღმოჩნდა პანდემიის წინაშე. რადგან ქვეყნის ეკონომიკა მედწილად დამოკიდებულია საგარეო ფაქტორებზე, კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზეც. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წელი გამოირჩეოდა ეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების ტენდენციით. ეკონომიკური ზრდა მოსალოდნელზე მაღალი 5 %-იანი ზრდით დაფიქსირდა. 2020 წელს კი ზემოაღნიშნულმა პანდენიამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ბიუჯეტის, როგორც საშემოსავლო ისე ხარჯვით ნაწილზე. ქვეყანაში გამოცხადებულმა საგანგებო მდგომარეობამ მედწილად შეცვალა ქვეყნის განვითარების პრიორიტეტები. ვირუსით გამოწვეული ინფიცირებულთა დიაგნოსტიკითვის და მკურნალობისთვის გამოყოფილ თანხებთან ერთად საჭირო გახდა მთელი როგი ღონისძიებების გატარება რათა ჩაკეტილი ეკონომიკის პირობებში მომხდარიყო, როგორც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება, ისე ბიზნესის ხელშეწყობა. ამან კი გამოიწვია როგორც ფისკალური, ისე ეკონომიკური პროგნოზების გაუარესება. ამიტომაც მთავარ ამოცანად რჩება როგორც ეკონომიკის გაჯანსაღება, ასევე უზრუნველყოფილი იქნას ეკონომიკური სტაბილურობა რათა ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს.

Priority areas of the social protection system

Ketevan kakauridze
PhD student
Georgian Technical University

Abstract

In 2019, a new coronavirus (COVID 19) appeared, which completely changed the development of the world economy. The high rate of uncertainty has changed the world economic forecast many times. Georgia, like the rest of the world, found itself vulnerable to a pandemic. As the country's economy largely depends on external factors, the negative shock caused by the coronavirus has affected the Georgian economy as well. It should be noted that 2019 was marked by a trend of improving economic parameters. Economic growth was 5% higher than expected. In 2020, the above-mentioned pandemic had a significant impact on both the revenue and expenditure part of the budget. The state of emergency declared in the country has largely changed the development priorities of the country. In addition to the funds allocated for the diagnosis and treatment of those infected with the virus, it became necessary to take a number of measures to help both the socially vulnerable population and promote business in a closed economy. This has led to a deterioration in both fiscal and economic forecasts. That is why the main task remains to improve the economy, as well as to ensure economic stability in order to return the level of development of the country to a potential rate

Domaines prioritaires du système de protection sociale

Ketevan kakauridze
Doctorant
Université technique géorgienne

Abstrait

En 2019, un nouveau coronavirus (COVID 19) est apparu, qui a complètement changé le développement de l'économie mondiale. Le taux élevé d'incertitude a modifié à maintes reprises les prévisions économiques mondiales. La Géorgie, comme le reste du monde, s'est retrouvée vulnérable à une pandémie. Comme l'économie du pays dépend largement de facteurs externes, le choc négatif causé par le coronavirus a également affecté l'économie géorgienne. Il est à noter que 2019 a été marquée par une tendance à l'amélioration des paramètres économiques. La croissance économique a été 5% plus élevée que prévu. En 2020, la pandémie susmentionnée a eu un impact significatif à la fois sur la partie recettes et dépenses du budget. L'état d'urgence décrété dans le pays a largement modifié les priorités de développement du pays. En plus des fonds alloués au diagnostic et au traitement des personnes infectées par le virus, il est devenu nécessaire de prendre un certain nombre de mesures pour aider à la fois la population socialement vulnérable et promouvoir les entreprises dans une économie fermée. Cela a conduit à une détérioration des prévisions budgétaires et économiques. C'est pourquoi la tâche principale reste d'améliorer l'économie, ainsi que d'assurer la stabilité économique afin de ramener le niveau de développement du pays à un taux potentiel

სოციალური დაცვის სისტემის პრიორიტეტული მიმართულებები

ნინო ხომასურიძე

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

როდესაც ვსაუბრობთ თუ რა იწვევს პრობლემებს სოციალური პოლიტიკაში, ხოლო როგორ ვლინდება მათი აღმოფხვრის გზები, ყურადღება უნდა გავამახვილოთ განაწილების სამართლიანობის პრობლემაზე, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე. შეგვიძლია განაწილების სამართლიანობის პრობლემას მხოლოდ დასაკონკრეტებელ გარემოებათა საფუძველზე შეიძლება ჩავწვდეთ. ამასთან, სამართლიანობის პოსტულატები ყოველთვის არსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ფორმით და საზოგადოების ღირებულებათა სისტემით განისაზღვრება. ისინი წარმოადგენენ იმ წანამძღვარს, რომლიდანაც ადამიანთა თანაარსებობაში განაწილების პოლიტიკის ნორმები გამომდინარეობს. მოწოდება უფრო მეტი სამართლიანობისაკენ ყოველთვის მაშინ ხდება ხმამაღალი, როდესაც არსებული შემოსავლებისა და ქონების განაწილება მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებს შორის საზოგადოებრივ მშვიდობას საფრთხეს უქმნის. უკვე აქ ნათელი უნდა იყოს, რომ შემოსავლის და ქონების „სამართლიანი“ განაწილების საკითხს მეცნიერულად ვერ ვუპასუხებთ. ყოველ პასუხს საფუძველად უდევს საზოგადოებრივი შეფასებები, რომელზედაც პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა იღებს ორიენტაციას. ამასთან, გასარკვევი რჩება ის, თუ რა სიდიდეები ასრულებენ განაწილებაში მნიშვნელოვან როლს. ერთის მხრივ, საქმე ეხება მშპ-ს შექმნაში შეტანილ შრომის წვლილს (შედეგის პრინციპი), მეორეს მხრივ, მშპ-ს გამოყენებას (მოთხოვნილების პრინციპი)²⁸.


შესაბამისად, სოციალური დაცვის იმგვარი სისტემის ფორმირება უნდა განხორციელდეს, რომელიც უზრუნველყოფს სახელმწიფოს ყველა ღონისძიებისა და ქმედების ერთიანობას, რომელიც ეკონომიკურად სუსტი ჯგუფების ცხოვრების საფუძვლების განმტკიცებას მოემსახურება. განვითარებული ქვეყნებისათვის სოციალური დაცვის სხვადასხვა მოდელი არის აპრობირებული, თუმცა სოციალური პოლიტიკა დასავლური საზოგადოების როგორც პოლიტიკურ, ასევე კულტურული ღირებულებების განმასხვავებელი ნიშანსა და არსებობის წინაპირობას წარმოადგენს.

პანდემიის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირის გამოცდილების გაზიარება, სოციალური სფეროს უფრო ფართო შესწავლა და ანალიზი. მნიშვნელოვანია განხორციელდეს სოციალური სისტემის ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობის ანალიზი, საქართველოს მომავალი განვითარებისა და ევროსტრუქტურებში გაწევრიანების რეალური პერსპექტივების ჩამოყალიბებისათვის საყურადღებოა აღნიშნული პოლიტიკის მნიშვნელობისა და პრიორიტეტულობის წარმოჩენა. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს სოციალური დაცვის სისტემის კომპონენტების, სოციალური დაცვის, სოცუზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ერთიან სისტემაში მოქცევას და ეროვნული სოციალური სისტემის ფორმირებას.

²⁸ გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი I. თბ. «უნივერსალი». 2012, გვ.264-266


როგორც უკვე ავღნიშნეთ მსოფლიოში სოციალური პოლიტიკა სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს, თუმცა განსაკუთრებით მისი როლი და ფუნქცია გაიზარდა კორონავირუსული პანდემიის პირობებში, ხოლო რაც შეეხება მისი განხორციელების პროცესში წარმოშობილ პრობლემებს, ისინი მზარდი აქტუალობით გამოირჩევიან. განვითარებული ისევე როგორც განვითარებადი ქვეყნებისათვის სიღარიბესთან ბრძოლა მუდმივ თანმხლებ პროცესს წარმოადგენს. მიუხედავად იმისა რომ სიღარიბის მაჩვენებელი ქვეყნების მიხედვით განსხვავდება ერთმანეთისაგან, მისი აღმოხვრა ოცდამეერთე საუკუნის განვითარებული ქვეყნებისთვისაც კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. სოციალური დაცვის სფეროში წარმოშობილი პრობლემები, კორონავირუსული პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანია. პანდემიამ გამოიწვია მთელი რიგი დარგებისა და სფეროების პარალიზება. შედეგად მსოფლიოს მსგავსად საქართველოშიც მივიღეთ უმუშევარი მოსახლეობის რაოდენობის ზრდა. ამ ყველაფერმა კი სახელმწიფოს მიერ სოციალური დაცვის სფეროზე გაწეული დანახარჯების ზრდა განაპირობა.

მსოფლიოში მიმდინარე კორონავირუსული პანდემიის გავლენის საილუსტრაციოდ საქართველოს სოციალური დაცვის სისტემაზე, ამისათვის გავაანალიზოთ შემდეგი სახის მონაცემები. კერძოდ, თუ შევხედავთ დიაგრამა#1-ს მასზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა 2020 წელს, ხოლო დიაგრამა#2-ზე 2021 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა. როგორც დიაგრამებიდან ჩანს, ორივე წელს ხარჯების მთლიან მოცულობაში სოციალური უზრუნველყოფის დანახარჯებს ყველაზე მაღალი წილი აქვთ დათმობილი. თუ 2020 წელს პოცენტუალ გამოსახულებაში ბიუჯეტი ხარჯების 42,6%-ს წარმოადგენდა სოციალური უზრუნველყოფის სფეროზე გაწეული დანახარჯი, ის 2021 წლის პირველი კვარტლის ჯამური ანალიზის პერიოდისათვის გაზრდილია 47,4%-მდე.




დიაგრამა #1. 2020 წლის ხარჯების სტრუქტურა / წყარო: <http://mof.ge>

მეორე ადგილზე ხარჯების სტრუქტურაში წარმოდგენილია სხვა ხარჯების ჯგუფი, რომელიც 2020 წელს 12%-ს წარმოადგენდა, ხოლო 2021 წლის პირველი კვარტლის



დიაგრამა #2. 2021 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა/ წყარო: <http://mof.ge>

მდგომარეობით გაიზარდა 14,1%. გრანტების მაჩვენებელი 8,1%-დან შემცირდა 3,5%-მდე, შემცირდა აგრეთვე სუბსიდიები 6,7%-დან 5,1%-მდე, აგრეთვე პროცენტი-6,1%-დან შემცირდა 5,9%-მდე. ზრდა განიცადა შრომის ანაზღაურების ხარჯებმა 12,3%-დან 13,2%-მდე, ხოლო საქონელი და მომსახურების ხარჯი 2020 წლის ხარჯების მთლიან სტრუქტურაში 12,2%-დან შემცირდა 10,8%-მდე.



დიაგრამა #3. 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში/ წყარო: <http://mof.ge>


რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურას ფუნქციონალურ კრილში, ამის ანალიზისათვის გამოვიყენეთ დიაგრამა #3 და დიაგრამა#4, რომლებზეც წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილში 2020 წლის და 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით. ამ დიაგრამების ანალიზის გზით შეგვიძლია დავასკვნათ რომ სოციალური დაცვას 2020 წელს 30% ქონდა დათმობილი, ხოლო 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით 32,8%-ი. მნიშვნელოვანი შემცირება განიცადა ეკონომიკურმა საქმიანობამ რომელმაც 2020 წელს

მეორე ადგილზე 17,3% დან, 2021 წლის პირველი კვარტლის მდგომარებით გადაინაცვლა მესამე ადგილზე ჯანმრთელობის დაცვის შემდეგ (12,5%) 12,1%-ით .



დიაგრამა #4. 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში/ წყარო: <http://mof.ge>

დიაგრამა #5 და დიაგრამა#6 წარმოდგენილია 2019-2020 წლის და 2020-2021 წლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით.




დიაგრამა #5. 2019-2020 წლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით წყარო: <http://mof.ge>

701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 -ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა /

დიაგრამების ანალიზის დროს ნათლად ჩანს, თუ როგორ შეიცვალა ამა თუ იმ ჯგუფზე გაწეული დანახარჯი წლების მიხედვით. თუ სოციალური დაცვაზე სახელმწიფოს მიერ


გაწეული დანარჯების მოცულობას დავაკვირდებით დავინახავთ, რომ დინამიკაში ის მზარდია. კერძოდ, 2019-2020 წლის და 2020-2021 წლის პირველი კვარტლების მონაცემებს შევჯერებთ თანაფარდობა პირველ წლებს შორის 144%-ს წარმოადგენდა, ხოლო მეორე შემთხვევაში 115%-ს.



წყარო: <http://mof.ge>

დიაგრამა #6. 2020-2021 წლების I კვარტლების ფაქტიური შესრულება ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ განხორციელებული სოციალური პროგრამების ანალიზს, ამისათვის წარმოდგენილია დიაგრამა#7. ჯამურად მოქალაქეთა დახმარების მიზნით გამოიყო 1,2 მილიარდ ლარზე მეტი. აღნიშნული თანხიდან სხვადასხვა სახის დახმარებას იღებს 1 მილიონ 700 ათასამდე მოქალაქე. აგრეთვე კომუნალური ხარჯების სუბსიდირებით ისარგებლა 2,5 მილიონამდე მოქალაქემ.



დიაგრამა #7. პანდემია და სახელმწიფო სოციალური დახმარების პროგრამები/ წყარო: <http://mof.ge>

ქვეყნის მთავარი სტატისტიკური სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2019 წელს უმუშევარ ადამიანთა რაოდენობა შეადგენდა 276.9 ათასს, მაშინ როდესაც 2021 წლის I კვარტლის მონაცემებით აღნიშნული მაჩვენებელი გაზრდილია 317.5 ათასამდე. აღნიშნული მონაცემის მსგავსად გაუარესებულია სხვა მაჩვენებლებიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ

სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებულია სოციალური დაცვის სფეროზე გაწეული დანახარჯის ზრდა. აღნიშნულის მიუხედავად, საქსტატის მონაცემებით 2019 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ იმყოფებოდა მოსახლების 19.5%, რომელიც 2020 წლისათვის 21.3%-მდე გაიზარდა. მზარდმა ინფლაციურმა პროცესმა, გაზრდილმა ფასებმა საქონელზე და მომსახურებაზე, შემცირებულმა სამუშაო ადგილებმა და კიდევ სხვა ნეგატიურმა ფაქტორებმა, მოსახლეობის დაბალ და საშუალო შემოსავლიანი ნაწილისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხები დააყენა წინა ხაზზე. შესაბამისად, სოციალური დაცვის სისტემისათვის გამოწვევად გვევლინება პრობლემების მაქსიმალურად შერბილების ამოცანა, მის მიმართ არსებული გამოწვევებისა და გაუმჯობესების პერსპექტივის შეფასება. პანდემია და მისი თანმხლები ეკონომიკური კრიზისი გრძელდება, შესაბამისად ანტიკრიზისული პაკეტით გათვალისწინებული ერთჯერადი დახმარებები არ არის საკმარისი შემოსავლის გარეშე დარჩენილი ადამიანების საჭიროებების დაკმაყოფილებისათვის. ესეთ პირობებში სახელმწიფოს მხრიდან უნდა მოხდეს სოციალური დაცვის სისტემის ძირეული რეფორმა და დასაქმების აქტიური პოლიტიკის განხორციელება, ნაცვლად დროებითი დახმარების პაკეტის განხორციელებისა, რომელიც მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში აჩვენებს შედეგს. ამავე დროს მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ გაზრდილია საგარეო და საშინაო ვალის მოცულობა, რომელიც კიდევ მეტ არასტაბილურობის გაზრდის საფრთხის წინაშე აყენებს ეკონომიკას. შესაბამისად, უნდა განხორციელდეს საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის რეფორმირება, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს მთავარი მიზნის მიღწევას, ეროვნული შემოსავლის გადანაწილებით უზრუნველყოფილი იქნას მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის დადგენილი სტანდარტები, მოსახლეობის შრომისუუნარო და ნაკლებ შემოსავლიანი ნაწილისათვის სოციალური სოლიდარობის პრინციპის რეალიზაციით.

გამოყენებული ლიტერატურა

4. გელიტაშვილი ნ. საქართველოს გზა ევროპის სამეზობლო პოლიტიკიდან კოპენჰაგენის კრიტერიუმებამდე. ჟ. სოციალური ეკონომიკა. 15. 2006.
5. გელიტაშვილი ნ. „ევროკავშირთან თავსებადი სოციალური დაცვის მოდელი საქართველოში“. თბილისი, 2011.
6. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი. ეკონომიკური პოლიტიკა. წიგნი I. თბ. «უნივერსალი». 2012
7. გოგიშვილი უ. „სოციალური დაცვის ევროპული მოდელები“. ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესი“. 2012
8. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო <http://mof.ge>
10. სოციალური მომსახურების სააგენტო <http://ssa.gov.ge>

სოციალური დაცვის სისტემის პრიორიტეტული მიმართულებები

ნინო ხომასურიძე

დოქტორანტი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების შეფერხება იწვევს მთელი რიგი პრობლემებისა და გამოწვევების წარმოჩენას, რომლებიც განსაკუთრებულ ნეგატიურ გავლენას ახდენს საზოგადოების ყველაზე დაუცველ ნაწილზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანა ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც გამოიწვია კორონავირუსულმა პანდემიამ იმაზე მეტად ძლიერი და მზარდი აღმოჩნდა ვიდრე მოსალოდნელი იყო. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორებმა უფრო ცხადი გახადა საქართველოში სოციალური დაცვის პოლიტიკის ფუნდამენტური ხარვეზების სიღრმისეული ანალიზის აუცილებლობა. ხაზი გაუსვა სოციალური დაცვის სისტემის სწორი ფორმირების აუცილებლობას, მისი განვითარებასა და ევროპული სოციალური დაცვის სისტემასთან მაქსიმალურ დაახლოებას. ვაქცინაციის მზარდი პროცესის მიუხედავად, ჯერ კიდევ მძლავრია მიმდინარე პანდემიური პროცესები, აღნიშნული ვითარება გავლენას ახდენს საქართველოს სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა სფეროებზე. ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე საქართველოსათვის აუცილებელია სოციალურ-ეკონომიკური რეფორმები შეესაბამებოდეს ევროკავშირის სტანდარტებს.

საკვანძო სიტყვები: სოციალური დაცვის სისტემა, განაწილების სამართლიანობა, სოციალური უზრუნველყოფა

Priority areas of the social protection system

Nino Khomasuridze

PhD student

Georgian Technical University

Abstract

The slowdown in the development of the world economy leads to a number of problems and challenges that have a particularly negative impact on the most vulnerable part of society. Every country in the world is facing new challenges, the socio-economic problems caused by the coronavirus pandemic have turned out to be stronger and growing than expected. These factors have made the need for an in-depth analysis of the fundamental shortcomings of social protection policy in Georgia. He stressed the need for the proper formation of the social protection system, its development and maximum approximation to the European social protection system. Despite the growing process of vaccination, the current pandemic processes are still strong and affect the social, economic, cultural and other spheres of Georgia. On the way to EU membership, it is necessary for Georgia to implement socio-economic reforms in line with EU standards.

Keywords: Social protection system, equity of distribution, social security

Domaines prioritaires du système de protection sociale

Nino Khomasuridze

Doctorant

Université Technique Géorgienne

Abstrait

Le ralentissement du développement de l'économie mondiale entraîne un certain nombre de problèmes et de défis qui ont un impact particulièrement négatif sur la partie la plus vulnérable de la société. Chaque pays du monde est confronté à de nouveaux défis, les problèmes socio-économiques causés par la pandémie de coronavirus se sont avérés plus forts et croissants que prévu. Ces facteurs ont rendu nécessaire une analyse approfondie des lacunes fondamentales de la politique de protection sociale en Géorgie. Il a souligné la nécessité d'une bonne formation du système de protection sociale, de son développement et d'un rapprochement maximum avec le système européen de protection sociale. Malgré le processus croissant de vaccination, les processus pandémiques actuels sont toujours forts et affectent les sphères sociale, économique, culturelle et autres de la Géorgie. Sur le chemin de l'adhésion à l'UE, il est nécessaire que la Géorgie mette en œuvre des réformes socio-économiques conformes aux normes de l'UE.

Mots clés : Système de protection sociale, équité de répartition, sécurité sociale

რეგიონული (ტერიტორიული) მარკეტინგის ცნება, სოციალური არსი და მეთოდოლოგიური ასპექტები

ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი ავილირებული პროფესორი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

ტერიტორიულმა მარკეტინგმა, როგორც დამოუკიდებელმა მიმართულებამ, განვითარება ჰპოვა XX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულს. დაგეგმარების ცენტრალიზებული სისტემის დანგრევის შემდეგ, რეგიონები გაურკვევლობამ მოიცვა. ქვეყანაში მიმდინარე მზარდი ცვლილებების სიჩქარემ და ყველა სფეროში გამძაფრებულმა კონკურენციამ, ადგილობრივი ხელისუფლება აიძულა თავის თავზე აედო პასუხისმგებლობა რეგიონების განვითარების პერსპექტივაზე.

"მარკეტინგის" ცნების ტერიტორიულ ჭრილში განსახილველად აუცილებელია განვსაზღვროთ თანამედროვე საწარმოს მმართველობის საწარმოო-სარეალიზაციო სისტემის თავისებურებები, რომელიც დაფუძნებულია ბაზრის კომპლექსურ ანალიზზე, ხოლო მისი ფუნქციები და ამოცანები შესაბამისობაშია ტერიტორიულ ეკონომიკასთან. ამ აზრით, ტერიტორიის ეკონომიკა უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც ყველა ხელთ არსებული რესურსების ინტეგრალური გამოხატულება მისი პოზიტიური და ნეგატიური ფაქტორების გათვალისწინებით და განვითარების ტენდენციის რეტროსპექტიული განხილვით. ამის შესაბამისად, ტერიტორიული მარკეტინგი საკუთარ თავში უნდა მოიცავდეს ტერიტორიული ეკონომიკის გაფართოებული აღწარმოების პროცესს, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიის, როგორც მთელის კონკურენტუნარიანობას. საკითხის ამგვარად დაყენება განსაზღვრავს სახელმწიფო რეგულირების ფორმებს და მეთოდებს, რაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მათ.

სხვადასხვა მეცნიერ-ეკონომისტის მიერ გამოცემულ ნაშრომებში შეიძლება შევხვდეთ ცნებების მთელ რიგს, რომელიც ამა თუ იმ აზრით საბაზრო ეკონომიკის პირობებში ასახავს ტერიტორიის მართვის მარკეტინგული მიდგომის საკითხებს: "რეგიონული მარკეტინგი", "ადგილმდებარეობის მარკეტინგი", "ქალაქის მარკეტინგი", "ტერიტორიული მარკეტინგი".

საინტერესოა ტერიტორიის წარმატებული მართვის საზღვარგარეთული გამოცდილება. დასავლეთელი სპეციალისტების ნაშრომებში "ტერიტორიული მარკეტინგის" ცნება არ გვხვდება. ცალკეულ შემთხვევებში ის შეცვლილია "ადგილმდებარეობის ან ადგილის მარკეტინგის" ცნებით, რაც გულისხმობს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული წარმონაქმნის მარკეტინგს ან მარკეტინგს ქვეყნის დონეზე. ტერიტორიულ მარკეტინგს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს თავის ნაშრომებში კოტლერი და მისი კოლეგები, რომლებიც იყენებენ "ადგილის მარკეტინგის" ტერმინს და ამტკიცებენ, რომ მარკეტინგი უზრუნველყოფს ტერიტორიის პრობლემების გადაჭრას, ხელს უწყობს ტერიტორიული თანასაზოგადოების ადაპტაციას[1.გვ.55].

ტერიტორიული მარკეტინგის კონცეფცია, ერთი მხრივ, ტერიტორიის მიმზიდველი იმიჯის შექმნით, ყურადღებას ტერიტორიის პოზიციონირებაზე ამახვილებს, მეორე მხრივ, ტერიტორიის პერსპექტიულ სამეურნეო სფეროებს წარმოაჩენს და ხელს უწყობს მათ განვითარებას[2]. ტერიტორიული მარკეტინგის განხორციელების მიზანი ტერიტორიის

მდგრადი და მიმზიდველი სურათის შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესება, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება და ტერიტორიების პოზიტიური იმიჯის ფორმირებაა [3. გვ. 16].

ა. დაიანი სოლიდარულია ფ. კოტლერის და ყურადღებას ამახვილებს მასზე, რომ ტერიტორიის მარკეტინგი (და ნაწილობრივ ქალაქის მარკეტინგი) მოწოდებულია ტერიტორიული იმიჯის გასაუმჯობესებლად და მრეწველების მოსაზიდად, რომლთაც აიძულებს მასზე ისაუბრონ. სხვაგვარად რომ ითქვას, ტერიტორიული მარკეტინგის არსია საკუთარივე იმიჯის შექმნა.

ტერიტორიული მარკეტინგი შეიძლება განვიხილოთ, როგორც ტერიტორიის მართვის თანამედროვე ფილოსოფია, რომელიც მოიცავს ხელისუფლების ტერიტორიული ორგანოების ახლებურ გაგებას.

ტერიტორიული მარკეტინგის გაგება სხვადასხვაგვარად შეიძლება. ერთი მხრივ, ის უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეგულირების ფორმებსა და მეთოდებს. მეორე მხრივ, ტერიტორიული ეკონომიკურ ჩამოყალიბებულ სისტემასთან შესაბამისობაში უნდა იყოს. ცხადია, რომ ტერიტორიული მარკეტინგი რთული და კომპლექსური ცნებაა [4].

ტერიტორიული მარკეტინგის მეთოდოლოგიური ასპექტი განსაზღვრავს მის მიზანმიმართულ საქმიანობას, ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური მიზნების მიღწევას. ტერიტორიული მარკეტინგი რთულად შემდგარი პროცესია და მას თავისი შესავლისა და გამოსავლის პარამეტრები გააჩნია.

ტერიტორიული მარკეტინგის პარამეტრებად გვევლინება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს ტერიტორიის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურას და შინაარსს. კერძოდ:

- ✓ პოლიტიკურ-სამართლებრივს (ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესები და პროცედურები, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა);
- ✓ ეკონომიკურს (ფინანსური, საბიუჯეტო, საგადასახადო პოლიტიკის, ინფლაციის ტემპების, მოთხოვნისა და მიწოდების კონიუნქტურის შეცვლის)
- ✓ სოციო-კულტურული (ნაციონალური ურთიერთობების კულტურა, კულტურული ტრადიციები, მენტალიტეტი, ჩვეულება, ცხოვრების დონე და განათლება)
- ✓ ტექნოლოგიური (წარმოების ინოვაციური ტექნოლოგიების დონე, რესურსების ახალი წყაროების გამოვლინება და სხვ.) [5. გვ. 67].

საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიზნით, ტერიტორიულ მარკეტინგში ფართოდ გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორც ბრენდინგი და სარეკლამო საქმიანობა.

გეოპოლიტიკური ასპექტით, ტერიტორიული მარკეტინგი გვევლინება, როგორც ტერიტორიული ეკონომიკის ინსტრუმენტი.

გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, ტერიტორიული მარკეტინგი ტერიტორიული ეკონომიკის ინსტრუმენტად გვევლინება. ამგვარად, ტერიტორიული მარკეტინგი განსაზღვრავს ტერიტორიის სტატუსსა და მდგომარეობას. ტერიტორიული მარკეტინგი ასევე გვევლინება, როგორც ტერიტორიის ძირითადი გეოპოლიტიკური უპირატესობების პრეზენტაცია.

ტერიტორიული მარკეტინგის სოციალური არსი ადამიანების სოციალური ერთობის ფორმირებაში ვლინდება, რომლებიც თავისივე ხელით ქმნიან სოციალურ პროდუქტს.

ამგვარი ერთობა ხასიათდება შრომისადმი და წარმოების შედეგებისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებით. რესურსების მომჭირნობით, საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციით და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებით.

ტერიტორიული მარკეტინგის ინოვაციურ-ტექნოლოგიური დახასიათება ტერიტორიულ ეკონომიკას მიმართავს ბაზრის პერსპექტიული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ.

ტერიტორიული მარკეტინგის სისტემა არის წარმოების ინოვაციური პოლიტიკის ფორმირების საფუძველი. ტერიტორიული მარკეტინგის მექანიზმის პირდაპირი და უკუკავშირები ხელს უწყობს ბაზარზე პერსპექტიული მოთხოვნების გამოვლინებას.

სპეციალიზებულ ლიტერატურაში ტერიტორიის მარკეტინგის ფუნქციონირების მრავალი მიდგომაა აღწერილი, თუმცა ყველა ავტორი ერთსულოვნად თანხმდება, რომ მმართველობის ნებისმიერი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია ტერიტორიის მარკეტინგის საერთო ლოგიკის ფორმირება. სამამულო და საზღვარგარეთული ლიტერატურის ანალიზიდან გამომდინარე, ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკა მის სტრუქტურულ ელემენტებში ვლინდება.

ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკის პირველი სტრუქტურული ელემენტი გულისხმობს მიზნის ან მიზანთა სისტემის განსაზღვრასა და ფორმირებას. მიზანში იგულისხმება ტერიტორიული მარკეტინგის სასურველი მდგომარეობა ან შესაბამისი ობიექტის შედეგები მომავალში, მის განსაზღვრულ მომენტში. მიზანი შესაძლოა იყოს მიულწეველი დაგეგმილი პერიოდის ფარგლებში.

ტერიტორიული მარკეტინგის ინსტრუმენტები



ტერიტორიული მარკეტინგის ნებისმიერი სუბიექტი მიზნებისა და ამოცანების ფორმირების პროცესში ვალდებულია:

- ✓ განსაზღვროს დაგეგმილი სისტემის მიზნები და გადაიყვანოს ის შესასრულებელ ამოცანათა ენაზე, რაც მათი შესრულების გრაფიკის შექმნის საშუალებას იძლევა;
- ✓ გაითვალისწინოს ყველა ამოცანის გამოკვეთილი ფორმულირება და გამოიმუშაოს პროგრესის შეფასების კრიტერიუმები;
- ✓ გამორიცხოს ამოცანებს შორის შესაძლო წინააღმდეგობები.

ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკის მეორე სტრუქტურული ელემენტი დაგეგმვისწინა პერიოდის ამოსავალი დონის ანალიზში მდგომარეობს.

ქვეყნის ან ტერიტორიის ეკონომიკის განვითარება ბევრად განისაზღვრება არსებული საწარმოო სიმძლავრეების არსებობით.

ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკის მესამე სტრუქტურული ელემენტი მოიცავს საზოგადოების მოთხოვნილების სტრუქტურისა და მოცულობის შესწავლას.

საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციები ტერიტორიული მარკეტინგის მიმართებაში მოითხოვს არა მხოლოდ სისტემურ, არამედ ინტეგრაციულ მიდგომებს, რომელიც მიმართულია ტერიტორიული ეკონომიკური სისტემის ელემენტების და ცალკეული ქვესისტემების ურთიერთკავშირის განმტკიცებასა და გამოკვლევაზე.

ჩვენი აზრით, ამგვარი მიდგომა ტერიტორიული მარკეტინგში ქმნის რეგიონის საბაზრო პოტენციალის გამოვლინების ახალ შესაძლებლობებს. ტერიტორიული მარკეტინგის ლოგიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია მისი მეთოდიკა. ძირითად მეთოდს მიეკუთვნება საექსპერტო (შეფასებითი) მეთოდი; სოციალურ-ეკონომიკური ანალიზის მეთოდები; პირდაპირი საინჟინრო-ეკონომიკური გათვლის მეთოდები; საბალანსო მეთოდი; მათემატიკურ-ეკონომიკური მეთოდები – მოდელების შექმნით; სისტემური ანალიზისა და სინთეზის მეთოდები;

ტერიტორიული მარკეტინგის მოდელი, როგორც ტერიტორიის პოლიტიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი მოიცავს გარკვეულ მარკეტინგულ ფუნქციებს:

ანალიტიკურს (შიდატერიტორიული და გარესაბაზრო პირობების გამოკვლევა, ტერიტორიის ეკონომიკური სამრეწველო სექტორის მომსახურებას, კონკურენტუნარიანობის გამოკვლევას და ტერიტორიის ეკონომიკის სამრეწველო სექტორის კონკურენტული უპირატესობების განსაზღვრას).

საწარმოო (კონკურენტული უპირატესობების რეალიზაციის ტერიტორიული სისტემის ორგანიზება);

საგამანაწილებლო (მატერიალური და არამატერიალური ნაკადების ტერიტორიული არხების ორგანიზება ტექნოლოგიური, საკადრო, საფინანსო, საინფორმაციო, ინტელექტუალური და სხვ. ბალანსის საფუძველზე);

მმართველობითი (სტრატეგიულ და ტაქტიკურ დონეებზე დაგეგმარება, ტერიტორიული მარკეტინგის ინფორმაციული უზრუნველყოფა; კონტროლი);

ტერიტორიული მარკეტინგის ციკლი



მარკეტინგული ციკლის პირველი სტადია მოიცავს მარკეტინგის მიზნების განსაზღვრას; რეგიონის შესახებ მოძიებული რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ყალიბდება ტერიტორიული მარკეტინგის საერთო მიზნები.

ტერიტორიული მარკეტინგის ძირითადი მიზნებია:

1. ტერიტორიული მარკეტინგის სისტემის (ტმს) ოპტიმალური ე.ი. აუცილებელი და საკმარისი ფუნქციების განსაზღვრა, რომელიც გადანაწილდება მეორე დონეზე.

2. ტერიტორიული მარკეტინგის მთლიანობითი სისტემის ფორმირება მარკეტინგის ცენტრალური ორგანიზაციების სისტემის საფუძველზე. ამგვარად, ტერიტორიული მარკეტინგის ამოცანა, საწარმოს მარკეტინგული სისტემის სტიმულირება და საჭირო პირობების შექმნაა.

3. ტერიტორიის მარკეტინგული საქმიანობის მთავარი ამოცანაა ცხოვრების ხარისხის ამაღლება მისი ყველა მიმართულებით:

- ✓ ბიზნესის განვითარებისთვის ხელსაყრელი კლიმატის შექმნა;
- ✓ სოციალური გარემოს გაუმჯობესება;

თანამედროვე პრაქტიკაში რეგიონული მარკეტინგი, ნაკლებად შესწავლილ ეკონომიკურ ინსტრუმენტს წარმოადგენს. კონკრეტული რეგიონის სოციალურეკონომიკური, ბუნებრივი, დემოგრაფიული პირობების, მოთხოვნისა და მიწოდების, რეგიონის ბაზრის კონიუნქტურის და რეგიონთაშორისი კავშირების შესწავლა და ანალიზი, პირველ რიგში, შესაძლებელია რეგიონული მარკეტინგის გამოყენების გზით.

მარკეტინგული მიდგომების გამოყენება წარმოების ორგანიზაციისა და ბაზრის ამა თუ იმ სეგმენტზე საქონლისა და მომსახურების რეალიზაციის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს შეადგენს. მარკეტინგული მართვის მეთოდების გამოყენება განსაკუთრებით ეფექტიანია დაბალი ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებისათვის, რადგან მრავალი ფუნქცია, რომელსაც ასრულებდა სხვადასხვა სამინისტრო და უწყება, გადაეცემა საწარმოებს, გაერთიანებებს, ასოციაციებს, კონცერნებს.

რეგიონულ მარკეტინგში სამეურნეო გადაწყვეტილებათა მიღების საფუძველს შეადგენს ბაზრის არსებული და პოტენციური მოთხოვნები და მათზე რეგიონში არსებული საწარმოების, ორგანიზაციების და სხვა ერთეულების საქმიანობის მორგების მექანიზმის გამოყენება. მარკეტინგული მართვის ფუნქციების საშუალებით შესაძლებელია რეგიონში წარმოებული პროდუქციის და მომსახურების რეალიზაცია.

რეგიონული მარკეტინგის პოლიტიკის გატარების პირობებში გამოიყენება ისეთი ელემენტები, როგორცაა: რეგიონში არსებული ბაზრების სეგმენტირება და წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების პოზიციონირება, ასორტიმენტული და სამარკო პოლიტიკა, ახალი საქონლის დამუშავება, ფასების პოლიტიკა, განაწილებისა და წინსვლის სტრატეგია.

რეგიონული მარკეტინგის სტრატეგია შემდგენიანად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. სტრატეგიის შემუშავების პროცესში ხდება სამეურნეო ერთეულების საქმიანობის საერთო მიმართულების განსაზღვრა და ამის მიხედვით ფირმის პოზიციების განმტკიცება;

2. შემუშავებული სტრატეგია გამოყენებული უნდა იყოს სტრატეგიული პროექტების შედგენის დროს ძიების მეთოდის საშუალებით;

3. მოცემული სტრატეგიის აუცილებლობა ქრება, როგორც კი განვითარების რეალურ მსვლელობას ესა თუ ის სამეურნეო ერთეული მიჰყავს სასურველ შედეგამდე;

4. სტრატეგიის შემუშავების დროს შეუძლებელია ყველა შესაძლებლობის განსაზღვრა, რომლებიც წარმოიქმნება კონკრეტული ღონისძიებების პროექტის შედგენისას;

5. როცა ძიების პროცესში ჩნდება კონკრეტული ალტერნატივა, ყალიბდება ზუსტი ინფორმაცია;

6. პროექტების შერჩევის დროს გამოიყენება ორიენტირებიც, იგი არის მიზანი, რომელსაც უნდა მიაღწიოს ფორმამ, ხოლო სტრატეგია არის ამ მიზნის მიღწევის საშუალება;

7. სტრატეგია და ორიენტირები ურთიერთშენაცვლებადია.

უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ რეგიონული მარკეტინგის განვითარების საფუძველი, პირველ რიგში, უნდა ვეძიოთ რეგიონის ეკონომიკური ბაზრის ფორმირებაში.

რეგიონული მარკეტინგის არსებითი ასპექტია რეგიონის ბაზრის მოთხოვნილებების (მომხმარებელთა მოთხოვნის) შესწავლა და მისი მაქსიმალური გათვალისწინება საქონლის (მომსახურების) წარმოების პროცესში, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

რეგიონული მარკეტინგის ეფექტიანი გამოყენება, პირველ რიგში, მიიღწევა რეგიონში არსებული ეკონომიკური სუბიექტების მიერ მარკეტინგული ძალისხმევის მაღალი ინტენსიურობით.

რეგიონული მარკეტინგის მართვის პროცესი მოიცავს საბაზრო შესაძლებლობების ანალიზს: მიზნობრივი ბაზრების შერჩევა; მარკეტინგის კომპლექსის შემუშავება; მარკეტინგული ღონისძიებების ცხოვრებაში გატარება[6].

საქართველოსა და მსგავსი ეკონომიკის ქვეყნებში რეგიონული მარკეტინგის, როგორც ზოგადად მარკეტინგული ძალისხმევის მაღალი ინტენსიურობა მიზანშეწონილი და აუცილებელია ისეთი პირობების არსებობისას, როგორცაა: ეკონომიკური სუბიექტების სრული თავისუფლება წარმოებითგასაღებით გადაწყვეტილებათა მიღებაში; საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის შედეგების საბაზრო გაცვლის ეფექტიანობასთან პირდაპირი დამოკიდებულების არსებობა; მონოპოლიური სტრუქტურების უქონლობა, აგრეთვე კონკურენციის სხვა შეზღუდვები; ბაზარზე ჭარბი მიწოდების არსებობა; ინფორმაციის არაერთგვაროვნება და ბაზრის განუსაზღვრელობის მაღალი დონე.

რეგიონული კონკურენტუნარიანობისა და რეგიონული მარკეტინგის პრაქტიკული გამოყენება საქართველოს ეკონომიკაში დღეისათვის შეიძლება არააქტუალური ჩანდეს. მართლაც, საქართველოს ეკონომიკაში ჩამოყალიბდა საკმაოდ რთული სიტუაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია სამომხმარებლო ბაზრის დაუბალანსებლობა, ადგილობრივი სასურსათო და სამრეწველო საქონლის მწვავე დეფიციტი, ამიტომ მარკეტინგის უცხოური გამოცდილების პირდაპირი გადმოტანა ჩვენს საწარმოთა პრაქტიკაში საკმაოდ შეზღუდულია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Маркетинг мест. Привлечение инвестиций, предприятий, жителей и туристов в города, коммуны, регионы и страны Европы / Ф. Котлер, К. Асп- лунд, И. Рейн, Д. Хайдер. СПб. : Стокгольмская школа экономики, 2005. С. 55.
2. Begg I. Cities and competitiveness // Urban Studies. — 1999. — Vol.

3. Анхолт С. Брендинг: Дорога к мировому рынку: Пер с англ. М., 2004. -272 с.
4. Бренды и брендинг / Клифтон Р.и др./ : Пер. с англ. М., 2008. – 352 с.
5. Котлер Ф., Асплунд К., Рейн И., Хайдер Д. Маркетинг мест. Привлечение инвестиций, предприятий, жителей и туристов в города, коммуны, регионы и страны Европы. СПб:Стокгольмская школа экономики, 2005. — 375 с.
6. Anholt S. Competitive Identity: The New Brand Management for Nations, Cities and Regions / S. Anholt. — 1- stedition. — Palgrave Macmillan, 2007

რეგიონული (ტერიტორიული) მარკეტინგის ცნება, სოციალური არსი და მეთოდოლოგიური ასპექტები

**ნოდარ გრძელიშვილი - ეკონომიკის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუნი ავილირებული პროფესორი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საქართველოს საწარმოო ძალებისა და
ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი**

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ტერიტორიული მარკეტინგის კონცეფცია, რაც ტერიტორიის მიმზიდველი იმიჯის შექმნას გულისხმობს და ყურადღებას ტერიტორიის პოზიციონირებაზე ამახვილებს. იგი ტერიტორიის პერსპექტიულ სამეურნეო სფეროებს წარმოაჩენს და ხელს უწყობს მათ განვითარებას. აღნიშნულია, რომ ტერიტორიული მარკეტინგის განხორციელების მიზანი ტერიტორიის მდგრადი და მიმზიდველი სურათის შექმნა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკური პოტენციალის გაუმჯობესება, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის გაძლიერება და ტერიტორიების პოზიტიური იმიჯის ფორმირებაა. ნაშრომში ყურადღებაა გამახვილებული რეგიონული(ტერიტორიული) მარკეტინგის სოციალურ არსზე და მეთოდოლოგიურ ასპექტებზე. ნათქვამია, რომ ტერიტორიული მარკეტინგის პარამეტრებად გვევლინება რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომლებიც განსაზღვრავს ტერიტორიის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურას და შინაარსს.

The concept, social essence and methodological aspects of regional (territorial) marketing

**Nodar Grdzlishvili - Doctor of Economics,
New Higher Education institute-Newuni Affiliated Professor;
Georgian Technical University. Senior Researcher of the Georgian Industrial Forces and
Natural Resources Study Center**

Resume

The paper discusses the concept of territorial marketing, which involves creating an attractive image of the area and focusing on the positioning of the area. It presents the promising agricultural areas of the area and contributes to their development. It is noted that the purpose of territorial marketing is to create a sustainable and attractive image of the area, attract foreign investment, improve economic potential, strengthen integration and cooperation and form a positive image of the area. The paper focuses on the social essence and methodological aspects of regional (territorial) marketing. It is said that the parameters of territorial marketing are quantitative and qualitative indicators that determine the structure and content of the economic system of the area.

Le concept, l'essence sociale et les aspects méthodologiques du marketing régional (territorial)

**Nodar Grdzlishvili - Docteur en économie,
Professeur affilié à Newuni;
Université technique géorgienne. Chercheur principal du Georgian Industrial Forces and
Natural Resources Study Center**

Résumé

L'article aborde le concept de marketing territorial, qui consiste à créer une image attractive du territoire et à se concentrer sur le positionnement du territoire. Il présente les zones agricoles prometteuses de la région et contribue à leur développement. Il est noté que le marketing territorial a pour objectif de créer une image durable et attractive du territoire, d'attirer les investissements étrangers, d'améliorer le potentiel économique, de renforcer l'intégration et la coopération et de former une image positive du territoire. L'article se concentre sur l'essence sociale et les aspects méthodologiques du marketing régional (territorial). On dit que les paramètres du marketing territorial sont des indicateurs quantitatifs et qualitatifs qui déterminent la structure et le contenu du système économique de la zone.

ავტორთა საყურადღებოდ:

ავტორთა თვალსაზრისი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
რედაქცია პასუხს არ აგებს წარმოდგენილი მასალების სიზუსტეზე.
იბეჭდება ავტორთა მიერ წარმოდგენილი სახით.

For the attention of the authors:

The opinions expressed in this publication are those of the authors and do not reflect the opinion of the editors.
Editors do not hold themselves responsible for the accuracy of the opinions expressed.
Article is printed in the form submitted by the authors.

რეგისტრირებულია თბილისის გლდანი-ნაძალადევის
რაიონულ სასამართლოში
რეგისტრაციის ნომერი – 1/9-68

Registered at Gldani-Nadzaladevi Regional Court of Tbilisi
Number of registration - 1/9-68

EAN 9771987830003